

იოსებ სიგოშვილი

ბარამა



გამომცემლობა „მნიგნობარი“
თბილისი 2020

წიგნში ასახულია მე - 20 საუკუნის ოციან წლებში საქართველოში განვითარებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენები - ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ნაწარმოების მთავარი გმირია იოსებ მაისურაძე (ბალამა), რომელმაც, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ამ წლების სიმძიმე თავის თავზე გადაიტანა, გახლდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და მისი რაზმის წევრი.

რომანში მოთხრობილია საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ისტორიული მოვლენები, რომლებიც დამყარებულია, როგორც საარქივო მასალებზე, ასევე თვითმხილველთა გამოცემებზე.

რედაქტორი
მანანა გორგიშვილი

მხატვარი
ნინო მღებრიშვილი

დამკაზადონებელი
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-490-25-5

ყოველი ახალი წიგნის გამოცემა ავტორისთვის მღელვარე, საპასუხისმგებლო, სასიხარულო და მნიშვნელოვანია. ასეა ამჯერადაც, იოსებ სიბოშვილის კიდევ ერთი წიგნი - „ბალამა“ მიიღო საჩუქრად ქართველმა მკითხველმა, სადაც ავტორი ჩვეული გულისხმიერებით, სიამაყის განცდით, განუზომელი სითბოთი და პატივისცემით კვლავაც გვიამბობს ივრისპირელთა ისტორიებს: „პატარძეულელები ჯიმ-ჯილაგით მეომრები იყვნენ. დასაბამიდან პატარძეული და ბერთუბანი სამეფო სოფლები იყო, მოსახლეობის ბატონ-პატრონი და მოსამართლე მეფე გახლდათ. ამიტომაც ამ სოფლებში თავმოყრილნი იყვნენ მეფის ერთგული და ბრძოლებში გამობრძმედილი მეომრები. მათ სულში იმდენად დავანებულიყო ეს გრძნობა, რომ ბავშვი რომ იბადებოდა, მისთვის სხვა საქმე, ომის გარდა, არ არსებობდა და არც მოიაზრებოდა“.

დიახ, ამჯერად ბატონი იოსები ჩვენი უახლოესი წარსულის ამბავს გვიყვება, მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ამბავს, რაც ჩემი თაობისთვის მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინ გახდა ცნობილი, რადგან სულ სხვაგვარი ისტორია ისწავლებოდა, სულ სხვაგვარად გვიყვებოდნენ სისხლიანი ოქტომბრის რევოლუციისა თუ იმ ავბედითი იმპერიის შესახებ, რომელმაც მხოლოდ 70 წელი იარსება

და რაშიც მსოფლიოსთვის ცნობილი პიროვნების, თანაც ქართველის, დიდი წვლილი იყო. დიდი ილია მართალიც ხომ ამას გვასწავლიდა, რომ „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“ და „ანმყოს, რომელსაც წარსული არ აქვს, არც მომავალი აქვსო“, ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ისტორიით გაჯერებული მხატვრული ნაწარმოებების სიმრავლე, სწორედ ისეთი, როგორიც წინამდებარე წიგნია, სადაც იოსებ სიბოშვილი პატარძელელი ვაჟკაცის, ანტისაბჭოთა მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის ამბის მოყოლით გვაცნობს მეოცე საუკუნის დასაწყისში მომხდარი ამბების შუქ-ჩრდილებს.

ასეთი იყო ჩვენი უახლოესი წარსული და ასეთია დღევანდებლობაც, ბობოქარი, მაგრამ საინტერესო და ერთგან იოსებ სიბოშვილი წერს: „ასეთი მამულიშვილური გენის მატარებელი იყვნენ და ამიტომაც მიისწრაფვოდნენ იქით, სადაც მათ სამშობლო ეძახდა“.

დარწმუნებული ვარ, ქართველი მკითხველი სათანადოდ დააფასებს და ამჯერადაც სიყვარულით მიიღებს იოსებ სიბოშვილის ახალ წიგნს.

მანანა გორგიშვილი



პირველი ნაწილი

I

ივრის ხეობაში ქარი ისეთი სისწრაფით დაჰქროდა, რომ ლამის წყალი და ქვა-ღორღი ჰაერში აეტაცა და მიენარცხებინა გრძელი ბექობისთვის, რომელზეც სოფელი სართიჭალა იყო გაშენებული. იორზე გადებული ხიდი თითქოს ცდილობდა ქარიშხლის შეკავებას, თუმცა არე-მარეს მხოლოდ ხიდის კონსტრუქციებიდან ქარის დარტყმის შედეგად ატეხილი წივილი ავსებდა. ცუგროვანის ქალაში ძირფესვიანად მოთხრილი რამდენიმე ხე ადიდებულ ივრის ტალღებს მოეტაცა და ღმუილით მიათრევდა ბალბიანისკენ.

სულ ორი წელიწადი იყო გასული იმ ავადსახსენებელი თებერვლის დღეებიდან, როდესაც ბოლშევიკებმა საქართველოში სისხლის კალოები გალენეს. შარშანაც, თებერვალში ცხრა დღიანი ქარი ღრიალებდა ივრის ხეობაში და წელსაც გამეორდა. ამ ადგილებისთვის ქარი უცხო არ იყო, მაგრამ ასეთი ქარიშხალი, რაც ორი წელიწადია მძვინვარებდა სამგორის ველზე, მოხუცებსაც კი არ ახსოვდათ.

სართიჭალა, მეფის რუსეთიდან მოყოლებული, საბოქაულო ცენტრი იყო და ადმინისტრაციული ორგანიზაციებიც აქ იყო განლაგებული. ეს სტრუქტურა არც მენშევიკურ მთავრობას მოუშლია და ბოლშევიკებმაც მის ნაფუძარზე გააგრძელეს თავიანთი ჯოჯოხეთური საქმიანობა. მეზობე-



ლი სოფლებიდან მოჰყავდათ ეროვნული მთავრობის მომხრე ადამიანები, ჩეკას შენობაში აჩერებდნენ მცირე დროით, ვითომ გასამართლების მიზნით და შემდეგ ერეკებოდნენ დასახვრეტად, ზოგს ივრის ხეობაში, ზოგს ძეძვიანხევში და ზოგსაც კახეთის რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მხოლოდ იმ ადამიანებს აჩერებდნენ საკნებში, ვისი გადაბირებაც სურდათ თავიანთი ბინძური საქმიანობის განსახორციელებლად.

არც დღევანდელი დღე იყო გამონაკლისი. ღამით ჩეკას თანამშრომლებმა საიდუმლო რეიდი მოაწყვეს სოფელ პატარძულში და რამდენიმე ეჭვმიტანილი პიროვნება დააკავეს, გადმოიყვანეს ჩეკას შენობაში და საკნებში გამოკეტეს. ჩეკას უფროსი თოდუა იჯდა შეშის ღუმელისგან კედლებგამურულ ოთახში, რომელსაც თანამშრომლები უფროსის კაბინეტს ეძახდნენ და ქალაღებს ჩაჰკირკიტებდა. ნახევრად ჩამქრალი ღუმელი, ქარის ყოველ შემობერვაზე, ბაქოს ორთქმავალივით ქშინავდა და ნაკელში გათხუპნული დამწვარი შეშის კვამლს მთელ ოთახში აფრქვევდა. პატიმართა საქმეების კითხვით გართულ თოდუას, ოთახში დაგროვილი კვამლის გამო, ხანდახან ხველა აუტყდებოდა ხოლმე, გაიხედავდა მხრჩოლავი ღუმელისკენ, გაიშვერდა მისკენ თავის მოკლე მარჯვენა ხელს, კოტიტა თითებს გაატკაცუნებდა და დედის მისამართით იგინებოდა. ხოლო რომელი დედის, ეს გაურკვეველი რჩებოდა...

ახლაც, ერთი მაგრად შეიკურთხა, უმისამართოდ გაქნეული მარჯვენა ხელი მაგიდაზე დაარტყა და იყვირა:



- ყარამან! ...

ოთახში ახალგაზრდა წითელარმიელი შემოიჭრა, პატივის მისაგებად ხელი მსწრაფლ მიიტანა შუბლთან და წამოიყვირა:

-გისმენ, უფროსო!

- მარტყოფელები სად არიან!?

- ეზოში ყრიან გაკოჭილები, კამერებში ადგილი არ იყო და ...

- რამდენი არიან!?

- თორმეტნი, უფროსო!

- მიდი ჯერ ის პატარძეულები შემომითრიე და მერე გადავწყვეტ, მაგ მარტყოფელებს რა ვუყოთ!

- არის, უფროსო! - წამოიძახა წითელარმიელმა, შეტრიალდა ზურგისკენ და სწრაფად გაუჩინარდა კარს უკან.

პატარძეულში დაჭერილი ადამიანები ჩეკას სატუსალოს ერთ საკანში ჰყავდათ ჩაკეტილი. მილიციონერმა შაქრო ბროლაშვილმა გააღო საკნის კარი და იყვირა:

- მაისურაძე! უფროსთან!

იოსებ მაისურაძე, რომელსაც ხალხში შერქმეული სახელით - ბალამა, უფრო იცნობდნენ, ვიდრე ნამდვილი სახელითა და გვარით, მრავალჭირგამოვლილი პატარძეულები კაცი იყო. ბოლშევიკების მთავრობა მას ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ურთიერთობაში ადანაშაულებდა. ბალამა ჭკვიანი კაცი იყო, ყველა კვალი ნაშლილი ჰქონდა და მიუხედავად ჩეკას თანამშრომლების დიდი მცდელობისა, შეფიცულებთან მისი კავშირი არ დასტურდებოდა. ზედმეტსახელად ბალამაც იმიტომ ერქვა - უბედური და ხათაბალა კაცი



იყო, ძნელად მოსახელთებელი. მებრძოლი ხასიათი ჰქონდა, ბევრ საიდუმლო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას, არც იმალებოდა, მაგრამ ისე წინდახედულად აკეთებდა ყველაფერს, რომ ვერაფერს უმტკიცებდნენ.

გაყინული საკნიდან უფროსის გაბოლილ ოთახში შესულ ბალამას კვამლისგან თვალები ისე აევისო ცრემლით, რომ ველარაფერს ხედავდა. თვალებზე ხელსაც ვერ მოისვამდა ცრემლების მოსაწმენდად, რადგან ბორკილებით ჰქონდა შეკრული. თოდუამ მაისურაძის ასეთი ყოფა მაშინვე შენიშნა თავისი ჩეკისტური თვალებით და გადაიხარხარა:

- ჰა! ჰა! ჰა! აი, ასეთ ბოლში უნდა გამყოფოს კაცმა, რომ სიმართლე ილაპარაკო! შენისთანა ნაგავი მზეს არ უნდა ხედავდეს! გამომივიდა ამ ბოზი მენშევიკების დამცველი! მიგატოვეს თუ არა, როგორც ქუჩაში დაგდებული ძუკნა!? დაეგდე მაგ სკამზე და მისმინე!

ბალამა თოდუას ნაბოდვარს კი უსმენდა, მაგრამ არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, არც კი განძრეულა. დასცქეროდა იატაკს და ძველი ხის იატაკის ღრიჭობიდან ქარიშხლის მიერ მოტანილ ნიავს თვალებს უშვერდა, რათა როგორმე ცრემლი შეშრობოდა თვალებზე და დაენახა, ირგვლივ რა ხდებოდა. ჩეკას უფროსი არ ცხრებოდა. ოთახში ბოლთას სცემდა. ხანდახან შეჩერდებოდა, გაიხედავდა თავჩაქინდრული ბალამასკენ, თავს გადაიქნევდა ხოლმე და გააგრძელებდა აქეთ-იქით სიარულს. ბოლოს, ოთახის კუთხეში წაქცეულ სკამს დაავლო ხელი, დაჯდა მაისურაძის წინ, მოკიდა თმებში ხელი, თავი მაღლა ააწევინა, ცრემლებისგან დანითლებულ თვალებში ჩახედა და იყვირა:



- მაისურაძე! შენგან მინდა კაცი გამოვიყვანო, სახელმნიფო კაცი! გაიგეე!

მერე წამოდგა სკამიდან, მაგიდაზე ნაჭერში გახვეული ყუთი გახსნა, მიიტანა ბალამას სახესთან, ლამის სახე შიგ ჩააყოფინა და განაგრძო ისტერიული კივილი:

- აი, ეს ფული, ბევრი ფული შენია! წადი და სადაც გინდა დახარჯე, მოსკოვში გაგიშვებ, ქვეყანას ნახავ, დროს გაატარებ!

თოდუამ კარგად იცოდა, ვინ იყო იოსებ მაისურაძე. მოუხელთებელი, ქკვიანი კაცი, რომელზეც კომპრომატებს აგერ უკვე ორი წელიწადია მისი გამოცდილი აგენტები ვერ პოულობდნენ. ყველა საქმიდან სუფთად გამოდიოდა, ყველაფერს წინასწარ მათემატიკური სიზუსტით თვლიდა. იცოდნენ, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე და მის რაზმზე მუშაობდა, მაგრამ ვერ უმტკიცებდნენ. ასეთი თანამშრომელი არა მარტო თოდუას, არამედ საკავშირო ჩეკასაც სანატრელი ჰყავდა. ვინაიდან ჩეკას თანამშრომლობაზე გამოცდილ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში მათზე კომპრომატების საშუალებით ითანხმებდნენ, ბალამას შემთხვევაში ეს ბერკეტი არ ჰქონდათ და ამიტომ არჩევანი დიდ ფულზე და თავისუფლებაზე შეაჩერეს.

- მაისურაძე! - განაგრძო თოდუამ, - დათანხმდი! აიღე ეს ფული, ცხოვრება ნახე! თუ არადა და იცი, რაც მოგელის. იმ შენ პატარძელის ცენტრში ჩამოგკიდებთ ხეზე და არც არავის მოგაკარებთ, რომ შენი დამპალი გვამი წაილოს და მინაში დაფლას! შეიგნე, ნუ შეჯექი ვირზე, შე მართლა კახელო!



თოდუამ ფულით სავსე ყუთი მაგიდაზე დადო, ერთი მაგრად შეიკურთხა, ყუთის მოპირდაპირე მხარეს კალმისტარი დააგდო და დაბალი ხმით წარმოთქვა:

- აი, აქეთ ფული, ხოლო იქით სახრჩობელა. არჩევანი შენზეა.

ბალამამ თავი ასწია, ჩეკას გათავხედებულ და გაცეცხლებულ ნაძირალას შეხედა და ჰკითხა:

- რა გინდათ ჩემგან?

თოდუა უცებ გამოცოცხლდა, წელში გაიმართა, თავის სანერ მაგიდასთან მივიდა, აიღო პაპიროსი, ღუმელიდან ნაკვერჩხალი გამოიღო, მოუკიდა, გააბოლა, ნელა დაეშვა სანერ მაგიდასთან მდგარ სკამზე და კმაყოფილებით აღსავსემ მიმართა ბალამას:

- ეგრე რა, შე კაი კაცო. რას მანერვიულებ ამდენს. ერთად ვიმუშაოთ, ამას რა სჯობს. ფულიც გექნება, ცხოვრებაც. ამ ქვეყანას შენ ვერ გაასწორებ, ჩვენთან კიდევ კაცად იქცევი.

ბალამა უყურებდა თოდუას და ფიქრობდა: „რაც უნდა, ამ ძაღლის გაგდებულს, კარგად ვიცი. ჩემგან რომ ვერაფერს გაიგებს, ეს თვითონაც კარგად იცის, მაგრამ მაინც ცდილობს ჩემს გადაბირებას, რომ უფროსებს თავი მოაჩვენოს. საინტერესოა, ჩვენს გარემოცვაში ვინ არის მოღალატე, ასე რომ ჩაუკაკლია ყველაფერი ამისთვის?“

თოდუა კი პაპიროსს აბოლებდა, ისედაც დაბოლილ ოთახში და განაგრძობდა:

- იოსებ, - სახელით მიმართა ბალამას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას უკვე თავისიანად თვლიდა და საქმის დეტა-





ლების გაცნობაც აუცილებელი იყო მისთვის, - ჩვენთვის ცნობილია, რომ შენ მუშაობ მენშევიკებთან და იმათ კრებებსაც ესწრები, თუმცა ფაქტზე ვერ დაგიჭირეთ. ახლა ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. შენ ერთი ძალიან მარტივი საქმე უნდა გააკეთო. შენი ინიციატივით პატარძეულში, ან თუ გინდა სხვაგან, უნდა მოიწვიო მენშევიკების კრება, ჩვენ შეგვატყობინო და დაგვაჭერინო ეს ხალხი. ეს ფული შენი იქნება, მერე გახდები ჩვენი თანამშრომელი, მოგცემთ საკმაოდ მაღალ თანამდებობას, რა თქმა უნდა, მაღალი ანაზღაურებით. ერთი სიტყვით - კაცად გაქცევაა, რას იტყვი, იოსებ!?

დაამთავრა თოდუამ საუბარი, პაპიროსი გააბოლა, მერე ნამწვავი იატაკზე დააგდო, ფეხით გასრისა, შეხედა ბალამას, თვალი თვალში გაუყარა და პასუხის მოლოდინში ხელების დასრესვა დაიწყო.

ბალამამ მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა წარმოთქვა:

- მე ერთი ბოგანო გლეხი ვარ, უფროსო, ვინ მეკითხება რამეს. რა მეშევიკები, რა კრება...

- ისევ შენსაზე დგახარ, არა!? - აუნია ხმას თოდუამ, - რა ვერ გაიგე და რა თავს იკატუნებ! მეფის არმიიაში მე ვმსახურობდი თუ შენ!? არ იცის ბიჭმა რა ხდება ქვეყანაზე! ფული აიღე და საქმე გააკეთე, თორემ სახალხოდ ჩამოგახრჩობ, შენი დამპალი...! ჰა! გელოდები...

ბალამა უყურებდა თოდუას და ხმას არ იღებდა.

ჩეკას უფროსი დარწმუნდა, რომ ბალამასგან ვერაფერს გამოიჩებოდა, დაუძახა მილიციელს და იყვირა:

- წაათრიეთ სატუსალოში!



როდესაც მილიციელს ბალამა ოთახიდან გაჰყავდა, თოდუამ მიაძახა:

- კიდევ იფიქროს, იქნებ მოვიდეს ჭკუაზე და ცოტა ხანში შემომიყვანეთ!

II

მას შემდეგ, რაც მენშევიკურმა მთავრობამ ბედის ანაბარა მიატოვა საქართველო, ქართველი ხალხი და ბათუმიდან, ქართულ საგანძურზე ჩაბლაუჭებული, საფრანგეთში გაიქცა, სამშობლოსათვის გულანთებულმა მამულიშვილების უმრავლესობამ, გააცნობიერა რა შექმნილი სიტუაცია, არჩია საქართველოში დარჩენა. მათ შორის გახლდათ ქართველი წმიდანის - ბიძინა ჩოლოყაშვილის ღირსეული შთამომავალი - ქაქუცა. იგი ამ დროს იმყოფებოდა სამეგრელოში, სადაც ჯერ კიდევ საქართველოს ოკუპაციამდე იქნა მივლინებული რუსეთის ჯარის სანინააღმდეგო ცხენოსანი არმიის ჩამოსაყალიბებლად. ქაქუცამ შეიტყო რა მთავრობის ლალატი და გაქცევა, განსაცდელში არ ჩავარდნილა, პირიქით, შემოიკრიბა თავისი თანამოაზრენი და დაიწყო დაუცხრომელი ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ერთი წლის შემდეგ, ის თავის შეიარაღებულ მებრძოლებთან ერთად ქიზიყიდან ტყეში გაიჭრა და პარტიზანულ ბრძოლას შეუდგა. ხევსურეთში გადასულმა რაზმის წევრებმა ერთმანეთს საზეიმოდ შეჰფიცეს, რომ მედგრად ებრძოლათ



საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. სწორედ ამ დროს ჩაისახა შეფიცულთა რაზმი, რომლის ბელადიც ქაქუცა გახდა. შეკრებას ესწრებოდა და შეფიცულთა რაზმს შეუერთდა ახალგაზრდა ფშაველი ვაჟკაცი მიხა ხელაშვილი, რომელმაც ლექსით მიმართა თანამებრძოლებს:

არც წვერს მოვიპარსავ, არც გავიკრეჭ თმასა,
 სანამდისინ არა ვნახავ ჩემს მინა-წყალსა
 თავისუფლად მოკაზმულსა, როგორც პატარძალსა,
 ხელში ეროვნული დროშით ლალად მომღიმარსა.
 მაშინ ხელში თუ ავიღებ სავსე ფიალასა,
 ვადღეგრძელებ ჩემს სამშობლოს კეთილ მომავალსა
 და წარსულსაც მოვიგონებ, შოთას ენას მტკბარსა
 და ვადიდებ დავითსა და თამარ დედოფალსა.

შეკრებას ესწრებოდა პატარძეულელი იოსებ მაისურაძე, რომელსაც დაევალა, გარე კახეთში შეექმნა ერთგული კაცების დაჯგუფება, რომელიც მუდმივ კავშირში იქნებოდა შეფიცულებთან და მოამარაგებდა მათ იარაღით, სხვა საბრძოლო მასალებით და შეძლებისდაგვარად სურსათ-სანოვაგით. მათ თავიანთი საქმიანობის შესახებ კვალი არ უნდა დაეტოვებინათ, ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ კონსპირაციის სრული დაცვით. მათ კარგად იცოდნენ, რომ ვითარება უფრო გამწვავდებოდა, როდესაც აჯანყებულები მოქმედებას დაიწყებდნენ, ამიტომ წინასწარი სამუშაოები სასწრაფოდ იყო ჩასატარებელი, რათა ჩეკა მათ კვალზე არ გასულიყო. შეფიცულები კი ადგილს მოულოდნელად იცვლიდნენ - ხან სიღნაღის მაზრაში იყვნენ, ხან თელავი-



საში, ხან ქართლში ან დუშეთის მაზრაში. იოსებ მაისურაძის გუნდი გორია მენაბდიშვილის, ვასო უნაფქოშვილის და იაკობ ფანოზიშვილის შემადგენლობით, თავდაუზოგავად მუშაობდა შეფიცულთა გაძლიერებისათვის. ათას ცხრაას ოცდაორი წლის ივნისში, სიღნაღთან ქაქუცა ჩოლოყაშვილი პირველად შეება წითელ ჯარს, რამაც დასაბამი მისცა დამოუკიდებლობისათვის მრავალწლიან ბრძოლას. აგვისტოში წამოიწყო ხევსურეთის აჯანყება. დუშეთში ჩოლოყაშვილის რაზმმა გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ მეორე ძლიერი შეტევა ველარ მოიგერია, გააფთრებული იერიშით ალყა გაარღვია და თავი კახეთს შეაფარა. მთავრობამ შური იმით იძია, რომ წითელი არმია ხევსურეთს შეუესია და ააოხრა. სხვა გადამჭრელი ზომებიც მიიღო - დაშალა ქართული დივიზია და გააძლიერა რუსული გარნიზონები. ქართულ ოფიცრობას ჩეკამ მუდმივი მეთვალყურეები მიუჩინა. განსაკუთრებული ნადირობა გამოცხადდა ჩოლოყაშვილზე. კახეთსა და ქიზიყში სოფელი არ დარჩა, ქაქუცას გულშემატკივარი არ გამოსჩენოდა. მასპინძლობას ხშირად აწიოკება, დაპატიმრება და ზოგჯერ სიკვდილიც მოსდევდა, მაგრამ მაინც იფარებდნენ, ხელს უმართავდნენ, საკვებს აწვდიდნენ. ქაქუცა იძულებული გახდა ჩვენეთში გადასულიყო, რათა ჩრდილო კავკასიელებთან გაება კავშირი და ერთობლივად ებრძოლათ ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა - არაფერი გამოვიდა. შემოდგომაზე იგი უკან დაბრუნდა. დევნა კვლავ გაგრძელდა. ერთ-ერთი შეტაკების დროს დაეღუპა ძმა.



დაუპატიმრეს ოჯახის წევრები, მათ შორის მცირეწლოვანი გოგონები.

ათას ცხრაას ოცდასამი წლის თებერვლის ბოლოს დაიწყო მასიური დაპატიმრებები. ჩეკამ დამკომის თხუთმეტი წევრი დააპატიმრა. ბოლშევიკების მსახვრალი ხელი ბალამას და მისი გუნდის წევრებსაც შეეხო. ვისი დასმენით მოხდა მათი დაპატიმრება, ეს ჯერ არავინ იცოდა, თუმცა ნათქვამია: „ციხე შიგნიდან ტყდება“.

III

საკანში გაყინულ, მიწის იატაკზე მიგდებულ ბალამას, მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში, ვინ იყო მის რაზმში გამცემი, ასე ზუსტად რომ უცნობებია ყველაფერი ჩეკასთვის?... კახეთში რომ იტყვიან - „გონების თვალი“ გადაავლო ყველა თავის თანამებრძოლს, მაგრამ მათ ქცევებსა და საუბრებში ვერაფერი იპოვა ეჭვიანობისთვის ხელჩასაჭიდი.

- რაო, ბალამ, რა გვინდაო? - მოესმა მაისურაძეს საკნის მოპირდაპირე კუთხიდან თანასაკნელის ხრინწიანი ხმა.

ბალამამ გაიხედა თანამოსაკნისკენ, აათვალიერა ჩამოათვალიერა ცნობისმოყვარე უცნობი, წამოიწია, ზურგით მიეყრდნო საკნის გაყინულ კედელს და უპასუხა:

- დედიჩვენისა უნდა მივირთვათ და თუ წამოხვალო!?

ჩეკას თანამშრომლები ხშირად იყენებდნენ ხოლმე საუკუნეებით ნაცად მეთოდებს, მათ შორის ყველაზე აპრობირებულს - საკანში თავის კაცს შეაგდებდნენ, რათა პატიმ-



რებისგან რაიმე ინფორმაცია მოეპოვებინათ. ქართველი კაცი იშვიათად, რომ დათანხმებოდა ასეთ ბინძურ საქმეს, აგენტობას ძირითადად ოსი და სომეხი ეროვნების ადამიანები თანხმდებოდნენ, რა თქმა უნდა, გარკვეული გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ. როგორც ჩანდა, აქაც იგივე სცენარი თამაშდებოდა, რადგან თოდუას კაბინეტიდან გამოსული ბალამა თავის საკანში აღარ დააბრუნეს და სხვა ოთახში შეაგდეს. უცნობს, მიუხედავად იმისა, რომ ხელები ბორკილებით ჰქონდა შეკრული, სახეზე ტანჯვა-ნამების კვალი არ აღენიშნებოდა. ამიტომ ბალამამ ჰკითხა:

- შენც დაგკითხეს?

- დამკითხეს კი არა, კინალამ ცემაში სული ამომხადეს, სენი წირიმე. - უპასუხა უცნობმა და თავი ისე მოისაწყლა, რომ სამეფო თეატრის მსახიობს შეშურდებოდა მისი.

ბალამა მიხვდა, რომ „ნასედკასთან“ ჰქონდა საქმე და საუბარი ჩვეულებრივ, ყოველგვარი ემოციების გამოხატვის გარეშე გააგრძელა:

- ვინა ხარ? ან მე საიდან მიცნობ?

- სანამ აქ შემომიყვანდნენ სენი ამხანაგების კამერაში ვიყავი და იქიდან გავიგე სენზე, სენი წირიმე - ამოიკნავლა უცნობმა, რომელსაც საუბარზე ეტყობოდა, რომ ოსი იყო.

ბალამა თავს ძლივს იკავებდა. ალბათ, ხელეები რომ თავისუფალი ჰქონოდა, ცემით ამოხდიდა სულს ამ ნაძირალას. „სულ ორი საათი დავყავი თოდუას კაბინეტში და როდისღა მოასწრო ამ შპიონმა ჩვენი ბიჭების კამერაში შესვლა? თუმცა, ბევრნი კი ვიყავით იქ, ზოგს ვერც ვხედავდი ან რაში მაინტერესებდა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ტყუილს



ამბობს“ - ფიქრობდა ბალამა და თან თავის თანასაკენელს უყურებდა. მერე კი ისევ ჰკითხა:

- ოსი ხარ?

- ჰო, სენი წირიმე, - თქვა უცნობმა და ბორკილიანი ხელელები სახეზე აიფარა, თვალებიდან წამოსული ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო, - გომბორელი ელბრუსა ვარ, დაგოევი. ხევსურმა ბიჭებმა თავის რაზმში ამიყვანეს, სნაიპერი ვარ.

- მერე!? - თავს ძლივს იკავებდა ბალამა.

- ჰოოდა, სენი წირიმე, - ბუტბუტებდა ელბრუსა, - მთავრობის სალდათებმა აკრუყენია გაგვიკეთეს, მე ცალკე ვიყავი ჩასაფრებული ჩემი თოფით. ყველამ თავს უშველა, მე გვიან გავიგე ყველაფერი და პლენში მოვხვდი. ესენი კი მეკითხებიან, ვისთან იყავიო. მე ვუთხარი ხევსურები იყვნენ, მეტი არაფერი ვიცი-თქო. ჰოდა, სენი წირიმე, მცემეს.

ბალამას გაეცინა, მაგრამ არაფერი უთხრა, ვითომ ნაცემ ელბრუსას, რადგან იცოდა, რომ მალე დაგოევი ახალ შეკითხვას დასვამდა. ასეც მოხდა.

- სენა, ბალამა, - აწრიბინდა ელბრუსა, - რაზე დაგიჭირეს, ვისთან იყავი?

ახლა კი ბალამას აევსო მოთმინების ფიალა, წამოიწია, თვალელებში შეხედა ამ ადამიანის მსგავს არსებას და იყვირა:

- შენისთანა ნაბოზვრებს რომ დედას იმიტომ დამიჭირეს შენი

უცებ, საკნის კარზე მუშტების ბრახუნი გაისმა, გაიღო კარი, შემოვიდა მილიციელი ბროლაშვილი და იყვირა:



- მაისურაძე, უფროსთან!

როდესაც მილიციელს ბალამა, დერეფნის გავლით, თოდუას კაბინეტისკენ მიჰყავდა, იოსებმა სატუსალოს შიდა განაწესი დაარღვია და უკან მოიხედა, დაინახა, როგორ შევიდა თოდუას თანაშემწე იმ საკანში, სადაც ბალამას „პატიმართან“ ერთად იჯდა. ყველაფერი ნათელი იყო, ბალამას წინ დიდი წამება ელოდა.

როდესაც მილიციელმა ბალამა უფროსის კაბინეტში შეიყვანა, თოდუა ღუმელთან იდგა და ხელის გულები ღუმელის მილისთვის შემოეჭდო. მილიციელის დანახვაზე იყვირა:

- ვინმემ აანთოს ეს ფეჩი! გავიყინე კაცი!

- უფროსო, თქვენ არა თქვით, ბოლავსო? - თავი იმართლა ბროლაშვილმა.

- ეს კი არა, თქვენა ხართ დაბოლილები! - იღრიალა თოდუამ და ფეხი ღუმელს დაარტყა, - ტყუილად გაძლევთ მთავრობა ჯამაგირს! უსაქმურები და უმაქნისები ხართ! შენ აქეთ წამოდი, მაისურაძე!

ბალამა მიხვდა, რატომ იქნევდა თოდუა ფეხებს და ხელებს. წინასწარ ემზადებოდა ცემისთვის. ხომ უნდა მოეთელა კუნთები.

- რა ქენი, იფიქრე!? - წაუსისინა თოდუამ ბალამას და თვალებში შეხედა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - ახედა, რადგან ჩეკას უფროსი დაბალი და ჩია კაცი იყო.

- მე მოსაფიქრებელი არაფერი მქონდა, - უპასუხა ბალამამ, - ჩემი სათქმელი გითხარით და კიდევ გავიმეორებ, რომ მე ერთი ბოგანო გლეხი ვარ და არა ვიცი რა. ახლა გაზაფხული მოდის და მინა მაქვს მოსახნავი, რომ რაღაც დავთესო ...



- რა გაქვს მოსახნავე!? - ნერვიულობისაგან აკანკალდა თოდუა.

- მინა, უფროსო. - მშვიდად უპასუხა ბალამამ.

- ჰოდა, ახლა მოგიხნავ მინას! შენი დედაც... - იყვირა თოდუამ და სახეში მარჯვენა ხელის მუშტი გაართყა ბალამას. მარჯვენას მარცხენა მიაყოლა და ეს პროცესი რამდენჯერმე გაიმეორა.

ხელებშეკრული ბალამა გაუნძრევლად იდგა და დაჰყურებდა მის წინ კრივით გართულ ჩეკას უფროსს. ბოლოს, გაეცინა და უთხრა თოდუას:

- რა არის? გარტყმა მაინც ისწავლე. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ბუზები მასხდებიან!

ამ სიტყვების გამგონე თოდუა უფრო გაცეცხლდა და მოუმატა მუშტების ქნევას. ბალამამ კი ხარხარს უმატა და თან გაიძახოდა:

- კაცოოო! თუ მცემ, რიგიანათა მცემე. აბა, ეს რა ცემაა!? თუ გახურება გინდოდა ამ ყინვაში, ეგე, ფეჩი აგენტო!

თოდუამ პატიმრისგან, თანაც ხელებშეკრულისგან, დაცინვა ვერ აიტანა და ბალამას დედის მისამართით შეიგინა. ქართველი კაცი ყველაფერს აიტანს, მაგრამ დედის შეგინებას არასდროს. არც ბალამა იყო გამონაკლისი და ამ უკანასკნელმა გაიწია თოდუასკენ, რომელიც თავის საწერ მაგიდას ამოეფარა და განწირულმა ატეხა წივილ-კივილი:

- ყარამან! ... ყარამან! ... ყარამან! ...

კაბინეტში თოდუას თანაშემწე ყარამანი და მილიციელი ბროლაშვილი შემოიჭრნენ და ბალამა იატაკზე დააგდეს.



თოდუამ ისლა მოახერხა, რომ ხელით ანიშნა, გაეყვანათ პატიმარი. მალევე მოითქვა სული და იყვირა:

- შეაგდეთ იმ თავის ძმაკაცებთან! მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკის მასხრად აგდება!

IV

პატარძელი და ბერთუბანი საუკუნეების განმავლობაში დაუმორჩილებელ სოფლებად ითვლებოდნენ, ამიტომ როგორც გაერთიანებული საქართველოს, ასევე კახეთის მეფეები მათ სახაზინო სოფლების სტატუსს ანიჭებდნენ და შესაბამისად მოსახლეობას არც ბატონი ჰყავდა. სანაცვლოდ ომის დროს, ამ სოფლების რჩეული ვაჟკაცები ქართული ლაშქრის ავანგარდში იბრძოდნენ და ბევრი საგმირო საქმენიც აქვთ ჩადენილი. თავდაცვითი ნაგებობებიც კარგად გამაგრებული ჰქონდათ. თუ მტრის სიმრავლის გამო, მოუხდებოდათ სოფლების დატოვება, გაიხიზნებოდნენ მთებში, წინასწარ მომზადებულ სამალავებში და იქიდან აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძოლებს მომხდურის წინააღმდეგ.

აი, ასეთი ხალხის შვილი გახლდათ იოსებ მაისურაძე, თიკუნით - ბალამა, რომელიც დაიბადა სოფელ პატარძელში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს. მისი ამ ქვეყნად მოვლინებიდან რვა დღის შემდეგ, მის მეზობლად დაიბადა კიდევ ერთი ბუმბერაზი ქართველი - გოგლა ლეონიძე. რაც



ფეხი აიდგეს, მას შემდეგ განუყრელი მეგობრები გახდნენ ბალამა და გოგლა. ერთად დარბოდნენ ლურჯთვალეობა იებით მოფენილ და ველური მარწყვის სურნელით გაჯერებულ მინდვრებზე.

ზაფხულში მათი მეორე მშობელი იორი იყო. მის დანახვაზე გული უჩქროლდებოდათ. ვისაც ივრის მურწა, ნაფოტა და ჭანარი არ დაუგემოვნებია, ვერ გაითავისებს მის ზვირთებში ჩამალულ თევზების დაჭერით განცდილ სიამოვნებას. უყვარდათ სათევზაო ჩანგლის ჩაყრა დილით, ივრის ტოტის დანურვა, დანყვეტა და მერე ქვებში ხელაობა. ხან მორევში ჩახერგილ კამეჩის გახრემილ ქედზე ყინჩად ჯდომა, ხან მორევის ძირში ყურყუმელაობა. დარბოდნენ, დაკუნტრუმობდნენ ბასრი ეკლით მოკირწყლული ტერფებით ჭყანტოპ-ჭაობნარში. ლურჯად მოლივლივე იორში საამო იყო ცვართა გადაშხეფება, ნიაზე ჩალების სისინი, თევზის ვერცხლური შეციმციმება ზვირთის ქეჩოზე. იქ, ივრის ჭალებში, ფშანებსა და ლერწმებში იდგნენ სმენადქცეული სიყრმის მეგობრები, რათა გაეგონათ ოქროს ჩიტის ხმა, რომელიც მარგალიტს აპოვნინებდა.

როდესაც დაიწყებოდა სოფელში ოქროსფერი შემოდგომა, დილიდან საღამომდე ვენახებში თამაშობდნენ, რადგან ორივეს ძალიან უყვარდა ყურძენი და ვენახის ატამი, რომელიც ვენახების თავსა და ბოლოში მრავლად იყო რტოვებაშლილი და ნაყოფით დახუნძლული.

ზამთარში თოვლს ელოდებოდნენ და ის გამომცხვარი ბასილები უყვარდათ, რომლებსაც მათი დედები საშობაოდ ამოაკრავდნენ ხოლმე თონეში.



ერთხელ, გაზაფხულზე გოგლა დილაადრიან კოკით ხელში მიადგა ბალამას სახლს, რომელიც სახელდახელოდ გაკეთებული მიწური უფრო იყო, ვიდრე სახლი და დაუძახა:

- ადე, ბიჯო იოსებ! წამო წყაროზე წყალი ამოვიტანო!

ბალამას გაუკვირდა - „ამ დილაადრიან რა წყალი აუტყდა გოგლასო?“ თვლების ფშვნეცხვით გამოვიდა გარეთ და გასძახა მეგობარს:

- რა მოხდა!? ცეცხლი წაეკიდა რამეს!?

- მე წამეკიდა, იოსებ, მე! წამო, წამო!

ბალამა ბურღულუნით წავიდა ჭიშკრისკენ. არ უნდოდა ნასვლა, მაგრამ მეგობარს უარი ვერ უთხრა.

მეგობრებმა ხელი გადახვიეს ერთმანეთს და წყაროსკენ წავიდნენ. ადგილზე როდესაც მივიდნენ, გოგლამ კოკა იქვე ახლოს, ხის ძირას დადგა და მეგობარს გაუღიმა.

- რა იყო? შენ წყალი კი არა, სხვა რაღაცა გაქ ჩაფიქრებული. - უთხრა ბალამამ და პასუხის მოლოდინში წყალი სახეზე შეისხა.

- ბიჯო იოსებ, - მორცხვად წარმოთქვა ლეონიძემ, - არავისთვის მითქვამს, ლექსი დავწერე და მიწა, რომ პირველად შენ წაგიკითხო.

- მაგისთვის გამაღვიძე, ბიჯო? ცოტა გვიან ვერ წამიკითხავდი?

- რას ამბობ, იოსებ, გათენებას ველოდებოდი, მთელი ღამე არ მეძინა, - უპასუხა გოგლამ და უბის ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, მერე ისევ მეგობარს შეხედა და განაგრძო, - უნდა მომისმინო.



- რომელი სოლომონ ბრძენი მე ვარ, - გაეცინა ბალამას, -
წერა-კითხვა კი ვიცი, მასწავლეს ჩემებმა, მაგრამ ...

- შაირები ხო იცი? - აღარ დაამთავრებინა სიტყვა გოგლამ.

- შაირები ვიცი, მაგრამ დედის შეგინებაზე არ იყოს. -
თქვა ბალამამ და სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

- ჰოდა, მისმინე, - უთხრა გოგლამ და და ოთხად დაკეცი-
ლი ქალაღი გაშალა, - მცხეთა! აბა, მისმინე.

გოგლამ დიდი შემართებით წაუკითხა მეგობარს ლექსი.
ბალამამ უსმინა, უსმინა და როგორც კი დაამთავრა გოგ-
ლამ კითხვა, უთხრა:

- პატარძელზე უნდა დაგენერა. სად ჩვენ და სად მცხეთა?

- მაშ, არ მოგეწონა, იოსებ?

- მამეწონა, როგორ არა, შაირივით არ არის, უფრო
იორივით მიდის და მიიმღერის.

- როგორ იორივით? - იკითხა გოგლამ.

- აი, ეგრე რა, იორივით ბუბუნით მესალბუნება.

ბალამა, ლექსების ცოდნასთან ერთად, კარგი მოშაირეც
იყო. ხუთასი თუ ექვსასი შაირი იცოდა ზეპირად. მხოლოდ
უხამს შაირებს და მოშაირეებს ვერ იტანდა და თავის მო-
წინააღმდეგეებთან ამ თემაზე ყოველთვის კამათი ჰქონდა.
გოგლამ კარგად იცოდა მისი მიდრეკილება შაირებისადმი
და ხალხური პოეზიისადმი და ამიტომაც წაუკითხა ლექსი.
გოგლას უხაროდა, ბალამამ ლექსი ივრის ბუბუნს რომ შეა-
დარა, გონებაში გაუელვა: „ესე იგი, კარგად დამიწერიო“.

წლები გადიოდა. მუდმივი ამ ქვეყნად ღმერთის გარდა
არავინ და არაფერია. გოგლას და ბალამას გზებიც ცხოვ-





რებამ გაჰყარა. გოგლა მშობლებმა სასწავლებლად სასულიერო სემინარიაში შეიყვანეს, ხოლო ბალამა მშობლებმა თბილისში წაიყვანეს და მოჯამაგირედ დაანყებინეს მუშაობა. ივრის ნაპირებზე და უბატონო სოფელში გაზრდილი ყმანვილი მოჯამაგირეობას ვერ შეეგუა და თვრამეტი წლისა მეფის, როგორც მას ხალხში უწოდებდნენ, „ნიკოლოზას ჯარში“ წავიდა. ბრძოლაში პირველი საბრძოლო „ნათლობა“ ოსმალეთის ფრონტზე მიიღო. ჯოჯოხეთურ ყინვაში, გაუვალ მთებში, „არწივის ბუდე“ რომ უწოდებენ, ლეგენდარულ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად ებრძოდა თურქ დელიბაშებს. ამ ამბების შემდეგ ბალამას ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს.

V

სართიჭალაში ცხენოსანი მილიციის უფროსად მსახურობდა ვინმე ვალოდია მიქელაძე, რომელიც ცნობილი იყო დაუნდობელ და კაცთმოძულე არსებად. მასთან ურთიერთობას ყველა გაურბოდა, შინაურიც და გარეულიც. კაცის კვლა მისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ პროცესს იმდენად შეჩვეოდა, რომ თითქმის სასიცოცხლო მოთხოვნად ჰქონდა გადაქცეული. ამიტომ თუ ვინმე დასახვრეტი იყო მას ავალებდნენ და ისიც თავისი მილიციელების მეშვეობით „პირნათლად“ ასრულებდა ამ მოვალეობას.

იმ ქარიან და საშინელ დღესაც, როდესაც პატარძეულელები და მარტყოფელები დაიჭირეს, ვალოდია თავისი ცხე-



ნოსანი რაზმით ჩეკას შენობის ეზოში შევიდა, ცხენიდან ჩამოხდა და პირდაპირ თოდუას კაბინეტისკენ გასწია. ცალი თვალით გადახედა ღია ცის ქვეშ დაყრილ და გაკოჭილ მარტყოფელებს, ჩაიცინა, მარჯვენა ხელში მაგრად ჩაბღუჯული მათრახი შეათამაშა და შენობაში შევიდა. პატიმრებს ხასიათი ნაუხდათ. მიქელაძის გამოჩენა სიკვდილის გამოჩენის ტოლფასი იყო. დღეს ბევრისთვის დაბნელდებოდა ისედაც სქელ ღრუბლებში გაუჩინარებული მზე.

უფროსის კაბინეტში შესულ მიქელაძეს თოდუა სანერ მაგიდაზე დამხობილი დახვდა. ხმაურზე ჩეკას უფროსი წამოიწია, წელში გასწორდა და მიქელაძეს მრისხანე მზერა ესროლა.

- რა გჭირს, უფროსო!? - იქედნურად იკითხა ვალოდიამ,
- ვინმემ ხომ არ გაგაჯავრა... ჰა!?

თოდუამ ხელი ჩამოართვა ერთგულ კაცის მკვლელს და გაბრაზებულმა წამოიძახა:

- ერთი პატიმარი მყავს, მაისურაძე. ვერაფრით გამოვტეხე. დახვრეტაც არ მინდა ჯერ, ინფორმაციის მატარებელია, ბევრი რამ იცის, მაგრამ ჯიუტია, არ ამბობს.

თოდუამ დამალა, რომ უფრო იმიტომ იყო გაბრაზებული და ანერვიულებული, რომ ხელებშეკრული კაცი ვერ სცემა და უფრო უარესიც, მისი დასაცინი გახდა.

ათას ბინძურ საქმეებში გამოზრძმედილი მიქელაძე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, გაეცინა და თქვა:

- ჩემი პატიმარი რომ იყოს, უფროსო, ვასწავლიდი ჭკუას, მაგრამ მე შენ პატიმართან რა საქმე მაქვს.



- ოღონდ მაგის ოხტში ამომიყვანე, - იყვირა თოდუამ, - დააფქვევინე ყველაფერი, მერე დახვრიტე, გაძლევ უფლებას და ჩემს თავზე ავიღებ ყველაფერს.

მიქელაძეს ხმა არ ამოუღია. გაეხარდა, ასეთი საქმე რომ მისცა უფროსმა. ის იყო წასვლა დააპირა, რომ თოდუამ შეაჩერა და უთხრა:

- მოდი, პატარძეულელების ქკუის სასწავლებლად, ჯერ ის მარტყოფელები მოიშორე, იქნება ესენი ალაპარაკდნენ, თუ არა და პირველი ბალამა დახვრიტე და მერე დანარჩენი.

- ჰოო! - წამოიძახა აღფრთოვანებულმა მიქელაძემ, უღვაშზე ხელი გადაისვა და განაგრძო - ეს უკვე საქმეა, მადლობა, უფროსო. ჩემზე იყოს!

ვალოდია მიქელაძე ეზოში გავიდა, ირონიული ღიმილით გადახედა მიწაზე უმწეოდ დაყრილ პატიმრებს, ერთი მაგრად გადაიხარხარა და თავისთან უხმო მილიციელ შაქრო ბროლაშვილს.

- გისმენ, უფროსო! - მოსვლისთანავე წამოიძახა შაქრომ და მიქელაძის წინ ჯერ ოთხად მოიკაკვა და მერე ისე გასწორდა წელში, რომ ტყეში ღობის სარად გამოთლილ ხის ნაჭერს შემუურდებოდა მისი.

- მიდი, ბიჭები შეკრიბე და ამ მარტყოფელებს წყალი ამოატანინე ივრიდან!

- არის, უფროსო! - იყვირა შუბლზე მარჯვენახელისმტევანმიდებულმა ბროლაშვილმა, სწრაფად შებრუნდა ზურგისკენ და გაიქცა მეორე ეზოსკენ, სადაც მილიციელების ოთახი მდებარეობდა.



მდინარე ივრიდან წყლის ამოტანა ნიშნავდა პატიმრებისთვის საბოლოო განაჩენის გამოტანას. მილიციელებს მიჰყავდათ პატიმრები იორზე წყლის ამოსატანად, მერე ვითომ ადგილი ჰქონდა გაქცევის მცდელობას და ადგილზე ხდებოდა მათი ლიკვიდაცია. ეს აპრობირებული მეთოდი ახლაც იქნა გამოყენებული და თორმეტი მარტყოფელი მამულიშვილი შეუერთდა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ იმ ათეულობით გულანთებულ პატრიოტთა სულებს, რომლებიც ვერაგულად იყვნენ მოკლულნი ბოლშევიკური რეჟიმის მიერ.

მიუხედავად ძლიერი ქარისა, დატყვევებულ პატარძეულელების ყურამდე მოაღწია სროლის ხმამ. ხელებდაბორკილმა ბალამამ თვალებით პირჯვარი გადაინერა, ცრემლი ჩამოუგორდა მკერდზე, მერე მეგობრებს შეხედა და გულამოსკენილმა წარმოთქვა:

- ღმერთმა გაანათლოს მათი სულები! არავინ ვიცით, ხვალ რა მოგველის ჩვენ.

VI

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის რევოლუციამ თავდაყირა დააყენა ანტანტის გეგმები. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამ თითქმის დაშლის პირას მიიყვანა ერთ დროს ურყევი და მსოფლიო ბატონობისთვის გამზადებული მეფის რუსეთის იმპერია. ახალმა მთავრობამ თურქეთში მებ-



რძოლ რუსეთის არმიას მოუწოდა, დაეტოვებინათ ფრონტის ხაზი და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ბალამას მთავრობის განკარგულებამ ერჯიჯანში მოუსწრო. უთავბოლოდ არეული ჯარი უწესრიგოდ იხევდა უკან და მათი უპატრონოდ დატოვებული ქონება შეტევაზე ნამოსული თურქების ნადავლი ხდებოდა.

თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებული ბალამა ნავთლულის რკინიგზის სადგურზე ჩამოვიდა მატარებლიდან. მეორე ლიანდაგზე ჯავშნიანი მატარებელი შენიშნა და იქვე მდგომ რკინიგზის თანამშრომელს მიმართა:

- გამარჯობა, ძმობილო! მე ახლახანს ჩამოვედი თურქეთის ფრონტიდან და მეგონა, რომ ომი დამთავრდა. აქ კი ჯავშნიანი მატარებელი და შეიარაღებული ხალხი დამხვდა. რაშია საქმე, ხომ ვერ მეტყვი?

- შენ რა, არ გაგიგია? - უპასუხა რკინიგზის მოხელემ, - საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ჩვენს გვარდიელებს ხშირად უწევთ აჯანყებულების დასაშოშმინებლად ცხელ წერტილებში გასვლა. ამიტომ ჯარის სრული მზადყოფნაა გამოცხადებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ბალამამ აღარაფერი უპასუხა რკინიგზის თანამშრომელს და დაადგა სახლისკენ მიმავალ გზას. ფეხით ავიდა პატარძელში. მშობლიურმა გარემომ და სუფთა ჰაერმა მაშინვე მოუხსნა ბალამას მგზავრობით განცდილი დაღლილობა. გახედა ესტატეს მთას, საიდანაც სოფელს წმიდა ევსტათი მცხეთელის ეკლესია გადმოჰყურებდა, გადაიწერა



პირჯვარი და შიოს უბნისკენ განაგრძო გზა. მალევე მივიდა კიდევ ერთ წმიდა ადგილას, სადაც ღვთისმშობლის ხარების და წმიდა შიო მღვიმელის ეკლესიები იყო აგებული, შვიედა ტაძრის ეზოში, მუხლი მოიყარა უფლის სახლის წინაშე და მადლობა გადაუხადა შემოქმედს, სახლში მშვიდობით დაბრუნებისათვის. მერე ფარაჯის ჯიბეებისკენ წაიღო მარჯვენა ხელი - „იქნებ სანთელი მქონდეს, დავანთო“ - გაიფიქრა ბალამამ, მაგრამ ამოდ, არ აღმოაჩნდა. დაღონებული წამოდგა, შეტრიალდა ჭიშკრისკენ და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ზურგს უკან ქალის ხმა შემოესმა:

- იოსებ შვილო, შენა ხარ?

ბალამა უმალ შემოტრიალდა. მის წინ შუახნის ქალბატონი იდგა, როგორც ამბობენ - „ადამიანის ენით აუნერეული სილამაზის“. ვერ იცნო ბალამამ და ვერც ჰკითხა ვინაობა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შერცხვა, რომ ვერ იცნო თანასოფლელი, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ქალისგან რაღაც არაამქვეყნიური სითბო მოდიოდა. ბალამა გამეშებულიყო ადგილზე და საქვეყნოდ ცნობილი მოშიაირე კაცი სიტყვებს ეძებდა პასუხის გასაცემად. ბოლოს, ისევ უცნობმა ქალბატონმა იხსნა უხერხულობისაგან. დიდი კელაპტარი მიანოდ და და უთხრა:

- უფალი ლოცულობს, შვილო, შენთვის. შენი მშვიდობით ჩამოსვლისთვის ეს კელაპტარი დაუნთე უფალ იესო ქრისტეს. შენს თავზე კიდევ ბევრი სიძნელეები გადაივლის, საუკუნის ზურგზე მოკიდება მოგინევს, არ გექნება დალხინებული ცხოვრება, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდება.





ბალამამ კელაპტარს დახედა, მერე ისევ უცნობ ქალბატონს შეხედა და ბოლოს აკანკალებული ხმით შეეკითხა:

- სად დავანთო, დეიდა, ეს კელაპტარი?

- გამომეყევი მე და ტაძარში თვითონ დაინახავ უფლის ხატს და მის წინ მდგარ სასანთლეს. აი, იქ დაანთე.

ბალამა ცხვარევით გაჰყვა უცნობ ქალს, რომელიც ხარების სახელობის ტაძარში შევიდა. ბალამა მცირე ხნით შეჩერდა ტაძრის ზღურბლთან, წესისამებრ პირჯვარი გადაინერა, ეკლესიის კარს ეამბორა, ჯვარს შუბლით შეეხო და მერე შევიდა უფლის სახლში. ჰოი, საოცრებავ... იქ არავინ დახვდა. კელაპტარი აანთო, მამაო ჩვენო ნაიკითხა, მერე სასანთლეზე დაამაგრა და მარცხენა მხარეს დაბრძანებულ ღვთისმშობლის ხატისკენ გაიხედა და სახტად დარჩა. ეს ხომ ის ქალბატონი იყო, რომელიც მას ტაძრის ეზოში გამოეცხადა, რომელიც იოსებმა ვერ იცნო და დეიდათი რომ მიმართავდა.

ბალამა დიდხანს დარჩა ტაძარში და გამუდმებით ევედრებოდა უფალს და დედა ღვთისას სამშობლოსა და ერის გადარჩენას.

მოსალამოვებული იყო უკვე, ბალამა საკუთარი ეზოს ჭიშკარს რომ მიადგა. მისი ძმა, მიხეილი იჯდა ეზოში ხის ქვეშ და იარაღს წმენდდა. გაუხარდა ძმის დაბრუნება. გადაეხვივნენ ერთმანეთს, თბილად მოიკითხეს და იქვე სახლის წინ სახელდახელოდ გამართულ სკამზე დასხდნენ. ბალამამ შეათვალიერა მიხეილის საბრძოლო იარაღი და ჰკითხა ძმას:



- ეს ახალი იარაღია?

- ჰო! ახალმა მთავრობამ დაგვირიგა. ქართული გვარდიის ნევრი გავხდი და ხვალ უკვე საბრძოლველად გავდივართ ოსეთში. - უპასუხა მიხეილმა, მერე იარაღი მოიმარჯვა და წმენდა განაგრძო.

- ოსეთში რა ხდება, მიხეილ? - იკითხა ბალამამ.

- როგორც კი საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, - თქვა მიხეილმა, იარაღის წმენდას თავი დაანება, ძმას ხელი გადახვია მხრებზე და განაგრძო, - ოსებმა შეიარაღებული გამოსვლები დაიწყეს. მთავრობამ აჯანყების ჩასახშობად გვარდიის ნაწილები გააგზავნა მაჩაბელისა და კეცხოველის ხელმძღვანელობით. ოსებმა ჩვენი მეთაურები დახოცეს და გვარდიის ჯარისკაცები კი ტყვედ აიყვანეს...

- რას ამბობ, ძმაო! - აღშფოთდა ბალამა, - რა ძაან თავხედებულან ეგ ქერიჭამიები! მერე რას აპირებს მთავრობა, უნდა შეარჩინოს!?

- არა, რას ამბობ, იოსებ, - მწარედ გაეცინა მიხეილს, - ეგე, მაგისტვინ ვემზადები. ნავთულში ჯავშნიანი მატარებელი ხომ ნახე?

- მაშ, მაშ, ძმაო! - დაუდასტურა ბალამამ.

- ეგა გოგუაძის მატარებელია და ხვალ მაგით გავდივართ ცხინვალისკენ, - განაგრძო საუბარი მიხეილმა, - გორამდე მიგვიყვანს, ალბათ, და მერე ბრძოლით მოგვინვეს გზის გაკაფვა.

- ჰოდა, აბა, მეც მოვდივარ! - იყვირა ბალამამ, მარდად წამოხტა სკამიდან, ხეზე მიყუდებულ თურქეთის ფრონტი-



დან გამოყოლილ თავის თოფს დაავლო ხელი, გადატენა და ისროლა ხის კენწეროსკენ, - მაგ უმადურებს ვაჩვენებ, როგორ უნდა მასპინძელი ერის შვილების დახოცვა! აქ რა მამასვენებს, როცა სამშობლო განსაცდელშია!

პატარძეულელები ჯიმ-ჯილაგით მეომრები იყვნენ. დასაბამიდან პატარძეული და ბერთუბანი სამეფო სოფლები იყო, მოსახლეობის ბატონ-პატრონი და მოსამართლე მეფე გახლდათ. ამიტომაც ამ სოფლებში თავმოყრილნი იყვნენ მეფის ერთგული და ბრძოლებში გამობრძმედილი მეომრები. მათ სულში იმდენად დავანებულიყო ეს გრძნობა, რომ ბავშვი რომ იბადებოდა, მისთვის სხვა საქმე, ომის გარდა, არ არსებობდა და არც მოიაზრებოდა. ბალამა და მიხეილიც ასეთი მამულიშვილური გენის მატარებელნი იყვნენ და ამიტომაც მიისწრაფვოდნენ იქით, სადაც მათ სამშობლო ეძახდა.

VII

დილით, საკნის ფანჯარაზე ვილაცამ დააბრაახუნა და იყვირა:
- მაისურაძე! შე ნაგავო! მარტყოფელების ამბავი გაიგე?!

ბალამამ იცნო ვალოდია მიქელაძის ხმა. იმასაც მიხვდა, რომ ეს კაცის მკვლეელი, მის მოსაკითხად არ იყო მოსული და რაღაც მზკვრული საქციელი ჰქონდა ჩაფიქრებული. მიქელაძე კი არ ცხრებოდა:

- მაისურაძე! თუ არ ალაპარაკდები მარტყოფელების ბედს გაიზიარებ!



ბალამას ხმა არ ამოუღია, იჯდა საკნის ბნელ კუთხეში და პირფვარს იწერდა. ამ დროს გაიღო კარი და საკანში მილიციელი შაქრო ბროლაშვილი შემოვიდა. ბროლაშვილმა თვალი მოავლო პატიმართა ოთახს, მზერა ბალამაზე შეაჩერა და მჭახე ხმით იღრიალა:

- მაისურაძე, როგორა ხარ, შე მოლალატე!?

- კარგად ვარ, შაქრო, მაგრამ მოლალატე არ ვარ! - უპასუხა ბალამამ.

- ჰოდა, ახლა იქნები! წამოეთრე, უფროსი გეძახის! - იყვირა ისევ ბროლაშვილმა, ხელი დაავლო ბალამას, რომელიც წამოდგომას აპირებდა და ხელის კვრით დერეფანში გააგდო, - ეზოში გაეთრე, შე ნაგავო, შენი დედაც ...!

ეზოში ცივი ქარი დაშლივინობდა. ვალოდია მიქელაძე ქურქში გამოწყობილი იდგა დაჭრილი შეშის გროვასთან, ხელში მაგრად ჩაებლუჯა მათრახი და იქიდან უყურებდა, როგორ მოჰყავდა შაქრო ბროლაშვილს ბალამა.

- მამ, არა ტყდები, არა!? - უყვირა მიქელაძემ ბალამას.

- რაც არ ვიცი, რაში უნდა გამოგიტყდეთ, უფროსო! - მიაგება სიტყვა ბალამამ.

- ჰოდა, მაშინ შენი დედაც ...! - იღრიალა მიქელაძემ და წინასწარ მომარჯვებული მათრახი გადაარტყა ბალამას.

ზურგზე მწარე ტკივილი იგრძნო ბალამამ. აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მეორედ დაარტყა მიქელაძემ მათრახი. მერე მესამედ დაარტყა და თან დააყოლა:

- შენი დედაც ...! მე შენ თოდუა ხომ არა გგონივარ! ვის იგდებ მასხრად! ცემაში ამოგხდი სულს და არც არასდროს ვინანებ, შე ნაგავო! ...



ბალამა მესამე დარტყმის შემდეგ მუხლებზე დავარდა, მის გარშემო ყველაფერი ბრუნავდა, ბეჭებში საშინელ ტკივილს გრძნობდა. ხელები შეკრული ჰქონდა და ამის გამო წონასწორობასაც ვერ იცავდა. მიქელაძემ შეშის დიდ ნაჭერს დაავლო ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაარტყა ბალამას თავში. ამ საშინელი დარტყმის შემდეგ მაისურაძე გაითიშა და გონს მხოლოდ მას შემდეგ მოეგო, როდესაც საკანში პატიმრები სახეზე და სხეულზე წყალს ასხამდნენ. როგორც იქნა ბალამა მოტრიალდა ამქვეყნად, თვალები გაახილა, დაინახა, რომ უამრავი თვალი უყურებდა ზევიდან და პირველი, რაც მოიმოქმედა ის იყო, რომ გაეცინა...

- მაგ სიცილისათვისა გკლავენ, შე უბედურო! - დასძახა ზევიდან ერთ-ერთმა პატიმარმა, - და კიდევ არ იშლი!

პატიმრებს როგორც შეეძლოთ, ისე უპატრონეს ბალამას. ჭრილობების შეხვევას მისი პერანგიც „შეენირა“. შუალამეს, როგორც იქნა, ცოტა შვება იგრძნო და ჩაეძინა. არ გავიდა მცირე დრო და საკნის კართან მილიციელ ბროლაშვილის ხმა გაისმა:

- მაისურაძე, წამო ივრიდან წყალი ამოიტანე! ამაღამ შენი რიგია!

პატიმრები უცებ წამოდგნენ ფეხზე, ყველამ იცოდა, რასაც ნიშნავდა ივრიდან წყლის ამოტანა. მცირე დუმილის შემდეგ გომბორელი ძებნიაურის ხმა გაისმა:

- არავის სჭირდება ამ შუალამეს წყალი! ხოლო თუ ბალამას წაყვანა დასახვრეტად გინდათ, ხომ იცით, რომ ხვალ პატარძეულის მთელი მოსახლეობა აქ გადმოვა და არ და-



გადგებათ კარგი დღე! ყველამ იცის, რომ წინა ღამეს თორმეტი უდანაშაულო მარტყოფელი დახვრიტეთ!

- შენ გაჩუმდი, თორემ შენც ზედ მიგაყოლებ! - არ იშლიდა თავისას ბროლაშვილი.

- მიმაყოლებ და მთის კანონი ხომ იცი! - იყვირა ძებნი-აურმა, - სისხლის აღება ვიცით და შენს მოდგმაში გვარის გამგრძელებელი აღარ დარჩება!

ამ სიტყვების შემდეგ, ბროლაშვილს ხმა აღარ ამოუღია. დილაძე სიჩუმე ჩამონვა საპატიმროში.

დილით, საკანში მილიციის უფროსის თანაშემწე შემოვიდა, ერთ-ერთ მილიციელთან ერთად. მას ყველა პატიოსან კაცად იცნობდა და უკვირდათ კიდეც, ამ ხალხთან როგორ მუშაობსო.

- მაისურაძე, წამოდი! - თქვა თანაშემწემ და მერე მილიციელს მიუბრუნდა, - აკალოტკაში წაიყვანე და მიხედე!

მილიციელმა ჯერ ბორკილები მოხსნა ბალამას, მერე ხელი მოჰკიდა და გზის მეორე მხარეს გაემართნენ, სადაც აკალოტკა ანუ საექიმო უბანი იყო განთავსებული. მილიციელმა დრო იხელთა და ბალამას თითქმის ყურში ჩასჩურჩულა:

- მე არსად გამომაჩინო, რასაც ახლა მე შენ გეტყვი, ჩვენში უნდა დარჩეს. ესენი მეტს ვერაფერს გიზამენ, რადგან მიქელაძის უმსგავსო საქციელმა ზედა ეშელონებში გაჟონა და თოდუას საყვედური უთხრეს. წუხელ შენი მოშორება უნდოდათ, მაგრამ ველარ გაბედეს, ამიტომ გინდაც დაკითხვაზე დაგიძახონ, არავის არაფერი უთხრა.



აკლოტკაში ბალამას ჭრილობები დაუმუშავეს, შეუხვიეს და მერე თოდუას კაბინეტში მიიყვანეს. ჩეკას უფროსი სანერ მაგიდასთან იჯდა და რალაც ქალაღდებს ათვალერებდა. როგორც კი თანაშემნემ ბალამა შეიყვანა კაბინეტში, თოდუამ სათვალე მოიხსნა, მაგიდაზე დადო, შეხედა ბალამას და ნირნამხდარმა ნარმოთქვა:

- მეორედ ასე ადვილად ველარ გამოხვალ. ახლა ნათერიე შენს სახლში და ჭკვიანად მოიქეცი, თორემ ნყალს ივრიდან კი არა, მტკვრიდან მოგატანინებ.

ბალამამ კარგად იცოდა, ასე იოლად გათავისუფლება რასაც ნიშნავდა. ის მუდმივი თვალთვალის ქვეშ ეყოლებოდათ და სულ პატარა მიზეზის გამოც კი შეეძლოთ შეებრუნებინათ სატუსალოში.

დანარჩენი პატიმრები, რომლებიც ბალამასთან ერთად ისხდნენ საკანში, მატარებლით გუბერსკის ციხეში გადაიყვანეს. გამცილებლად კი დაცვასთან ერთად, შაქრო ბროლაშვილიც გააყოლეს. არავინ იცის, იქ რა მოხდა, მაგრამ დიდი ხნის ძებნის შემდეგ, შაქროს გვამი რკინიგზის პირას ერთ-ერთ ხევში იპოვეს. როგორც გაირკვა, ის მატარებლიდან იყო გადაგდებული, როდის, რანაირად და რა ვითარებაში ეს საქმე გაუხსნელი დარჩა. ასევე უგზო-უკვლოდ დაიკარგა ვალოდია მიქელაძეც.



VIII

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში თითქმის ყველა ძირითად რეგიონში დაიძაბა სიტუაცია. ქვეყნიდან რუსეთის მეფის ჩინოვნიკებისა და შესაბამისად საჯარისო ფორმირებების გასვლის შემდეგ დაიწყო სეპარატისტული მოძრაობები. ბევრი ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც რუსეთის მფარველობით სარგებლობდნენ და ძირს უთხრიდნენ საქართველოში ეროვნული ურთიერთობების განვითარებას, აჯანყდნენ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და ქვეყნიდან გამოყოფის იდეაც წამოაყენეს. ამ საკითხში განსაკუთრებული გულმოდგინება გამოიჩინეს სამაჩაბლოში მცხოვრებმა ოსებმა, რომლებმაც მდინარე ლიახვზე დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ხიდი დაანგრის, ტყის პირას საბრძოლო კოშკები ააგეს, იქ გამაგრდნენ, ელოდებოდნენ ქართული გვარდიის ნაწილების შემოტევას და მათი დამარცხების შემთხვევაში გამოაცხადებდნენ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

ქართული გვარდიის ნაწილები გორამდე ჯავშნიანი მატარებლით ჩავიდნენ, ხოლო შემდეგ სათანადო განწესებით ფეხით დაიძრნენ ცხინვალისკენ. მზვერავების მიერ მოტანილი ინფორმაციით, ოსები მზად იყვნენ საბრძოლველად და ამისთვის შესაბამისი თავდაცვითი ნაგებობების მოწყობაც მოესწროთ. დამარცხების შემთხვევაში ისინი, ტყის პირას აგებული კოშკებიდან, ტყის სიღრმეში შევიდოდნენ



და იქიდან გააგრძელებდნენ პარტიზანულ ბრძოლას. ერთი შეხედვით აჯანყებულების განეიტრალება არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ სიტუაციას ართულებდა ის გარემოება, რომ მათ პირველი ბრძოლიდან ქართული გვარდიის მებრძოლები ჰყავდათ ტყვედ აყვანილი და დამარცხების შემთხვევაში მათ ლიკვიდაციას მოახდენდნენ. ყველაფერს ზუსტი გათვლა სჭირდებოდა და ამიტომაც საქართველოს დროებითმა მთავრობამ ამ ოპერაციის განხორციელება სულით ხორცამდე ქართველს - ვალიკო ჯუღელს ანდო.

სამხედრო შტაბმა გადანყვიტა, რომ კოშკებში გამაგრებული ოსებისთვის ერთ ასეულს ზურგიდან უნდა დაერტყა, ხოლო ამის შემდეგ, მეორე ასეული პირდაპირ შეტევაზე უნდა გადასულიყო. დაზღვევის მიზნით, ზურგიდან დამრტყმელი ასეულის უკან უნდა მდგარიყო პოლკოვნიკ იულიანე ჩახავას ცხენოსანი რაზმი, რომელიც ვითარებიდან გამომდინარე ჩაერთვებოდა ბრძოლაში. მესამე ასეული კი, ბრძოლის მიმდინარეობისას უნდა შეჭრილიყო ცხინვალში და საჭიროების შემთხვევაში აიყვანდა მძევლებს.

ბალამა და მისი ძმა, მიხეილი, როგორც კარგი მსროლელები, პირველ ასეულში მოხვდნენ. ღამე მდინარის პირას ტყეში გაათენეს. ბალამა ვერ ისვენებდა, სულ ცისკენ იყურებოდა, უნდოდა, რომ მალე დამდგარიყო რიჟრაჟი. ჯარისკაცებს თვალზე რული არ ეკარებოდათ, მებრძოლთა ასეული ყალყზე დამდგარ ცხენს ჰგავდა, რომელსაც მხედარი აღვირით იჭერდა. ცხენი კი საბელის მოხსნას ცდილობდა და წინ გაჭრას ლამობდა.



- ჰაი დედასა! - გადაულაპარაკა ბალამამ მიხეილს, - რა დრო დაგვიდგა, ჩვენგან ადამიანებად ქცეული ეს მათხოვარი ქერიჭამია ოსები ქართულ მინა-წყალზე რესპუბლიკას რომ ითხოვენ!?

- რუსებმა გააბრიყვეს ეს უბედურები, - მწარედ გაეცინა მიხეილს, - იმ დღეს ვეშაპელის გაზეთ „კლდეში“ ვკითხულობდი: „ცხინვალში ათასამდე კომლი სხვადასხვა რჯულის ქართველი, ისრაელი, მართლმადიდებელი და გრიგორიანი ცხოვრობსო. ხოლო ოსობა სულ რაღაც ოციოდე კომლიაო“.

- რას ამბობ, მიხეილ! - შეიცხადა ბალამამ, - აბა, ჩვენ ახლა ვის უნდა ვებრძოლოთ!?

- რუსებს, იოსებ! რუსებს! - უპასუხა მიხეილმა და ხელი ჩაიქნია, - რუსებს უნდათ, რომ ცხინვალი არარსებული ოსეთის დედაქალაქად აქციონ და მერე აქ ჩამოთესონ ათასი რჯულის მანანწალა და მათხოვარი, რომელთაც წლების შემდეგ თავზე დაასვამენ ჩვენს შვილებს! მათ!

- ჰოდა, დაცვხოთ, ამათი დედაც! - გამოსცრა კბილებში ბალამამ, - ნეტავ, დროზე გათენდეს, მაგათ სისხლს დავლევ!

- თან ქალაქის სახელიც შეურჩევიათ! - არ ცხრებოდა მიხეილი.

- რაო, რა დავარქვათო? - იკითხა ბალამამ.

- ტარება! ასე წერს ვეშაპელი.

- ეგ რაღა ჯანაბაა!?

- აბა, რა ვიცი! - გაცხარდა ისედაც წერვებმოშლილი მიხეილი, - წადი და ვეშაპელსა ჰკითხე. თან გიმნაზიაც უნდა გავუხსნათ ოსებსო!



- ჰოდა, დილით გაეუხსნი მაგათ გიმნაზიას, - ჩაიბურღლუნა ბალამამ და მკერდზე ჩახუტებულ თოფს ხელის გული გადაუსვა.

როგორც კი ირიჟრაჟა, მთავრობის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე. როგორც ჩანდა, მონინალმდეგის დაზვერვამ შენიშნა ზურგიდან მომავალი ასეული და მთელი ძალები მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართა. პირველივე ნასროლი ტყვია ასეულის მეთაურს მოხვდა და ადგილზევე მოკლა. ამან დაბნეულობა გამოიწვია ასეულის რიგებში, მაგრამ რეზერვში მდგარმა ჩახავას ცხენოსანთა რაზმმა ორივე ფლანგიდან მყისიერად შეუტია ოსების კოშკებს და უპირატესობაც მოიპოვა. მანამდე კი, ასეულის მსროლელებმა მოასწრეს პოზიციებზე განლაგება და ცეცხლი გაუხსნეს სამშობლოს მოღალატეებს. მეორე ასეულმაც გახსნა ცეცხლი და მონინალმდეგემ თეთრი დროშა გადმოფინა სიმაგრიდან. ოსებმა მოლაპარაკება მოითხოვეს. ამასობაში მესამე ასეულმა პატრულირება დაიწყო ცხინვალში და სეპარატისტები იძულებულნი გახდნენ, ტყვეები გაენთავისუფლებინათ, ხოლო თვითონ ჩაბარებოდნენ სამთავრობო ჯარების ხელმძღვანელობას.

გვარდიელები ზეიმობდნენ გამარჯვებას. ერთადერთი, ვინც არ უერთდებოდა საერთო სიხარულს ბალამა იყო. იდგა ერთ ადგილას გაშეშებული და ილანძღებოდა:

- ამათი დედაც ...! რა მალე დამთავრდა... კარგად ვერ გადავუარე ამ უჯიშოებს...!



IX

სართიქალის ჩეკას პატიმრობიდან გათავისუფლებული ბალამა ცდილობდა, სწრაფად დაეტოვებინა ეს ცოდვის ბუნაგი, მაგრამ იმდენად სტკიოდა ნაცემი სხეული, რომ ნაბიჯების გადადგმა უჭირდა. მიუხედავად ამისა, მოიკრიბა ძალ-ღონე და დაადგა ივრის ხეობისკენ მიმავალ დაღმართს. იორზე გადასვლა გაუჭირდა. წყალი ყინულივით ცივი იყო, რაც ნაგვემი სხეულის ტკივილებს უათკეცებდა. ქალაში გადასულ მაისურაძეს გზად ერთი მწყემსი შეხვდა, რომელსაც საქონლისათვის ურმით თივა მიჰქონდა. ვინაობა ჰკითხა ბალამას.

- პატარძეულელი იოსება მაისურაძე ვარ, მოყვასო. - უპასუხა ბალამამ.

- მაშ, რადგან პატარძეულელი ხარ, კარგი კაცი იქნები, - მიუგო მწყემსმა, - მე ყარაბულახელი გოგია ვარ, ბლუამვილი. ამ ყინვაში იორზე რამ გადმოგიყვანა? ფონზე ვერ გადმოხვედ?

- რა დროს ფონის ძებნისა იყო, ძლივს გამოვალწიე აგე იმ საძაღლეთიდან. - სიცივისაგან აკანკალებული ხმით უპასუხა ბალამამ და ხელი ჩეკას შენობისკენ გაიშვირა.

- ბედი გქონია, - მწარედ გაცინა გოგიას, - მაიდან იშვიათია ცოცხალი გამოვიდეს ვინმე. ჯერ მარტო ამ ხეობაში იმდენი ჰყავთ დახოცილი, რომ კაცი ვერ დაითვლის. მანქანა როცა არა აქვთ, ხალხი დასახვრეტად რკინიგზაზე და ბალბიანში ვერ მიჰყავთ და ამიტომ აქვე, ახლოს ხვრეტენ. მენ ბედი გქონია, რომ გამოგიშვეს.



- ღმერთმა გადამარჩინა, დიდება მის სახელს! - თქვა ბალამამ და წყლისგან დასველებული ტანსაცმლის ალაგ-ალაგ განურვას შეუდგა.

- იოსებ, ძმაო, - უთხრა გოგამ ბალამას, - წამოდი ჩემთან სახლში, ტანსაცმელიც გაიშრე, დაისვენე და მერე გააგრძელე გზა შინისკენ.

- არ შეგანუხებ, ძმაო, - მიუგო ბალამამ, - როგორმე მივალწვე სახლამდე.

გოგია არ მოეშვა ნანამებ ბალამას და დაითანხმა სტუმრობაზე.

დაცარიელებულ სოფელ ყარაბულახში თებერვლის ცივი ქარი დაშლივინობდა და ყოველ ნაბიჯზე ისმოდა მიტოვებული ეზოს ჭიშკრების ჭრიალი. ყველაფერს ნაცრისფერი დასდებოდა. სახლებიდან აქა-იქ თუ ამოდიოდა კვამლი. აქაურობა მტრისგან განადგურებულ ნასოფლარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ერთ დროს აყვავებულ და სიცოცხლით სავსე დაბას.

გოგია მარტო ცხოვრობდა. ცოლი ადრე გარდაცვლიდა, ხოლო ერთადერთი ქალიშვილი თბილისში გაეთხოვებინა და მუდამ მისი და შვილიშვილების მოსვლის იმედით გასცქეროდა ქალაქიდან მომავალ გზას. მარტოსულის ყოველდღიური საზრუნავი საქონლის და მცირე საკარმიდამო ნაკვეთის მოვლა-პატრონობა იყო. დღენიადაგ სტუმარს მონატრებული, დღეს ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ მისი კარის ზღურბლი ადამიანმა გადმოლახა და კიდევ ერთმა მფარველმა ანგელოზმა დაივანა მის კერიაში.



სანამ ბალამა მონესრიგდებოდა, გოგიამ ბუხართან ტაბლა მოაჩოჩა. ზედ დაანყო დედას პურები, დოქით ღვინო, კომბოსტოს მწნილი, გამოყვანილი ლორი და ახლად ამოყვანილი ყველი. ბალამა მიიპატიჟა სუფრასთან, პირჯვარი გადაინერა, მერე ტაბლას გადასახა ჯვარი, პური გატეხა, ბალამას გაუწოდა და უთხრა:

- კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს ოჯახში, ძმაო. მოდი ახლა ერთი ჩემი გამოხდილი არაყი გადაჰკარი, შენს გაციებას მოუხდება.

გოგიამ პატარა ყანწში არაყი ჩამოასხა და მიანოდა სტუმარს. ბალამა არც დაფიქრებულა და სასმისი ბოლომდე ჩამოცალა, პურს აკოცა, მერე გატეხა და მასპინძელთან ერთად სადილობას შეუდგა. სტუმარ-მასპინძელმარამდენიმე სადღეგრძელო მიირთვეს, დანაყრდენ და საუბარი გააგრძელეს.

- გოგია, - დაიწყო ბალამამ, - შენც ჩემსავით რაჭველი კაცი ხარ და საიდან მოხვდი ჩვენს მხარეში?

- მამაჩემი ჩამოსულა რაჭიდან, აქაურ თავადს, ჩოლოყაშვილს დადგომია ყმად. მეც მის გზას გავეყვი, მაგრამ ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, აღარც თავადი გვეყავს და აღარც სოფელი სოფლობს. თავადი ბოლშევიკებმა გაგვიძევეს, ხოლო უპატრონოდ დარჩენილი მოსახლეობა გარშემო სოფლებში გადავიდა საცხოვრებლად, ზოგმაც ქალაქს მიაშურა.

- შენ რად არ წახვედი? - იკითხა ბალამამ.

- სად უნდა წავიდე, შენი კვნესა მე, - მიუგო დამწუხრებულმა გოგიამ, - მარტო გინდა აქა ვყოფილვარ და გინდა



სხვაგან. ორი დღე ნუთისოფელი დამრჩენია, იმ ადგილს ვერ მოვწყდები, სადაც დავიბადე და გავიზარდე. მეუღლე აქ მყავს დასაფლავებული. აბა, როგორ მივანებო თავი, ღმერთი არ მაპატიებს. აი, ეგრე ვარ გამოკიდებული ცასა და დედამინას შორის და ველოდები არსთა გამრიგეს.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს გოგიამ და ბალამამ. ბოლოს, ბალამამ მასპინძელს მადლობა გადაუხადა და წასასვლელად მოემზადა.

- დარჩენილიყავი, იოსებ, - უთხრა გოგიამ სტუმარს, - ამ ქარში სად უნდა იარო, კაცოოო! ხვალ გადადი პატარძელში.

- არ გამოვა, გოგია, ჩემი წაუსვლელობა.- თქვა ბალამამ, მასპინძელს მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა.

ბალამა ყარაბულახიდან პატარძელში მთებით გადავიდა. წმიდა ევსტათი მცხეთელის ეკლესია მოილოცა, ზევიდან გადახედა მშობლიურ სოფელს, რომელიც თითქოს რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში გარინდულიყო და დაეშვა მთის კალთაზე. როგორც იქნა ჩააღწია პატარძელამდე. ფეხებს ძლივს მიათრევდა. მიუხედავად ამისა, მაინც ეახლა ხარების ტაძარში დედა ღვთისას და მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის. იმ ჯოჯოხეთის ცეცხლიდან, რომელიც ჩეკაში ტრიალებდა, ასე იოლად გამოღწევა მხოლოდ უფლის დამსახურება იყო.





X

ცხინვალიდან თბილისში მობრუნებულ გვარდიელთა კორპუსს მთავრობის ახალი ბრძანება დახვდა. თურქებს გადმოელახათ აჭარაში საქართველოს საზღვარი და გამაგრებულიყვნენ ნატანებში მდინარე ჩოლოყთან. ბალამა ცხინვალის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის ჩარიცხეს გვარდიის რიგებში და გააგზავნეს თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოლო გვარდიის ათასეულს სათავეში ჩაუყენეს ვალიკო ჯუღელი და გენერალი კონიაშვილი. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა მდინარე ჩოლოყთან. ქართველებმა თურქების ექვსი იერიში მოიგერიეს და როდესაც უკვე მზად იყვნენ საპასუხო იერიშისთვის, თათრებმა დროებითი ზავი ითხოვეს.

- მოუხდათ შერიგება! მაგათი ჯიში ... - იგინებოდა ბალამა, - მაგათ უნდათ და მე მინდა!? მე უარზე ვარ!

- ჩვენ უარზე რომ იყოს აწყობილი ომი, ეგრე არ არის, ძმაო, - უთხრა მიხეილმა, - ეს უფროსობის ბრძანებაა და ჩვენ, როგორც გვარდიელები, უნდა დავემორჩილოთ, რასაც გვიბრძანებენ.

- მაშ, ჩვენი ბიჭების სისხლი შევარჩინოთ? - არ ცხრებოდა ბალამა.

ამასობაში ახლომდებარე რკინიგზაზე გამოჩნდა ორთქმავალი, რომელზეც თეთრი დროშა იყო მიმაგრებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება უნდა გამართულიყო. ბალამამ



დანიხაბა თუ არა ორთქმავალი, ტყვიამფრქვევიდან დაინყო სროლა, რასაც სხვა გვარდიელებიც აჰყენენ. თან ხმამაღლა ყვიროდნენ:

- პარაოზი ავაფეთქოთ! ... პარაოზი ავაფეთქოთ! ... ეს-როლეთ! ...

- სდექ! შეწყვიტეთ სროლა! - გაისმა მეთაურის ბრძანება, - ეს სამშვიდობო დელეგაციაა! ვინც კიდევ გაისვრის გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს!

თურქებმა უკან დახიეს, ხოლო გვარდიელებთან სამხედრო შტაბიდან გამოგზავნილი ოფიცერი გამოცხადდა და მეთაურის ბრძანება გააცნო. იკრძალებოდა ორთქმავალის მისამართით ყოველგვარი საბრძოლო მოქმედების წარმოება, რადგან იქ იმყოფებოდა თურქეთის მხარის სამშვიდობო დელეგაცია, რომელთანაც უნდა გამართულიყო მოლაპარაკება ცეცხლის დროებით შეწყვეტის თაობაზე. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე საქართველოს მთავრობა საზღვარგარეთ, წამყვან ქვეყნებთან, აწარმოებდა მოლაპარაკებას ახლად გამოცხადებული რესპუბლიკის აღიარების და მხარდაჭერის თაობაზე და ამიტომ საჭირო იყო თურქეთთან დროებითი ზავის დადება.

ეროვნული გვარდიის ის ნაწილი, რომელშიც ბალამა და მისი ძმა მიხეილი იყვნენ, გადაისროლეს სოფელ ბანძაში მთავრობის სანაღმდეგო გამოსვლების ჩასახშობად. ხოლო შემდეგ კი აფხაზეთის ფრონტზე.

საქართველოს მთავრობა მზად იყო აფხაზეთისთვის მიეცა ფართო თვითმმართველობა, ავტონომიაც კი, მაგრამ



აფხაზეთის სახალხო საბჭოს ლიდერებმა მეტი მოითხოვეს. მათ მიზნად დაისახეს თავიანთი უფლებების მაქსიმალურად გაფართოება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ასე, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება ვერ მოხერხდა. საქართველოს მთავრობამ გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაავალა აღნიშნული კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარება.

სოხუმში თავმოყრილი იყვნენ ყველა ის სეპარატისტული დაჯგუფებები, რომლებიც მხარს უჭერდნენ აფხაზეთის თვითგამოცხადებულ მთავრობას. ისინი გამაგრდნენ მდინარე კოდორთან. თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა ბრძოლა. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სტრატეგიულმა ნიჭმა თავისი გაიტანა, მოწინააღმდეგეს ყურადღება სულ სხვა მიმართულებით გადაატანინა და ქართული გვარდიის მეზობლებს საშუალება მიეცათ გადაელახათ ხიდი, სეპარატისტები ალყაში მოექციათ და თავისუფლად შესულიყვნენ სოხუმში. ამასობაში ბოლშევიკებმა აიღეს ტუაფსე, სოჭი, ადღერი, გაგრა, გუდაუთა და ახალი ათონის საზღვრებამდე მოაღწიეს. ბოლშევიკებს შავი ზღვიდან მიადგნენ დენიკინის ჯარები და შეტევაზე გადავიდნენ. გიორგი მაზნიაშვილმა გვარდიის ნაწილები დროებით გაარიდა ვითარებას და დამატებითი ძალების მოსვლამდე მეზობლები დისლოცირებულნი იყვნენ ტყვარჩელში. ვინაიდან ვალიკო ჯუღელი გაიგზავნა დუშეთში ოსების აჯანყების ჩასახშობად, გვარდიის იმ ათასეულის ხელმძღვანელად, რომელშიც ბალამა და მისი ძმა ირიცხებოდნენ, დაინიშნა სიმონ ხუხუნაიშვილი.



გვარდიის ნაწილები ახალი ათონის უკან მდებარე მთებზე განლაგდნენ და მოემზადნენ შეტევისთვის. ბალამას და მიხეილს დაევალათ ტყვიამფრქვევისთვის სტრატეგიული ადგილი შეერჩიათ და ასევე მახლობლად სამთო ზარბაზანი გაემართათ. ასეთი საცეცხლე წერტილები მრავალ ადგილას დაიდგა.

- ჩვენსას მაინც ვერცერთი სჯობს! - ტრაბახობდა ბალამა.

- ვითომ რათაო? - კითხულობდა მიხეილი.

- ჩვენ მაგარი მეტყვიამფრქვევე გვყავს! - არ იშლიდა თავისას ბალამა.

- რომელი? მე არ ვიცნობ?

- იცნობ, მაშა, - გაეღიმა ბალამას, - შენი სეხნიაა მიშა ქკადუა. თან მეც მასწავლის სროლასა. კარგი რამე ყოფილა ეს ტყვიამფრქვევი, თოფით ერთი საათის განმავლობაში რაც უნდა დახოცო, ესა ხუთ წუთში ავლებს მუსრსა.

საბრძოლო ოპერაცია გამთენიისას დაიწყო. მონინა აღმდეგე მოუმზადებელი შეხვდა თავდასხმას. არტილერიამ მათი ყველა პოზიცია გაანადგურა და ცოცხალი ძალის მსხვერპლიც დიდი იყო. სანამ მოასწრებდნენ მობილიზებას, გიორგი მაზნიაშვილმა თითქმის ყველა ათასეული მასიურ შეტევაზე გადაიყვანა და შეუპოვარი და ტაქტიკურად სწორად გათვლილი ბრძოლების შედეგად ივნის-ივლისში გაათავისუფლა ახალი ათონი, გუდაუთა, გაგრა, ადლერი, სოჭი და ტუაფსე. ქართულმა ჯარმა ბრძოლებისაგან რამდენიმე დღე სოჭში დაისვენა. აფხაზეთში მოთარეშე ბანდები დაგომისში იყვნენ გამაგრებულნი. ქართველები გადა-



ვიდნენ შეტევაზე, მალევე გატყეხეს მათი წინააღმდეგობა, ტყვეები აიყვანეს, დიდძალი იარაღი და ჯავშნიანი მატარებელიც იგდეს ხელთ.

ამის შემდეგ ქართული გვარდიის რამდენიმე ათასეული დააბრუნეს თბილისში თავიანთ დისლოკაციის ადგილებზე. მეთაურთან შეთანხმებით, ბალამა და მიხეილი რამდენიმე დღით სოფელში აპირებდნენ წასვლას, რომ უცებ მოვიდა მთავარსარდლის შტაბის ბრძანება ისევ აფხაზეთში წასვლასთან დაკავშირებით. დენიკინელები გადმოსულიყვნენ შეტევაზე და აეღოთ სოჭი, ადლერი და გაგრა. თბილისის გვარდია, რომლის შემადგენლობაშიც ირიცხებოდნენ ბალამა და მისი ძმა, სოსო გედევანიშვილის სარდლობით გააგზავნეს ფრონტზე. მათ იქ ელოდებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი ცხენოსანი რაზმით, რომელიც გამაგრებული იყო მდინარე ბზიფზე.

ადგილზე ჩასულებს დაევაღათ გადაელახათ მდინარე, შეერთებოდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს და გადასულიყვნენ შეტევაზე. მანამდე კი საჭირო იყო იმ გზის გადაკეტვა, საიდანაც მოსალოდნელი იყო მტრის შემოტევა. ამ ოპერაციას ბრწყინვალედ გაართვა თავი სიმონ ხუხუნაიშვილის ქვედანაყოფმა და მტერზე პირველი და ელვისებური შეტევა განახორციელა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. აღნიშნული თავდასხმა იმდენად მოულოდნელი და თავბრუდამხვევი იყო მონინააღმდეგისათვის, რომ მათ ხელის განძრევაც კი ვერ მოასწრეს.

- ქაიხოსრო ბატონო! - იყვირა ბალამამ და გაიქცა ცხენზე ამაყად მჯდომ ჩოლოყაშვილისკენ.



ქაქუცამ მოიხედა უკან და მისკენ მომავალი გვარდიელი შენიშნა. მას, როგორც მხედართმთავარს ყველა ჯარისკაცი იცნობდა და ამიტომ არ გაჰკვირვებია ეს შეძახილი. თუმცა, როდესაც ბალამამ პატივი მიაგო მეთაურს წესისამებრ, მერე ქუდი მოიხადა და გაიღიმა, ქაქუცამ შეჭმუხნული შუბლი გახსნა და ხმამაღლა წარმოთქვა:

- პატარძეულელო! შე, ხიფათა-ხათაბალავ! ცოცხალი ხარ!?

ბალამას სიხარულისგან თვალზე ცრემლი მოადგა. თავისდაუნებურად დაეცა მუხლებზე. ქაქუცა მკვირცხლ ჩამოხდა ცხენიდან, წამოაყენა ფეხზე ბალამა, მკერდში ჩაიხუტა და უთხრა:

- არა გრცხვენია, ბიჭო! რა მუხლებზე დაცემა აგიტყდა ვაჟკაც კაცს! მე და შენ ოსმალეთში, „არწივის ბუდესთან“, გავიცანით ერთმანეთი. ჩვენ ორივენი ჩვენი დედა სამშობლოს რიგითი ჯარისკაცები ვართ!

XI

ჯალათებისგან ნაცემ-ნაგვემმა და სიარულისგან დაღლილმა ბალამამ ძლივს მიაღწია საკუთარ კარ-მიდამომდე. როგორც კი ეზოში შედგა ფეხი, თითქოს გამოცოცხლდაო. მიუხედავად იმისა, რომ მამა-პაპისეული კერია დიდი ხანია დაცარიელებული და იავარქმნილი იყო, ბალამას სულსა და გულს მაინც მაღამოდ მოეცხო და შეუმსუბუქა სული-



ერი თუ ხორციელი ტკივილები. ამ ეზო-ყურეზე ხომ მრავალ თაობას ეცხოვრა, ოდესღაც სიცოცხლით და სიხარულით იყო სავსე კარ-მიდამო. ჭიგოებზე გადახვეული ვაზები და სურნელოვანი ია-ვარდები ამშვენებდნენ ერთ დროს ამ გარემოს. გვიან გაზაფხულზე მნიფობაში შესული ველური მარწყვის სურნელი ხომ მკვდარსაც კი წამოაყენებდა საფლავიდან. მაგრამ ამ ბოლო წლებში სადღაც გამქრალიყო ეს ედემ-სამოთხე და არა მარტო ამ ეზო-ყურეს, არამედ მთელს ქვეყანას ნაცრისფერი გადაჰკვროდა, ბოლშევიკ-მენშევიკობის გამო, ძმა ძმას მოსაკლავად დასდევდა. ქართველების გამაერთიანებელი ძალა - სიყვარული, სადღაც გამქრალიყო და მისი ადგილი ძალადობას დაეკავებინა.

ბალამა სახლის დაკეტილ კარის ზღურბლთან ჩამოჯდა. თავი კარზე ჩამოკიდებულ დაკეტილ ბოქლომს მიადო, ზეცას ახედა და აღმოხდა:

- ღმერთო, რატომ გაგვწირე ასე!? როდის უნდა შეაჩერო ეს უბედურება!?

უცებ ქარმა დაუბერა და თითქოს ბალამას ბაგეთაგან გამოსული ეს სიტყვები გაიტაცა და ღმერთამდე არ მიუშვა. ბალამამ თითქოს იგრძნო ქარის ეს ვერაგი ქცევა, წამოდგომა გადანყვიტა, რომ სიტყვები უკან მოებრუნებინა, მაგრამ ჭრილობებიდან საშინელი ტკივილი იგრძნო და ადგილზე დაეშვა. ხელები მუხლებზე დაინყო, თავით დაეყრდნო ზედ და ის იყო ფიქრებში უნდა ჩაძირულიყო, რომ ჭიშკრის მხრიდან ნაცნობი ხმა შემოესმა:

- იოსებავ! ... იოსებავ! ...



ბალამა უცებ გამოერკვა, თავი ასნია და წამოიძახა:

- რომელი ხარ! ... მოზრდანი! ...

ეზოში საშუალო სიმაღლის ფაფახით თავდახურული, ხურჯინგადაკიდებული მამაკაცი შემოვიდა. უკვე საღამო იყო და ბალამამ ვერ იცნო სტუმარი. ხურჯინის მოქარგულობით ივარაუდა, რომ ხევსური უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც გაოცებული შესცქეროდა მისკენ მომავალ უცნობს. გაუცხოვებული მზერა სტუმარმაც იგრძნო და ამიტომ შორიდანვე შესძახა:

- რაო, ვერ მიცან, იოსება-ბალამავ!?

ბალამამ შეძახილით დაადგინა, რომ სტუმარი მართლა ხევსური იყო, მაგრამ ფაფახჩამოფხატული კაცი, თან მოსაღამოვებულზე მაინც ვერ იცნო და გაკვირვებულმა ჰკითხა:

- ვერ გიცანი, ღმერთმანი.

სტუმარმა ფაფახი მოიხადა თავიდან და იყვირა:

- თორღვა ვაარ, თორღვა სისავური! არწივის ბუდიდან! ახლა გამიხსენე!?

ბალამა ადგილზე გაშეშდა, თვალეები გაუფართოვდა, ცრემლები წამოუვიდა ვაჟკაც კაცს... ცრემლები, რომელიც წამებისასაც კი არ გადმოვარდნია თვალეებიდან... მაგრამ ეს სულ სხვა ცრემლი იყო... ცრემლი სიხარულისა და მონატრებისა. თორღვა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ნევრი და ერთგული კაცი იყო. ბალამამ და თორღვამ ერთმანეთი ოსმალეთის მთებში გაიცნეს, „არწივის ბუდეს“ რომ ეძახიან, თურქებთან ომში მიიღეს პირველი საბრძოლო ნათლობა და იქ შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა სიცოცხლის ბოლომდე. ამ



ფიცის მონმე თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო. აფხაზეთის ფრონტზეც „ასცდნენ“ ერთმანეთს. თორღვა მაშინ საბრძოლო დავალებაზე ჰყავდა ქაქუცას გაგზავნილი. ძმადნაფიცის დანახვამ, ბალამას სულ დაავინყა ტკივილი. პატარა ბავშვივით დახტოდა ეზოში, ღმერთს მადლობას სწირავდა ასეთი სიხარულისთვის. ბოლოს, როგორც იქნა დაწყნარდა და სახლში შეიპატიჟა სისავური:

- მეც ახალი მოსული ვარ, თორღვავ, კარიც კი არ გამიღია ჯერ.

- რამხელა ბოქლომი დაგიდგია კარისთვის? - გაცოცდა თორღვა, - ქურდები გყავთ, ალბათ?

- აბა, რა ვიცი, ძმაო, - მწარედ გაეცინა ბალამას, - ქურდბაცაცები მომრავლდნენ მას შემდეგ, რაც რუსი შემოვიდა საქართველოში. ადრე ვინ კეტავდა ბოქლომით კარს, ურდულით ჩარახავდნენ ხოლმე, რომ საქონელი არ შესულიყო, თორემ ადამიანისთვის ქართველი კაცის სახლის კარი მუდამ ღია იყო. მგზავრს შეეძლო, გინდაც სახლში არავინ ყოფილიყო, შესულიყო, წყალი დაეღია, პური გაეტეხა, დაესვენა და გაეგრძელებინა გზა. ქართველი კაცი ქრისტიანულად ცხოვრობდა და ხელს ზედმეტად არაფერს მოჰკიდებდა, რადგან ღვთის შიში ჰქონდა, იცოდა, ადამიანი თუ ვერ დასჯიდა, ღმერთის სასჯელს ვერ გაექცეოდა. რუსებმა რაც ეს უცხო ხალხი შემოგვისახლეს, მას შემდეგ ქურდობამ იმატა. ჩემს სახლში მოსაპარი არაფერია, მაგრამ წინაპრების ნაქონი ნივთები გვაქვს სკივრში შენახული და არ გვინდა, რომ ვინმემ წაბილნოს.



- ჩვენში ეგეთ რამეს ვერავინ გაბედავს, - გაეცინა თორღვას, - მაშინვე ხელს მოვაჭრით და დიაცის კაბას ჩავაცმევთ.

- გაგეცინება და ამ ბოქლომსაც ვერ გავხსნი, - თქვა ბალამამ და სათავსოდან ახლად გამოტანილი ნაჯახი მოიმარჯვა, - სატუსალოში ყველაფერი წამართვეს.

ბალამამ ნაჯახის ერთი მოქნევით გატეხა ბოქლომი და სტუმარი სახლში შეიპატიჟა.

თორღვამ ახლალა შეხედა ბალამას დაფლეთილ და სისხლით გაჟღენთილ ტანსაცმელს და გაკვირვებულმა ჰკითხა:

- რა მოხდა, ძმაო?

ბალამამ ბუხარი აანთო, ტაბლაზე დოქით ღვინო და დაობებული ჰური დადო და თორღვას მიმართა:

- რალაც მექნება კიდეც, მოვძებნი...

- არაფერი არ გინდა, ბალამა, - გაელიმა თორღვას და თავისი ხურჯინი გახსნა, - საგზალი მაქვს წამოღებული, არაფერზე შენუხდე, ერთი სული მაქვს მომიყვე რა მოხდა?

ბალამამ დანვრილებით მოუთხრო თორღვას რაც გადახდა

- ვერ მოგსვლია კარგი საქმე, ძმაო, - მიუგო მოსმენილით დაღონებულმა თორღვამ, - სწორი უთქომს ჩვენს ერთ მელექსე გოგიასა:

ცოფს ყრიან ბოლშევიკები,
სისხლით ველარა სძღებიან,
მინაზე ხალხი განყვიტეს,
ცაში ღმერთს ემუქრებიან!





- ასეა, ჩემო თორღვავ, - თქვა ბალამამ, - ჩვენ სამშობლოსთვის სისხლს ვღვრიდით, არც ახლა გავჩერდებით და მტერს თავს შევაკლავთ, ესენი კი ზურგში ხანჯალს გვირტყამენ. ყველგან ჰყავთ აგენტები, გვითვალთვალევენ და თუ დაინახეს, რომ მაგათ ჭკუაზე არ დადიხარ, მაშინვე გიმორებენ.

- ჰოო! - წამოიძახა თორღვამ, დოქი მოიმარჯვა, თიხის ჯამები ღვინით შეავსო და განაგრძო, - თქვენი ამბები ვიცოდი, მაგრამ ასე დანვრილებით არა. რაც ჩვენ დავცილდით და ომები მოვრჩით, აღარა გვსმენია ერთმანეთის. დრო ბევრი გვაქვს და მომიყევი კიდევ შენი ამბები. მანამდე კი ქაქუცა ვადღეგრძელოთ. როგორც ვხედავ, საქართველოს გადარჩენის ერთადერთი იმედი ეგღაა. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მისი თავი.

თორღვამ ბოლომდე ჩამოცალა ჯამი, უღვაშზე და წვერზე ხელის გული ჩამოისვა და აღფრთოვანებულმა წარმოთქვა:

- მართლა დალოცვილია ეს მადლიანი. ჩვენ ჟიპიტაურსა სჯობია, თუმცა მთაჩი ისიც კარგია ლუდთან ერთად.

XII

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სომხეთის რესპუბლიკას გაუჩნდა ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოსთან, რისი მიზეზიც სომხეთის ხელისუფლებაში მოსუ-



ლი ულტრანაციონალისტური პარტია - დაშნაკუთიუნის ლიდერების პოლიტიკური შეხედულებები და ამბიციები გახდა. სომხებს სხვისი ტერიტორიების და წარმატებების მითვისების მცდელობები ყოველთვის ჰქონდათ და ამისთვის არაფერს ერიდებოდნენ, არც ბინძური საქმეების კეთებას, არც ცილისწამებას, არც აგენტობას და უამრავ უკეთურ საქმიანობას, რაც კი ბოროტებას დაუთესია ამ ქვეყნად. სპარსელებისგან საკუთარი ტყავის გადასარჩენად, მათ მონოფიზიტობაც კი გამოაცხადეს სახელმწიფო რელიგიად და ამით მაცხოვარი მეორედ აცვეს ჯვარზე. ახლა კი თავის ისტორიულ მხსნელს - საქართველოს დაუპირისპირდნენ, რომელთა მეფეებიც, მტრისაგან სომხეთის სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ, ექვსი-შვიდი საუკუნის მანძილზე ინახავდნენ და პატრონობდნენ სომეხ მოსახლეობას. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში რუსეთის იმპერიის მიერ სომხების საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მასიურად ჩასახლება, რეაქციულ ძალებს სურვილი აღუძრა საქართველოს დაპყრობისა და ათას ცხრაას თვრამეტი წლის ხუთ დეკემბერს, ბორჩალოს მაზრის, ლორეს უბნის სოფელ უზუნლარში განახორციელეს თავდასხმა ქართველ ჯარისკაცებზე, რაც საქართველოსა და სომხეთს შორის ომის დაწყების მიზეზი გახდა. საქართველოს მთავრობამ გვიან გააცნობიერა შექმნილი მდგომარეობა და შესაბამისად ჯარის მობილიზაციაც დააგვიანა. აფხაზეთის ფრონტზე მებრძოლი შენაერთი, რომელშიც ბალამა და მისი ძმა იბრძოდნენ, გენერალ ახმეტელაშვილის სარდლობით, გადაა-



მისამართეს ქვემო ქართლში - გერმანელი შვაბების სოფელ კატარინენფელდში. მანამდე აქ განლაგებული იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხენოსანთა რაზმი, რომელიც მედგრად უმკლავდებოდა მტერს, მაგრამ შესაბამისი ცეცხლსასროლი იარაღის არქონის გამო, უჭირდათ კბილებამდე შეიარაღებული მონინალმდგის შეკავება. ქართველები სკოლის შენობაში გამაგრდნენ. ბალამა და მისი ძმა მიხეილი უკვე დახვეწილი მეტყვიამფრქვეები იყვნენ, ამიტომ ოცეულის მეთაურმა ისინი ისეთ ადგილებში ჩასაფრა, საიდანაც მტრის ძირითადი ნაწილების შემოსევა იყო მოსალოდნელი. ძმებმა კი ადგილობრივი, სოფელში მაცხოვრებელი გერმანელი მეთოფეები, სხვადასხვა ადგილზე განლაგეს და მოემზადნენ ბრძოლისთვის. როგორც კი სომხები შეტევაზე გადმოვიდნენ, ბალამამ და მიხეილმა გახსნეს ცეცხლი. ვინც ტყვიამფრქვევის რისხვას გადაურჩებოდა, გერმანელი მეთოფეების მსხვერპლი ხდებოდა. როგორც კი სომხებმა უკან დახვევა დაიწყეს, ოცეულთან მოვიდა მეთაურის მოადგილე სანდრო მაისურაძე და ბალამას დაუძახა:

- ბიძაშვილო! ვიცვლით დისლოკაციის ადგილს და სასწრაფოდ ყველანი გამომყევით!

ოცეულმა აისხა იარაღი და გაჰყვა მაისურაძეს. მათ გენერალი ახმეტელაშვილი ელოდებოდა. ის მაშინვე გაუძღვა ოცეულს წინ და შემოვლითი გზით გადანყვიტეს მტრის ზურგში გადასვლა. როგორც ჩანს, დაზვერვამ ვერ იმუშავა სათანადო დონეზე და ისინი მტრის ჩასაფრებულ ჯარისკაცებს ნააწყდნენ, რომლებმაც მაშინვე გახსნეს ცეცხლი.



გენერალი უმალ უკან გაბრუნდა. ოცეულის შემადგენლობა დალუპვის პირას დადგა. ისევ ბალამამ მოიფიქრა და იქვე მდებარე ერთ-ერთი გერმანელის ეზოში შეიყვანა ჯარისკაცები და რომ სომხები შეტევაზე არ გადმოსულიყვნენ, მაშინვე გახსნა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი. ბალამა დაუცველ ადგილას იდგა, ამიტომ ძმას გასძახა:

- ტყვიამფრქვევი შეშებზე დადგი და მიზანში ისროლე! მე ნემცებს მივხედავ!

მიხეილმა მაშინვე მოძებნა მითითებული ადგილი - ალიზში აზელილი შეშების გროვა და ელვისებურად გახსნა ცეცხლი. ბალამამ გერმანელები გადაანანილა სხვადასხვა ადგილას, მაგრამ თვითონ ტყვიამფრქვევთან მისვლა ვეღარ მოახერხა. ერთ-ერთ გერმანელს გამოართვა თოფი და იქიდან გახსნა ცეცხლი. მანევრმა გაამართლა და სომხებმა უკან დახევა დაიწყეს. როგორც კი მიწელდა სროლა, საიდანაც გამოძვრა სანდრო მაისურაძე და ახალი ბრძანება გასცა:

- გარბიან სომხები, ნავედით იერიშზე! ტყვიამფრქვევები წინ!

ბრძოლისგან დაღლილმა ბალამამ შეხედა ამ სოროდან გამომძვრალ ძალად სარდალს და დაუყვირა:

- ვის გაუგია ტყვიამფრქვევით შეტევაზე გადასვლა! შენ რა ამ ჯარისკაცების დახოცვა გინდა?

- ეს ბრძანებაა, მაისურაძე! - იყვირა სანდრომ და ნაგანი მოიმარჯვა.

ბალამამ კარგად იცოდა ომის კანონები. ბრძანების შესრულებლობისათვის რაც მოელოდა, მით უმეტეს ასეთი



უგუნური მეთაურისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ამიტომ აიღო ტყვიამფრქვევი, კიდევ ერთხელ შეხედა თავის მოგვარეს და უთხრა:

- ვინ მოგცა შენ მაისურაძის გვარი! ...

- ნიინ! - იყვირა კვლავ სანდრომ და გაიჭრა ნაგანით ხელში მტრის პოზიციებისკენ. ჯარისკაცებიც მიჰყვნენ. მონინაალმდეგემ ცეცხლი გახსნა და პირველი, ვინც ბრძოლის ველზე დაეცა, სანდრო მაისურაძე გახლდათ. ბალამამ მოასწრო ბუნებრივ თხრილში ჩამხტარიყო, მაგრამ მტრის ტყვიამ მარცხენა მხარში დაჭრა. მიუხედავად ამისა, ტყვიამფრქვევი მანაც ააკაკანა. ამასობაში მონყალების და თამარა მიცოცდა ბალამასთან და ჭრილობის შეხვევა დაიწყო. ბალამა სროლას კვლავ აგრძელებდა და თან ყვიროდა:

- ეს ჩემი ბიჭებისთვის, თქვე სულძაღლებო!... თქვე უმადურო ნაბიჭვრებო!...

- ბალამა! თავს გაუფრთხილდი, - უყვირა თამარამ, - მე უკან მივდივარ, მიხა მძიმედ დაჭრეს! ...

ამის გაგონებაზე ბალამასთვის თითქოს მთელი სამყარო გაჩერდაო. მაშინვე უნდოდა ამდგარიყო, გაქცეულიყო ძმისკენ და ჩახუტებოდა, მაგრამ ამ დროს ვალიკო ჯუღელის შეძახილი გაისმა:

- ბიჭებო, მე თქვენთანა ვარ!... არ შედრკეთ!... ჩვენ გავანადგურებთ ამ წუნკლებს!...

ბალამამ წამიერად მოიხედა უკან და ვალიკო ჯუღელი, სიმონ ხუხუნაიშვილი და მათი მეომრები დაინახა, რომლებიც იარაღშემართულები მორბოდნენ „ვაშას“ შეძახილებით. დაჭრილმა მეომრებმაც დაიწყეს „ვაშას“ ძახილი.





- ნუ გეშინიათ, ბიჭებო! ... მე თქვენთანა ვარ! ... სამშობლოსათვის თუ სიკვდილი გვინერია, მეც თქვენთან ერთად მოვკვდები! ... - არ ცხრებოდა ჯუღელი, - ბალამა, ტყვიამფრქვევი არ გააჩერო, შეტევაზე გადავდივართ! ...

მიუხედავად საშინელი ტკივილისა, ბალამას თავი არ დაუზოგავს და ცეცხლი არ შეუნყვეტია ...

უცებ გაისმა ჯუღელის ხმა:

- შეწყვიტეთ ცეცხლი!

ბალამამ ტყვიამფრქვევის კაკანში ბრძანება ვერ გაიგო. ბოლოს ისიც გააჩერეს და მტრის პოზიციებისკენ გაახედეს. სანგრების თავზე თეთრი ბაირაღები ფრიალებდა და აქა-იქ დამტვრეული ქართული სიტყვები ისმოდა:

- ჩვენ ხომ ძმები ვართ!... ნუ დაგვხოცავთ!...

- ახლა გავხდით ძმები!... თქვე ხურუშიანებო!... - იფურთხებოდა ბალამა.

ვალისკო ჯუღელმა თანაშემწე იხმო და რალაც უთხრა. ამ უკანასკნელმა კი მოწინააღმდეგის მისამართით ხმამაღლა დაიყვირა სომხურ ენაზე:

- გადმოგცემთ მეთაურის ბრძანებას: „იმის გამო, რომ თქვენ ქართველების ნდობა დაკარგეთ, თქვენს კაპიტულაციას მივიღებთ იმ შემთხვევაში, როდესაც იარაღს დაყრით, ამოხვალთ სანგრებიდან და ჩაგვბარდებით! თუ ვინმეს ერთი ტყვიაც კი აღმოაჩნდება თან, ადგილზე დაიხვრიტება!“

სომხები ერთმანეთს ასწრებდნენ სანგრიდან ამოსვლას და ხელებანეული მოემართებოდნენ ქართველებისაკენ... ქართველებისაკენ, რომლებსაც მათთვის, საუკუნეების განმავლობაში, სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებიათ...





უკან მობრუნებული ბალამა სასწრაფოდ სამხედრო ლაზარეთში გაიქცა და მიხეილი მოინახულა. დანყნარდა, ძმა ცოცხალი რომ იხილა. გამოჯანმრთელება უსურვა და ისევ ფრონტის ხაზზე დაბრუნდა. ახალი ოცეულის მეომრებთან ერთად ბოლნისი-რატევანის მიმართულებით გაემგზავრა, საიდანაც დაიწყო მტრისაგან დაკავებული ტერიტორიების განმენდა. დეკემბრის ბოლოს, გამარჯვებული ქართული საჯარისო ნაწილები თბილისში დაბრუნდნენ. ბალამა ამ ომის ერთ-ერთი გმირი გახლდათ, რომელსაც მადლობა თვით ვალიკო ჯუღელმა და გენერალმა ახმეტელაშვილმა გადაუხადეს.

XIII

- რა გამოვიდა, ჩემო იოსებ, - ლაპარაკობდა თორღვა და თან ბუხარში შეშას ალაგებდა, - რაც მეტი სისხლი დავღვარეთ სამშობლოს გადარჩენისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მით მეტი მტერი გავიჩინეთ, არა!?

- ეგრეა, ძმაო, ეგრეა, - ამოიოხრა ბალამამ და დოქიდან ჯამებში ღვინო ჩამოასხა, მერე ფეხზე წამოდგა, პურის ნატეხი ღვინით სავსე ჯამში ჩაანო, პირფვარი გადაინერა და განაგრძო, - ჩვენი ბიჭების ხსოვნა იყოს, ვინც ჩვენს გვერდით იბრძოდა დიადი საქმისთვის და დღეს ზეციურ საქართველოში არიან! ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.



- ამინ! - დაუდასტურა თორღვამ და ძმადნაფიცებმა ჯამები გამოსცალეს.

სისავურმა შეხედა მასპინძელს და უთხრა:

- ისე შენც მთაჩი უნდ ნამოსულიყავ. ჯერ ერთი, ამდენ ფათერაკს არ გადაეყრებოდი და მეორეც, შენი მეომრული გამოცდილება დაგვეხმარებოდა ბიჭების შერჩევასა და განვრთნაში.

- მე რომ ნამოვსულიყავი, თორღვავ,- მიუგო ბალამამ, - აქ საქმეს ვინ გააკეთებდა!? ჩემზე კარგი ბიჭები ჩანვნენ სამშობლოსთვის მინაში და მე ვინლა ვარ.? რადგან ღმერთი არა მკლავს, ესე იგი საჭირო ვარ ჯერ. ყველაფერი კი ოცდაერთში ივლისის თვეში დაიწყო. ქვეყნის გასაბჭოება ახალი დანყებული იყო. ჩვენი სოფელი ხალხით იყო სავსე. სასწრაფოდ გამომიძახეს. მეც უცებ გავჩნდი იქ. მიხა ჯილაურიც და გორია მენაბდიშვილიც ახალი მოსულები იყვნენ. გამაცნეს ვინმე ლადო კაკაბაძე, რომელიც არალეგალური ორგანიზაციიდან გამოეგზავნათ ჩვენთან კრების ჩასატარებლად. ყველას დავალება მოგვცა, რა უნდა გაგვეკეთებინა. მე დამევალა მომეძებნა ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ცენტრალური კომიტეტიდან გარე კახეთზე მიმავრებული კაცი და დამემყარებინა მათთან კავშირი. ვალერა ბილანიშვილმა, რომელიც უკვე თანამშრომლობდა ეროვნულ მოძრაობასთან, დამამისამართა ვასო ჯაფარიძესთან. ვასომ ყველაფერი ამიხსნა, რაც უნდა გამეკეთებინა. მომცა პროკლამაციები ყველა სოფელში დასარიგებლად. სოფელში ჩამოსვლისთანავე ჩამოვაყალიბე თავისუფლებისათვის



მებრძოლი ორგანიზაცია და თავმჯდომარედ მიხა ჯილაური ავირჩიეთ, თანაშემწედ კი - გორია მენაბდიშვილი. სოფლის ახალგაზრდობამ, როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, სიხარულისაგან მოუსვენრობა შეეყარათ, ერთი სული ჰქონდათ, მალე დაწყებულიყო სახალხო გამოსვლები, რათა თავისი წვლილი შეეტანათ საქართველოს გათავისუფლების საქმეში. მე, იაკობ ფანოზიშვილთან ერთად, გადართული ვიყავი ქაქუცა ჩოლოყაშვილის დავალებების შესრულებაზე და მასთან შესახვედრად საგანგებო ადგილიც შევარჩიე. წნორებით გარშემორტყემულ, მამაპაპისეულ ვენახში ერთი ქოხი გვედგა. აი, იქ მოდიოდა ხოლმე ქაქუცა, გვხვდებოდა გარეკახელ შეთქმულებს და დავალებებს გვაძლევდა. ამიტომ მე სოფლებში პროკლამაციების დასარიგებლად და ხალხის მოსამზადებლად დრო აღარ მქონდა და ამიტომ ვასო ჯაფარიძეს ჩემი ძმა გავაცანი, რომელსაც მოჰქონდა ქალაქიდან პროკლამაციები და საზღვარგარეთ გაქცეული მთავრობის მიერ გამოცემული გაზეთი „ერთობა“. იმდენად კარგად იმუშავეს ჩვენმა ბიჭებმა, რომ გარეკახეთი უკვე ფეხზე იდგა და გამოსვლებისთვის ნიშანს ელოდებოდა. მე-რე ბერთუბანში დიდი კრება მოვიწვიეთ, დავყავით ბიჭები ათეულებად, ასეულებად და ამას ყველაფერს სათავეში კოტე ოთარაშვილი ჩავუყენეთ. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა იაკობა ფანოზიშვილი, რომელსაც ჰქონდა უშუალოდ კავშირი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მითხრა: „დავალბა მოვიდა, ქალაქში უნდა ჩავიდეთ იარაღის და ბომბების წამოსალეზად. შენ ურემი იშოვე და წამოიყვანე, მე კი არსენალ-



თან დაგელოდები და იქ დაგახვედრებ ნამოსაღებ ტვირთსაო“. მე დავალეხა შევასრულე, ურმით ჩავედი თბილისში, ფანოზიშვილი დანიშნულ დროს იქ დამხვდა, ჩავანყეთ იარაღი ურემში და ღამე რკინიგზის ლიანდაგის გვერდით მიმავალი გზით ჩამოვედით იორამდე, იქიდან კი პატარძელში ამოვედით და იარაღი გადავმალეთ უშიშარ ადგილას. მალე, ვითარების შეცვლის გამო, ქაქუცამ ხევსურეთს შეაფარა თავი, ჩვენ კი გაუგებარ სიტუაციაში აღმოვჩნდით. მოვლენები სწრაფად განვითარდა. ფანოზიშვილი ჩეკაში გამოცხადდა, მიხა ჯილაური დააპატიმრეს და მალევე მე და გორიაც მიგვაყოლეს ზედ. რამდენიმე თვე გვაყურყუტეს სატუსალოში და მერე გამოგვყარეს. როგორც კი სოფელში დავბრუნდი სამალავი მოვინახულე, მაგრამ იქ არაფერი აღარ დამხვდა და ველარც ფანოზიშვილის კვალს მივაგენი. ასე რომ, ეს აწყობილი საქმე, რომელსაც ხალხთან ერთად, დიდი მონდომებით ვაშენებდით, ხუხულასავით ჩამოშლილი დამხვდა. მას შემდეგ, როცა მოუნდებათ დაგვერევიან, ნაგვათრევენ ჩეკაში, გვცემენ და გამოგვყრიან ხოლმე. მე თანამშრომლობაზე უარს ვეუბნები. სულ თვალთვალის ქვეშა ვარ, სად წავალ, ვის ვნახავ. მე კიდევა არსად არ მივდივარ და თვითონაც არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო.

- ეიეე! ბალამავ! გული გაგიტეხია და ეგ არის! - გადაიხარხარა თორღვამ და ძმადნაფიცს მხარზე ხელი დაჰკრა, - გამოფხიზლდი, ვაჟავ! ახლა იწყება ყველაფერი!

- ჩემო თორღვავ, - მიუგო დაღონებულმა ბალამამ, - შენ კარგად იცი, მე ომების და ხეტიალისათვისა ვარ დაბადე-



ბული, მაგრამ დამღალა ამდენმა ღალატმა. ან სად შეგროვდა ამდენი გარენარი და ჩამშვები ამ ქვეყანაზედ? ყველგან, შინ თუ გარეთ, ციხეში თუ თავისუფლებაზედ? ...

- ჰოდა, ვაჟავ, მაგისტვინ ვიბრძვით და რომ გავიმარჯვებთ, მაგათ ყველას გადავარჩევთ! - ხარხარებდა შეზარხოშებული თორღვა და თან ბუხარს უმატებდა გამხმარშემას. მერე თითქოს გამოფხიზლდაო, გასწორდა წელში, არწივისებური თვალებით შეხედა ძმადნაფიცს და უთხრა, - ქაქუცამ შემოგივალა, ხალხი უნდა მოამზადო გამოსასვლელადო! აბა, რას იტყვი, იოსებ!?

- სამშობლოსათვის და ქაქუცასთვის საკუთარ სიცოცხლეს გავწირავ, ჩემო თორღვა, - ამაყად წარმოთქვა ბალამამ, - მაგრამ ამ ხალხის იმედი აღარა მაქვს.

- უნდა გააკეთო ეს საქმე, იოსებ! უკანდასახევი გზა აღარ გვაქვს! - წამოიძახა უკვე წარბშეკრულმა თორღვამ, - ქაქუცას ძალიან აქვს შენი იმედი! იცის, რომ მხარს არ მოსტეხ!

- რაც შემიძლია, ცდას არ დავაკლებ, ძმაო! - თქვა ბალამამ და ჯამები ღვინით შეავსო

თორღვამ ერთი საათით „მოატყუა თვალი“ და გათენებამდე გაუდგა გზას.

დაღლილი და ნაცემ-ნაგვემი ბალამა კარზე ბრახუნმა და ცხენების ჭიხვინმა გააღვიძა.

- მაისურაძე, გააღე კარი! ვიცით, რომ სახლში ხარ! შენი ფეხით გამოეთრიე გარეთ, თორემ შემოვანგრიეთ ეს ისედაც მოლაყლაყებული კარი!

ბალამამ კარი გააღო. მის წინ უცნობი მილიციელი იდგა, ხოლო ჭიშკართან კიდევ ორი ცხენოსანი ჩეკისტი.



- რა ხდება, უფროსო? - ძლივს წარმოთქვა ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფმა ბალამამ.

- მაგას მე მეკითხები!? - იყვირა მილიციელმა, - არ იშლი არა შენსას!? ვინ იყო ნუხელ შენთან, შე ღორის შვილო!?

- არავინ! - მოკლედ მოჭრა ბალამამ.

- აბა, მარტო ქეიფობდი, შენი!?... - გაცოფდა მილიციელი, - ნამოეთრიე და დანარჩენს იქ ილაპარაკებ!

ხელებშებორკილმა ბალამამ, ფეხის ერთი მოძრაობით, გამოიხურა ბოქლომმოგლეჯილი სახლის კარი, თვალი მოავლო ისედაც მონატრებულ ეზო-ყურეს და გაჰყვა ჩეკისტებს...

XIV

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხევსურეთში გადახვენილი გეგმავდა აჯანყებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. მეთერთმეტე არმიის მიერ საქართველოს დაპყრობიდან ორი წელიწადი იყო გასული. მან კარგად იცოდა, რომ მტრის განადგურება მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ ისინი „ფესვებს გაიდგამდნენ“ ქვეყანაში. ამისთვის კი ყველანაირი წინაპირობა არსებობდა გამოცხადებისეული წინასწარმეტყველებიდან დაწყებული: „...და აჰა, წითელი ურჩხული დიდი, რომელსაც ჰქონდა შვიდი თავი და ათი რქა და თავს ედგა შვიდი გვირგვინი. და კუდი მისი მოითრევდა მესამედს ცის ვარსკვლავებისას... “. ხალხიც, რომელიც ხილულად ხედავდა ტერორს, ადამიანების დახვრეტას, ოჯახების აწიოკებას და



სხვა ათასგვარ უბედურებას, შიშს შეეპყრო. არავინ ჰყავდა ნუგემისმცემელი. მთავრობა გაიქცა. ეკლესია ბოლშევიკებს ტერორის ქვეშ ჰყავდა, ანგრევდნენ ტაძრებს, წვაფდნენ ხატებს, სიკვდილით სჯიდნენ და კრეჭდნენ სასულიერო პირებს და მოსახლეობაზე სატანისტური ლოზუნგებით ზემოქმედებდნენ. ამას ყველაფერს წინ რომ აღდგომოდი, ხალხთან უნდა ყოფილიყავი ახლოს, უნდა გემოქმედა ცხელ ნერტილებში. სამწუხაროდ, ეროვნული ძალები ამას ვერ ახერხებდნენ, რადგან ყოველ ნაბიჯზე ჩეკას აგენტები იყვნენ ჩასაფრებულნი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი იმედს მაინც არ კარგავდა და მიუხედავად ავადმყოფობისა, სრულიად საქართველოში აგრძელებდა არალეგალურ მუშაობას და აჯანყებისთვის მზადებას.

სალამოს, ქაქუცას თორღვა სისავური ეახლა. როგორც ჩანდა ახალი ამოსული იყო ბარიდან, რადგან ხურჯინიც კი არ მოეხსნა მხრებიდან.

- მშვიდობა შენს გამოჩენას, თორღვავ! - მიესალმა ჩოლოყაშვილი სისავურს, ცეცხლის პირას ტახტზე მჯდომმა ნაბადი მოიგდო ზურგზე და თითქოს მოიბოდიშა კიდეც, - ცოტა სიცხე მაქვს და ამიტომ ვარ ამ დღეში. აბა, რა ჰქენ, თორღვავ!?

- რაც დამავალე, ქაიხოსრო ბატონო, ყველა ალაგი მოვიარე და თქვენი დავალებები გადავეცი, - უპასუხა თორღვამ, მერე ხურჯინი მოიხსნა, სკამზე ჩამოჯდა და დანვრილებით მოუყვა თავადს ყველაფერი.



- ისე, კი შეგაგვიანდა, თორღვაე! სხვა საქმეც გქონდა ეტყობა ბარში? - ჰკითხა ქაქუცამ სისაჯურს და ეჭვშეფარული გამჭოლი მზერა ესროლა.

- ეგრე არს, ქაიხოსრო ბატონო, - მიუგო თორღვამ, - ახმეტას ვიყავ ძმის სანახავად.

- მერე!? - დაინტერესდა ჩოლოყაშვილი.

- ერთი ძმა მოკლული დამხვდა, ერთი კიდეც გაქცეული.

- უპასუხა თორღვამ და თვალზე მომდგარი ცრემლი მოინმინდა.

- კი, მაგრამ ასეთი რა მოხდა!?

თორღვამ, ხურჯინი გახსნა და იქიდან რალაც ქალაღდე-ბი ამოიღო, გაუნოდა ჩოლოყაშვილს და უთხრა:

- მე კი მომიყვინენ, მაგრამ აი, აქა სწერია ყველაფერი დაწვრილებითა. ახმეტაში, რომ ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი, ერთმა ბერმა ეს ქალაღდეები მომცა და თან დააყოლა: „ამ მომხდარი ამბის შესახებ მე ჩემებურად დავწერე. თქვენთან ერთი კარგი მელექსეა, მიხა ხელაშვილი, ეს იმას ნაუღე და ის გალექსავსო“. ჩემს მოყოლილს კიდეცა, ამის ნაკითხვა სჯობს.

ქაქუცამ ქალაღდეები გამოართვა თორღვას, დახედა, მერე კართან ატუზულ ბიჭს უხმო და უთხრა:

- ნადი, აბა, მიხას დამიძახე!

მიხა ხელაშვილი მალევე გამოცხადდა თავადთან. ქაქუცამ ხელნაწერი ქალაღდეები გაუნოდა და უთხრა:

- ლამდება, დრო გვაქვს და, აბა, ერთი წაგვიკითხე, მანდ რა სწერია!?



მიხა მაგიდასთან დაჯდა, ქრაქი მოიდგა ახლოს, გაშალა ქალაღები და დაიწყო კითხვა:

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის პერიფერიაში მდებარე სოფლის მთავარ მოედანზე, ხარებგამოხსნილი ურმის გარშემო ხალხს წრე შეეკრა. ურემზე ბუჭა ესვენა. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - ესვენა კი არა - ეგდო! სახეზე და მკერდზე, ნატყვიარიდან ჩამოდენილ სისხლს ბუზები დახვეოდნენ. მიცვალებულს სახეზე გაცივებანარევი ღიმილი შესცივებოდა.

...ღალატი ხომ ღალატია, მაგრამ აქაც არის განსხვავებანი... ამას საზარელ ღალატს დაარქმევდა კაცი, თუმცა ესეც ვერ ასახავს იმ საშინელებას, რაც ცხოველად გადაქცეულმა შეშინებულმა კაცმა ჩაიძინა...

...შემოდგომის ერთ ულამაზეს დილას, ტყეში მძინარე ბუჭას ბერდენაშემართული „მეგობარი“ - ბეჟანა წამოადგა თავზე. ბუჭამ თვალეები გაახილა, ბეჟანას გაუღიმა, მისკენ მიმართული იარაღის დანახვა იუცხოვა და ის გაცივებანარევი ღიმილი იყო, სახეზე რომ შეაცივდა...

...ხალხის დასაშინებლად რამდენიმე დღე ეგდო ბუჭას ცხედარი ჩეკას ეზოში. სანამ თვითონ ჩეკისტები არ შეწუხდნენ გვამის სუნით, მანამდე არ მისცეს უფლება ბუჭას ახლობლებს, რომ მიცვალებული მიწისთვის მიეზარებინათ... მანამდე კი, აი, რა მოხდა...

ბეჟანამ თვითონ მოძებნა ტყეში გასული თანასოფლელი ბუჭა და ამ უკანასკნელმაც შეიფარა. ტყეში მცხოვრები კაცის პირობაზე, თუკი რამ ებადა ბუჭას, ყველაფერი შუა-



ზე გაუყო. შემდეგ კი, რასაც ყაჩაღობით შოულობდნენ, ბუჭა იმდენს იტოვებდა, რაც საარსებოდ ეყოფოდათ, რომ შიმშილით არაქათი არ გამოსცლოდათ. დანარჩენს კი ამ ცოდვილს ატანდა სოფელში უპატრონოდ დარჩენილ ცოლ-შვილთან.

თითქმის ორი წელიწადი იცხოვრეს ერთად ტყეში. მხოლოდ ერთადერთხელ წამოსცდა ბეჟანას:

-კარგი მე, მე ვარ, მაგრამ შენ რატომ უნდა დადიოდე მშიერ-მწყურვალე ჩემი ცოლ-შვილის გამო!?

ამ სიტყვებზე ბუჭას თვალები აენტო, შუბლი შეიჭმუხნა და გაბრაზებულმა მიუგო ბეჟანას:

- მე რომ ცოლ-შვილი მყოლოდა, შენ როგორ მოიქცეოდი!?

ეგ იყო და ეგ, ამის შემდეგ ამ საკითხზე ტყის ძმებს შორის საუბარი აღარ ყოფილა. ერთი ჰქონდათ ჭირიც და ლხინიც, ერთი ჰყავდათ მტერიც და მოყვარეც, სანამ ის საბედისწერო დღე არ დადგა, როდესაც პურის მარაგის შესავსებად, ერთ-ერთი მათგანი უნდა ჩასულიყო სოფელში. ბუჭამ უთხრა ბეჟანას:

- სოფელში ჩემს ჩასვლას, ისევ შენი ჩასვლა სჯობს. ცოლ-შვილს მოინახულებ, ცოტაოდენ ფულსაც დაუტოვებ და აქეთობას პურსაც გამოიყოლებ. სანამ თელავისკენ გადავალთ, ისინი ფულს იმყოფინებენ და ჩვენ კიდევ პურსა.

ბეჟანა სოფლიდან იმ დღესვე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ იმ არემარეში ერთ-ერთი უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალის ვნებიანად გახლეჩილმა ბაგეებმა, მოსალოდნელი განშორების მოლოდინის მღელვარებით აღსავსე მკერდმა, მაყვალვიით შავი თვალების სევდიანმა გამოხედვამ, კაცი



თუ კარგად დააკვირდება, შეფარულ მუქარასაც რომ ამოიკითხავს და შეაფრუოლებს... თავისი გაიტანა... ის ავადსახსენებელი ღამე იყო, სიზმარით ღამეგადატანილს და მეუღლის მკერდზე ჩაძინებულს, ჩეკას თანამშრომლები რომ დაადგნენ თავზე და ვნების დაუოკებელ სურვილს აყოლილი, ზომაზე მეტად გამიჯნურებული ყაჩაღი დაიჭირეს და თბილისიდან საგანგებოდ, ამ საქმესთან დაკავშირებით ჩამოსულ მაღალჩინოსანთან წაიყვანეს.

- იმის მაგივრად, რომ პატიოსანი შრომით მოგეპოვებინა ოჯახისთვის ლუკმა-პური, ყაჩაღობით გინდოდა ოჯახის შენახვა!? - იყვირა ჩეკას უფროსმა, როგორც კი მისმა თანამშრომლებმა ბეჟანა შეიყვანეს კაბინეტში.

ბეჟანა კანკალებდა, ვერ წარმოედგინა მოვლენების ასე განვითარება. გაფართოებული თვალებით უყურებდა კაბინეტში მყოფ ადამიანებს. მისი ყურადღება ფანჯარასთან მდგომმა უცხო პიროვნებამ მიიქცია, რომელიც ზურგშექცევით იდგა, პაპიროსს ეწეოდა და კვამლს გაღებულ ფანჯარაში უშვებდა. ბეჟანას ოთახში შემოსვლით გამონვეული ჩოჩქოლის გამო, უცხო პიროვნება შემოტრიალდა, ბეჟანასკენ მიმართა მზერა, კარგად დააკვირდა, მერე მიუბრუნდა ჩეკას უფროსს და ჰკითხა:

- ის არის!?

- დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო!? - უპასუხა ჩეკას უფროსმა.

- დაკითხეთ, როგორც მოვილაპარაკეთ! - წარმოთქვა თბილისიდან ჩამოსულმა მაღალჩინოსანმა, პაპიროსი სა-



ფერფლეში ჩააქრო და კაბინეტიდან გავიდა. კართან მისულმა უკან მოიხედა და კიდევ ერთი ბრძანება გასცა, - არ დათანხმდება და დახვრიტეთ! მე არსად მივდივარ, თქვენი მოადგილის კაბინეტში დაველოდები შედეგებს.

ბეჟანას დაკითხვა დილამდე გაგრძელდა. ყველაფერი მოუყვა სამართალდამცველებს შეშინებულმა ყაჩაღმა. საკვირველი ის იყო, რომ ჩეკისტები აგრესიას არ იჩენდნენ მის მიმართ, პირიქით, გულისტკივილსაც კი გამოთქვამდნენ, რომ ცოლ-შვილის მოვლა-პატრონობისთვის ბეჟანა ტყეში გავიდა საყაჩაღოდ. ამასობაში ჩეკას უფროსმა გააღო კაბინეტის კარი და ოთახში თბილისელ მაღალჩინოსანს შემოუძღვა. პოლკოვნიკი დაჯდა ბეჟანას წინ და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უთხრა:

- ორი წლის განმავლობაში, რაც კანონგარეშე საქმეები გაქვს ჩადენილი, ყველაფერს გაპატიებს მთავრობა, იმ პირობით, რომ გამოხვალ ტყიდან, პატიოსნად იშრომებ და მიხედავ შენი უპასუხისმგებლობის შედეგად უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს.

მთავრობის მხრიდან წამოსულ ამ გულისამაჩუყებლად ჰუმანურ წინადადებას, ერთი შეხედვით ნაკლი არ მოეძებნებოდა, ახალგაზრდა, გასაჭირში ჩავარდნილი ოჯახისათვის, მაგრამ აქ კიდევ რაღაც იმალებოდა, რომლის თქმასაც ჩეკისტები ალბათ ბოლოსთვის აპირებდნენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ყველას ყურადღება მაღალჩინოსნის მისამართით იყო მიპყრობილი, რომელმაც პაპიროსის კოლოფი გახსნა, ერთი ღერი პაპიროსი ამოიღო,



დაბერტყა საფერფლეზე, ამ დროს, ჩეკას უფროსმა ასანთი მოუმარჯვა. პოლკოვნიკმა გააბოლა პაპიროსი, შეხედა ბეჟანას და უთხრა:

- ყველაფერი, რასაც შეგპირდით, შევასრულებთ და ამის გარანტიას მე გაძლევ. შენს ოჯახურ იდილიას ვერავინ დაარღვევს, მაგრამ ერთი პირობით! ...

ბეჟანამ ფერი დაკარგა. თითქოს ხვდებოდა, რაც უნდა ეთქვა პოლკოვნიკს, მაგრამ ცნობისმოყვარეობის ვნებამ წასძლია და თავისდაუნებურად აღმოხდა:

- რა უნდა გავაკეთო, უფროსო?

პოლკოვნიკს წარბიც არ შეტოკებია და ცივად მიუგო:

- ბუჭა უნდა მოკლა! ამ საქმის ორგანიზებაში ჩვენი ბიჭებიც დაგეხმარებიან. ასე რომ, მარტო არ იქნები.

ბეჟანას მაშინვე თვალწინ წამოუდგა ტყის ძმა - ბუჭა. ბოროტების მეტი რა ჰქონდა ორივეს გაკეთებული. ბევრი გაუძარცვავთ, კაციც შემოჰკვდომიათ. მაგრამ ბოროტება-ცაა და ბოროტებაც. საერთოდ თუ შეიძლება ბოროტებების რაიმე კატეგორიებად დაყოფა? ამდენს ბეჟანას ტვინი ვერ სწვდებოდა, მაგრამ რასაც მას სთავაზობდნენ, ან უკვე დაკარგული, ხელმეორედ მოსაპოვებელი ოჯახური იდილიის სანაცვლოდ, სცილდებოდა ყოველგვარ ადამიანურ საზღვრებს. ადამიანი, როდესაც ადამიანად აღიქვამს თავს უხარია, რომ ადამიანია და არა ცხოველი. უხარია, ფიქრის უნარი რომ გააჩნია და ყეფის მაგივრად ნაფიქრალის გადმოცემა რომ შეუძლია მეტყველების საშუალებით. ბეჟანა ამდენს ვერ ფიქრობდა, მაგრამ ერთს კი მიხვდა, რომ ეგრეთ წოდებ-



ბული ოჯახური იდილია უნდა მოეპოვებინა ლალატისა და მეგობრის სიცოცხლის ხელყოფის საფასურად. ეს იდილია არ იცოდა რა იყო, მაგრამ სიამოვნებაზე უარის თქმა არ შეეძლო და დათანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას და, როგორც ზევით ვნახეთ, მან ეს გააკეთა...

- ნუ მომკლავ, გიორგი!... ჩემი წვრილ-შვილი შეიბრა-
ლე... მე კი ვარ ჩასაძალღებელი, მაგრამ შვილების სიყვა-
რულმა შემაცდინა!...

- მოყევი, რომ გეუბნები! შე მკვდარჩაძალღებულო... შენა!...

გიორგი ბუჭას უფროსი ძმა გახლდათ. არ გასჭირვებია ძმის მკვლელის მოძებნა. ის ჭორი, რომელიც ჩეკისტებმა გაავრცელეს სოფელში, ვითომ მათი ხელით მოკვდა ბუჭა, არავინ დაიჯერა. ბუჭა ძალიან ფრთხილი გახლდათ და მისი მოხელთება შინაური მტრის გარეშე შეუძლებელი იყო. ცოლის კალთას ჩამოკიდებული ბეჭანას მოძებნა კი ადვილი იყო და ამიტომაც გიორგიმ მოიხელთა ტყეში შეშაზე წასუ-
ლი მკვლელი...

...ბეჭანამ ყველაფერი აღიარა, კიდევ მორთო ღრიალი:

- ცოლ-შვილი არ დამიობლო, გიორგი, ჩემი სიკვდილით შენს ძმას ხომ ვერ გააცოცხლებ?

- შენ ტყვიის ღირსი არა ხარ! - იყვირა გიორგიმ და თით-
ქოს გონს მოვიდაო, - ღორივითა ხარ ყელგამოსალადრი, შე ღორის შვილო შენა! მაგრამ არ მოგკლავ!... ბუჭა, რომ სიყვარულით ლუკმას უყოფდა, მე იმ ბაღლებს მამას ვერ მოვუკლავ!... წადი! არ დამენახო თვალით, თორემ ჩემს საქ-
ციელზე პასუხს აღარ ვაგებ!



ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დაუშვა დაბლა „მა-უზერი“, მერე მიტრიალდა და დინჯი ნაბიჯებით გაუყვა ბილიკს. ათიოდე ნაბიჯი არ ჰქონდა გავლილი, მის ზურგს უკან „ნაგანმა“ რომ იჭექა... თითქოს დრო გაჩერდა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა გიორგის... უკან მოიხედა და ბილიკზე დამხობილი და საკუთარ სისხლში მცურავი ძმის მკვლელი დაინახა...

...ირგვლივ ყველა გარინდულიყო, მხოლოდ ცეცხლზე დაყრილი შეშის ტკაცატკუცი არღვევდა სიჩუმეს. ბოლოს ქაქუცას სევდანარევი ხმა გაისმა:

- ვინ იყო ის ბერი, თორღვავ? ეს ქალაქდები რომ გადმოგცა?

- რა ვიცი, ქაიხოსრო ბატონო, - უპასუხა თორღვამ, - მონასტრიდანა ვარო, მიქაელი მქვიაო. მეტი არაფერი ვიცი და არც მიკითხავს, ჩემი ძმის მკვლელობით ისე ვიყავ გაოგნებული.

- შველა უნდა ქვეყანასა და ხალხს, - წარმოთქვა ქაქუცამ და ცეცხლისკენ გაექცა მზერა.

XV

ათას ცხრაას ოცდასამი წლის დამდეგიდან საქართველოში დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების თვითლიკვიდაციის კამპანია. აქციები, ცხადია, თავისთავად არ მომხდარა. ეს მმართველი ბოლშევიკური პარტიის რეპრესიების გაძ-



ლიერების შედეგი იყო. მაისში დახვრიტეს ქართული მხედრობის, სამხედრო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები - გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე და კოტე აფხაზი. აგრეთვე ცნობილი პოლკოვნიკები და სახელმწიფო მოხელეები. აღნიშნული ამბავი მეხვიით გავარდა მთელს საქართველოში, განსაკუთრებით კი სატუსალოებში, სადაც ძირითადად პოლიტიკური პატიმრები იყვნენ გამომწყვდეულნი. გუბერსკის ციხეში ჩოჩქოლი ატყდა. ყველა პატიმარი, ვისაც კი შეხება ჰქონდა აჯანყებასთან, დარწმუნდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ მათაც იგივე ბედი ეწეოდათ.

ბალამა საერთო საკანში, ფიცრებისაგან უსწორმასწოროდ შეკრულ სანოლზე იწვა და ჭერს მიშტერებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ მას ფიქრისთვის ბევრი დრო ჰქონდა, თავს ვერ უყრიდა ერთად ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და, შესაბამისად, ანალიზსაც ვერ აკეთებდა. ერთი დასკვნა კი გააკეთა, რომ ასე თუ გაგრძელდებოდა - დახვრეტა არ ასცდებოდა. წარმოიდგინა კიდეც თავის თავი ხელებშეკრული და კედელთან აყუდებული...

...ამ დროს რკინის კარი გაიღო და ზედამხედველმა საკანში ხელისკვრით დახეულ ანაფორაში გამონყობილი მღვდელი შემოაგდო. მერე გასწორდა და იღრიალა:

- სტარასტა! ჩაიბარე ეს ჯოჯოხეთის მოციქული!

სანამ საკნის მამასახლისი გაინძრეოდა, ბალამა სწრაფად წამოხტა სანოლიდან, მივიდა მღვდელთან და კურთხევა გამოითხოვა:



- დამლოცე, მამაო. აქეთ მობრძანდით.

მღვდელმა ჯვარი გადასწერა საკანში მყოფ ადამიანებს და მორჩილებით მიიღო ბალამას „მიპატიჟება“.

მღვდელი აღმოჩნდა მცხეთელი მამა ბასილი, რომელსაც ბრალად ედებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეკავშირეობა. რა თქმა უნდა, მამაო ამის შესახებ არაფერს საუბრობდა, ვერც პატიმრები უბედავდნენ შეკითხვის დასმას, მხოლოდ ციხის არაოფიციალური, ეგრეთ ნოდებულის „ფოსტა“ ადასტურებდა ამ ინფორმაციას. ასე რომ, მღვდლის ისტორიის „გამოძიება“ მალევე შეწყდა, რადგან საკანი ნელ-ნელა ცარიელდებოდა პატიმრებისაგან. ისინი დასახვრეტად გაჰყავდათ... უკან აღარავინ ბრუნდებოდა... მამა ბასილი ყველასთვის ლოცულობდა... ბოლოს საკანში მამაო და ბალამა დარჩნენ...

ბალამას ნერვიულობა აშკარად ეტყობოდა. მამა ბასილი კი წყნარად იყო და სიმშვიდით ელოდებოდა თავის უკანასკნელ ჟამს. ეს უკანასკნელი თავის თავზე იმდენად არ ფიქრობდა, როგორც ბალამაზე. ამიტომ მხარზე ხელი დაადო თანამესაკნე სულიერ შვილს, გაუღიმა და ჰკითხა:

- რა გჭირს? ცუდად ხომ არ ხარ?

ბალამამ თავი ასწია. მამაოს მომღიმარე სახე რომ დაინახა, თვითონაც ხასიათზე მოვიდა. ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა და დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა:

- ლამის გული გასკდეს, კაცო! სიცოცხლე აღარ მინდა, ისეთ დღეში ვარ!

- ეგეთი რამე მეორედ აღარ თქვა! — ნაწყენი კილოთი უთხრა მამაომ, — ეგ სიტყვები ღმერთის გამობაა.



- რა ვთქვი ეგეთი? — იკითხა გაცხებულმა ბალამამ.

- შენ სხეულში ღმერთის ნაბოძები სული გიდგას და მისი განკარგვის უფლება მხოლოდ უზენაესს აქვს. სასონარკვეთილება კი უღმერთობაა, სიბნელეში სიარულია, სიბრმავეა სულისა, როცა არ იცი, როდის სად გადაიჩეხები. ბნელეთის უფსკრულში მყოფმა არ უწყის ნათელი ღვთისა, ხოლო სასონარკვეთილების ვნებით შეპყრობილმა - მადლი უფლისა. სასონარკვეთილება, ჩემო იოსებ, მხოლოდ ცხოვრებისეული წინააღმდეგობებიდან წარმოიშვება. გახსოვდეს, რომ მხოლოდ ცხოველს აღიზიანებს წინააღმდეგობა. ადამიანი ცხოველს არ უნდა დაემსგავსოს, არ უნდა გაბოროტდეს. ყოველი ჩვენგანის გზა გოლგოთაა და გვინდა თუ არა, ვალდებული ვართ, ჩვენ-ჩვენი ჯვარი ვზიდოთ. სიბრძნე ზირაქისა გვასწავლის - „ნუ მიეცემი მწუხარებას და თავს შენივე ნებით ნუ გაინამებ. დაიამე სული და გულით გამხნევი და დარდი განიშორე“.

მამამ წამით შეწყვიტა საუბარი და ბალამას თვალებში შეხედა. ეს უკანასკნელი კი უწყურებდა მღვდელს, მაგრამ გამოხედვიდან ეტყობოდა, რომ ფიქრით სხვაგან იყო. ამ მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, მამა ბასილმა ხმამაღლა უთხრა თანამესაკნეს:

- გაიგე, კაცო, რასაც გეუბნები!?

- როგორ არ გავიგე, - თქვა ბალამამ ისე, რომ თვალი არ დაუხამხამებია, - ყველაფერი გავიგე, მაგრამ ერთი რამ ვერ ამოვხსენი. თუ ღმერთის მიერ ნაბოძები სული გვიდგას სხეულში, მაშინ ამდენ ტკივილს რატომ აყენებს თავის მი-





ერვე შექმნილ სულს შემოქმედი? რატომ სტანჯავს? ის ხომ ღმერთია და არა დემონი?

- აი, სწორედ ეს არის ადამიანური ბუნების ამოხსნის საწყისი, — წყნარად წარმოთქვა მამა ბასილმა, - ჩვენ, ადამიანები ცხოველებისაგან იმით განვსხვავდებით, რომ აზროვნების უნარი გვაქვს და ამას გვანიჭებს ღმერთის მიერ ნაბოძები სული, რომელსაც ყველა ადამიანი უნდა გაუფრთხილდეს, სიბინძურისაგან დაიცვას და ისეთივე სპეციაკი ჩააბაროს უფალს, როგორც მისგან მიიღო. ხოლო რაც შეეხება სატკივარს, რომელსაც ღმერთი ჩვენი ცხოვრების გზაზე გვიჩენს, ასევე ჩვენს სასიკეთოდ არის მომართული.

- მამაო, - შეაწყვეტინა ბალამამ სიტყვა, - ბოდიშს მოგიხდით, რომ საუბარს განწყვეტინებ, მაგრამ არ მესმის, ტკივილი ჩვენს სასიკეთოდ როგორ უნდა იქნეს მომართული.

- მაგასაც გეტყვი, რატომ ჩქარობ, - დაამშვიდა მამაომ ბალამა, - მომისმინე და ყველაფერი კარგად დაიმახსოვრე. ღმერთმა თავის მსგავსად და ხატად შექმნა ადამიანი. თავისივე სული უბოძა მას. და რადგან თავის მსგავსად შექმნა, იგი ისეთივე შემოქმედი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი მამაზეციერი. ადამიანი პირველ რიგში სიკეთის და სიყვარულის მთესველი და ქეშმარიტების მაძიებელი უნდა იყოს. ეს კი მას ხელენიფება მაშინ, როდესაც თავის წილ ტკივილს დაატარებს გულთ, რადგან ტკივილის გარეშე ღმერთისგან იგი შორს არის და, რა თქმა უნდა, ვერც შეძლებს იმ მადლის მიღებას, რაც სიკეთისა და სიყვარულის შექმნაში დაეხმარება. წმიდა მამები გვასწავლიან: „ადამიანი უნ-



და ეცადოს, რომ გულში მოუკლებლივ იქონიოს დარდი და ნუხილი, რათა დაეხმაროს სულს გადარჩენაში. თუ კაცის სული არ არის მნუხარე, თუ მას ქვეყნიურ ცხოვრებაში არ აკლია შვება და ნუგეში, მაშინ რად დაინყებს იგი დიდი შემნისა და მფარველის ძებნას ზეცას, რომ შეენიოს მას ცხოვრებაში?“ შენი სატიკივარი დღეს შენი სამშობლოა, რომელიც მტერმა შებილნა და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებს სიცოცხლე მოუსწრაფა. ძნელია ყოველივე ეს უდრტვინველად, იმ შეგნებით მიიღო, რომ უფალს ასე სურს. განსაცდელი ღვთის მიერ დაიშვება, რათა ჩვენი ფარული სათნობანი გარეთ, დღის სინათლეზე გამოვიდეს. ჭეშმარიტი მორწმუნე განსაცდელის ჟამს რკინის ჭურჭელს ემსგავსება და ვერაფრით გატეხ, ხოლო გაბოროტებულ, სასონარკვეთილ, ურწმუნო კაცს უბედურება ისევე ამსხვრევს, როგორც რკინის ჯოხი შუშის ქილას. ამიტომ სასონარკვეთილებას არ უნდა მიეცე, იოსებ, ეგ დიდი ცოდვაა.

ბალამას სახეზე ნითელმა ფერმა გადაჰკრა. აშკარად შეეცყო, რომ მის სულში რალაც ახალი გრძნობა დაიღვენთა. მამა ბასილს არ გამოჰპარვია ეს გარდასახვა და გაელიმა. მის გულში სიხარულმა დაისადგურა. ეს კიდეც ერთი გამარჯვება იყო ბოროტზე. მერე მოიხსნა გულზე ჩამოკიდებული პატარა ფსკვნილი, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახული, გაუნოდა ბალამას და უთხრა:

- ეს ფსკვნილი ატარე ყოველთვის. შიგ ორმოცდამეათე და ოთხმოცდამეათე ფსალმუნებია. პირველი მუდმივი სინანულისკენ მოგვინოდებს, რათა შეგვინდოს ღმერთმა ჩვენი შეცოდებანი, ხოლო მეორე მტრისგან დაგიცავს.



ბალამამ ნაჩუქარი ფსკენილი მკერდზე ჩამოიკიდა, პირ-
ჯვარი გადაიწერა და ის იყო მამაოსთვის მაღლობა უნდა
გადაეხადა, რომ საკნის კარი გაიღო და ზედამხედველმა
უკანასკნელ ხმაზე იღრიალა:

- მინდელი დაკითხვაზე! ...

მამა ბასილი მორჩილად წამოდგა, ბალამას გაუღიმა და
გაჰყვა ზედამხედველს ...

XVI

ანტისაბჭოთა პარტიების - სოციალ-დემოკრატების,
ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტე-
ბის, სოციალურ-რევოლუციონერების და დამოუკიდებელ
სოციალ-დემოკრატების დაფუძნებულმა საქართველოს
დამოუკიდებლობის კომიტეტმა, ეგრეთ წოდებულმა დამ-
კომმა, ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის ივლისის შუა რიცხ-
ვებში, გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ
ყველა პარტიის კომიტეტის წევრები და მთავარსარდალი
სპირიდონ ჭავჭავაძე, აჯანყების დაწყების დროდ გამო-
აცხადა ჩვიდმეტი აგვისტო.

აჯანყების გეგმის მიხედვით, პირველად თბილისი უნ-
და გამოსულიყო. ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი
თბილისიდან ოც კილომეტრზე მდებარე სოფელ ნახშირგო-
რასთან დაბანაკდა. იქ მოიყარეს თავი დუშეთისა და დილ-
მის რაზმებმა, კაპიტან ვაჩნაძის ბორჩალოს და მანგლისის



რაზმებმა, აგრეთვე ლაშქარაშვილის და ნაცვლიშვილის შენაერთებმა.

ამ დროისათვის ვაზიანში დაბანაკებული იყო რუსული არტილერია ასოცი ზარბაზნით. საჭირო იყო ამ ძალის ხელში ჩაგდება, რაც პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას რაზმს უნდა მოეხდინა, რათა რუსებისათვის ჩამორთმეული ზარბაზნებით მისდგომოდნენ თბილისს ნავთლუღის მხრიდან. ამიტომ ცაგურიას განკარგულებაში გადავიდნენ თელავის, სიღნაღის და გურჯაანის რაზმები. აჯანყების დაწყება უნდა ეცნობებინათ ჩრდილოკავკასიელებისათვის, რათა საბრძოლო არიალის გაფართოების შემთხვევაში უფრო ადვილი იქნებოდა მტრის განდევნა კავკასიიდან.

თითქოს ყველაფერი მზად იყო აჯანყების წარმატებით დაწყებისა და დამთავრებისათვის, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. აჯანყების ორგანიზებისა და დაწყებისათვის დროებითა მთავრობამ საფრანგეთიდან მოავლინა ვალიკო ჯუღელი, რომელიც ჩეკამ დააპატიმრა, მოტყუებით ათქმევინა აჯანყების დაწყების დღე და მოსთხოვა მიენერა წერილი დამოუკიდებლობის კომიტეტისთვის, რათა უარი ეთქვათ აჯანყების დაწყებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად მოექცეოდნენ იმათ, ვინც დატუსაღებული იყო. სხვა მონაწილეებსაც დახვრეტით ემუქრებოდნენ. ვალიკო ჯუღელის სახელით ეს წერილი, რა თქმა უნდა, ჩეკამ შეადგინა და გაუგზავნა დამკომს. ამ უკანასკნელთ ეს კარგად იცოდნენ და პასუხიც შესაბამისი გაუგზავნეს, რომ არავითარი აჯან-



ყება არ იგეგმებოდა. ამასობაში ჩეკამ დაიწყო თბილისის გამაგრება, გზების შეკვრა და ქვეყნის მასშტაბით საეჭვო სამხედრო პირების დაპატიმრება. შექმნილმა მდგომარეობამ დიდი გავლენა მოახდინა აჯანყებულთა მთავარსარდლის, სპირიდონ ჭავჭავაძის განწყობილებაზე. მას გამარჯვების იმედი აღარ ჰქონდა, რის შესახებაც აცნობა დამკომს. მაგრამ დამკომის თავმჯდომარის მოადგილე, იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით მოითხოვდა აჯანყებას, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, უკვე დაწყებული იყო და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. მან მთავარსარდლის გადაყენება და მის ნაცვლად ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანიშვნა მოითხოვა, მაგრამ დამკომმა ეს წინადადება არ მიიღო და აჯანყების დაწყების დღედ ოცდაცხრა აგვისტო დათქვეს.

ეს უკვე დიდი სტრატეგიული შეცდომა იყო.

თხუთმეტ აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში ხალხმრავლობა იყო. სამშობლოსთვის გულანთებული მამულიშვილები ემზადებოდნენ მტერზე თავდასხმისათვის. კაპიტანი ელიზბარ ვაჩნაძე თავისი რაზმით ახალი მისული იყო ბანაკში. დიდი მუხის ქვეშ სახელდახელოდ გაშლილ ნაბდებზე დასხდნენ ქაქუცა და ელიზბარი.

- მთლიანობაში ორას კაცზე მეტნი ვართ, ბატონო ქაიხოსრო, - წარმოთქვა ელიზბარმა და წყლით სავსე კოკიდან წყალი მოსვა, - სულ რჩეული და ბრძოლებში გამოცდილი ვაჟკაცები არიან, ამათ ბოლშევიკები ვერ შეაჩერებენ.

- კარგი ბიჭები არიან, - დაუდასტურა შეფიცულთა თავკაცმა, - სამასს კიდევ ველოდები. ერთ-ორ დღეში ლაშქა-



რაშვილი და ნაცვლიშვილი შემოგვიერთდებიან თავისი მებრძოლებით. ასე რომ, ექვსასი კაცით რუსებს თბილისიდან გავრეკავთ. თან ქალაქშიც შემოგვიერთდება ჩვენი ხალხი.

უცებ ბანაკში ჩოჩქოლი ატყდა.

- მაცნე მოვიდა!... მაცნე!... - გაისმა მეომრებში ხმა.

ახლადმოსული მარდად ჩამოხდა ცხენიდან და პირდაპირ ქაქუცასკენ გაიქცა. წესისამებრ მიესალმა შეფიცულთა თავკაცს, ჩოხის გულის ჯიბიდან დაკეცილი ქალაღი ამოიღო, გადასცა ქაქუცას, უკან დაიხია და უთხრა:

- ქაიხოსრო ბატონო, დამკომიდან გამომატანეს.

ჩოლოყაშვილმა გაშალა ქალაღი და ყურადღებით დაინყო კითხვა. მალევე წარბები შეჭმუნხა, ბარათი წასაკითხად ელიზბარს გადასცა, თვითონ კი წამოდგა და ტყისკენ წავიდა. მალევე მობრუნდა, იქვე მდგარი ახალგაზრდა ბიჭი იხმო და უთხრა:

- მღვდელი მომიყვანე! თან ქალაღი და ფანქარი წამოიღოს!

ქაქუცა ელიზბართან ერთად განმარტოვდა და მღვდელს დაავალა, რომ დაეწერა წერილი საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის სახელზე:

- ამ საქმის გადადება არაფრით არ შეიძლება. ხალხი უკვე თავს იყრის და თუ დროზე გამოვედით, რაზმს უფრო გავაძლიერებთ. თუ გამოსვლა ოც აგვისტოს არ მოხდა, მაშინ თბილისიდან ახლო ტყეში ამდენ ხალხს ვერ შევინახავ. სანოვაგის საკითხი ამისთვის მოგვარებული არ მაქვს და იძულებული გავხდები რამდენიმე დღის შემდეგ ხალხი



სოფელში დავაბრუნო. ახლო მომავალში მათი თავის მოყრა ადვილი აღარ იქნება. მანამ გლახკაცი პურსა და ღვინოს არ დააბინავებს, აღარ გამოვა. რადგან აჯანყების გადადებას აუცილებლად მიიჩნევთ, მაშინ გონიერება მოითხოვს, ის ოქტომბრისთვის გადაიდოს.

შემდეგ ხელი მოაწერა წერილს, იხმო მაცნე და უბრძანა, სასწრაფოდ წაეღო ეს ბარათი დამკომში. მერე ელიზბარს მოუბრუნდა და უთხრა:

- არ მომწონს ეს ამბავი. მეშინია, რომ ლალატის მსხვერპლი არ გავხდეთ. თითქოს ჩეკამ ყველაფერი წინასწარ იცის. ვალიკო ახალი ჩამოსული იყო საფრანგეთიდან, რომ უცებ დაიჭირეს. რალაც უხილავი ქსელი მუშაობს.

- მეც ეჭვი მღრღნის, ქაიხოსრო ბატონო, - თქვა ელიზბარმა, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, - ღმერთმა არ ქნას. ისე ჟორდანიას თავიდანვე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. იგი აჯანყების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

- არ გამიკვირდება, ჩემო ელიზბარ, - მიუგო ქაქუცამ და უღვაშები თითებით შეისწორა, - ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც თავდაპირველად ერთი პარტიის წევრები იყვნენ, ათეისტები არიან, ღმერთი არ სწამთ და დღევანდელი დღით ცხოვრობენ. წესით ისინი აქ უნდა იყვნენ და ჩვენთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ და არა საკუთარი განცხრომისთვის, საფრანგეთში ქართველი ხალხის ქონების ხარჯვით იყვნენ დაკავებულნი. ამიტომ მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი.



- კი, მაგრამ მოზრუნებას არ აპირებენ? - იკითხა ვაჩნაძემ,
- ეს ხომ სამშობლოს ღალატია!? თან ამდენი განძი წაიღეს.

- ბოლშევიკებიც მაგას ეუბნებიან, - მწარედ გაეცინა ქა-
ქუცასა, - თქვენი წილი ხომ წაიღეთ, ახლა ჩვენ გვაცალეთო და
დაიწყეს ეკლესიების ძარცვით. ამას ყველაფერს ბოლო უნდა
მოვუღოთ, ჩემო ელიზბარ... მაგრამ დამკომი!?... რატომ შეც-
ვალა გადანყვეტილება!? ეს ხომ რაზმების დაშლას გამოიწ-
ვევს!? თან რუსები ქალაქში გამაგრებას მოასწრებენ...

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რა თქმა უნდა, უხალისოდ შეხვ-
და მთავარსარდლის გადანყვეტილებას აჯანყების გადატა-
ნის თაობაზე, თუმცა იძულებული იყო დამორჩილებოდა,
რადგან ზედმეტი გართულებები ასცილებოდა ქვეყნისთ-
ვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საქმეს.

გეგმის მიხედვით, თბილისი ორი მხრიდან უნდა ყოფი-
ლიყო აღებული. ერთი მხრივ, მანგლისში შეიარაღებული
ხალხით, ხოლო მეორე მხრივ, ვაზიანიდან წამოსული ძა-
ლით. მაგრამ ვაზიანში არაფერი გაკეთდა, ხოლო აჯანყების
გადატანამ რამდენიმე დღით, გამოიწვია ის, რასაც ვარაუ-
დობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მას ექვსასი კაცის ნაცვლად
მხოლოდ სამოცი კაცი მიუვიდა. აჯანყების ბედი გადანყ-
ვიტა თბილისზე წარუმატებელმა შეტევამ, უფრო სწორად,
შეტევის შეუძლებლობამ, რადგან ხელისუფლებამ მოასწრო
ქალაქის გამაგრება და დაცვის სიტემის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, საბედისწერო შეცდომა იქნა დაშვებული
ჭიათურაში, სადაც გამოსვლები დაიწყო ერთი დღე-ღამით
ადრე - ოცდარვა აგვისტოს, რამაც მთავრობას მისცა შე-



სადღებლობა უფრო ადრე გასწორებოდა აჯანყებულებს, ვიდრე საყოველთაო გამოსვლები დაიწყებოდა. კახეთში ერთი დღით ადრე დააპატიმრეს ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი. გამოსვლები მოხდა შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებში, მაგრამ აჯანყება დამარცხდა.

აჯანყების დამარცხებას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები, რამაც განაპირობა ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის სექტემბრის დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის და შეფიცულთა რამდენიმე წევრის მიერ საქართველოს დატოვება და ემიგრაციაში გახიზვნა.

საქართველოს ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა ეშმაკის ცეცხლი დაანთეს და დაიწყეს მოსახლეობის და ქვეყნის სიმდიდრის ძარცვა...

...ღვთისმშობლის წილხვედრ მინაზე დაიწყო უმეცართა და უზნეთა როკვაი საშინელი...

XVII

ბალამას დიდხანს არ მოუწია მარტოდ ყოფნა. ორ დღეში გადაიყვანეს სხვა საკანში, სადაც პატიმრების სიმრავლე იყო. თუმცა აქედანაც დღეში სამი ან ოთხი კაცი გაჰყავდათ, უკან კი არავინ ბრუნდებოდა... შიშს დაესადგურებინა გუბერსკის სატუსალოში, ხოლო ქალაქის შემოგარენი პირუტყვთა სასაკლაოს დამსგავსებოდა... ორთაჭალის, ვაკის, საბურთალოს მინდვრები გვამებით გაივსო...



საკანში პატიმრები თითქმის არ ესაუბრებოდნენ ერთ-მანეთს. მათი ყურადღება რკინის კარისკენ იყო მიპყრობილი. უბრალო გაფაჩუნებაზეც კი ყველას თვალები იქით გაუბრუნდა, ხოლო ზედამხედველის გამოჩენის შემთხვევაში, თავდახრილები ელოდებოდნენ თუ ვის გვარს დაასახელებდა ჯოჯოხეთიდან გამოგზავნილი ეს ეშმაკის მოციქული. ერთადერთი ბალამა იყო წამონოლილი ნარზე და თვალებით ჭერს მიშტერებოდა. წუთისოფელში სიცოცხლის ოცდახუთმა წელიწადმა უცებ გაიბრინა მის თვალწინ: „იმ საუკუნეში კი დავიბადე“ - ფიქრობდა ბალამა, - „მაგრამ აზრზე ამ საუკუნეში მოვედი. აბა, ორი წლისას სიცოცხლისა რა გამეგებოდა? თუმცა, ამ ორი წლის სიცოცხლე კი ჩამეთვალა მეცხრამეტე საუკუნეში. დანარჩენი კიდევ აქეთკენა - მეოცეში. ოთხი წლისა უკვე სოფლის ორღობეებში დავრბოდი. კარგი დრო იყო... ეგრე ვიზრდებოდი ჩემს თანატოლებთან ერთად, ხელში ხმელი პურითა და გულიანთ სახლის წინ მოჩუხჩუხე წყლითა. ზაფხულის პირას კიდევ, სიბოიანთ გორიდან აღარ ჩამოვდიოდით შინა. იმ დალოცვილ მთაზე დიდი მარწყვები იზრდებოდა და იმის ჭამას არაფერი სჯობდა, გაძლომას ვერ ვიგებდით. შემოდგომაზე ვენახის თავში და ბოლოში მსხლითა და ატმით დახუნძლული ხეების მარტო სუნი დაგანაყრებდა ადამიანსა... ეეჰ! კარგი დრო იყო თექვსმეტ წლამდე, სანამ მოჯამაგირეობასა და მერე კიდევა ჯარისკაცობას დავინყებდი. ბოლო რვა წელი კი, მართლა ჯოჯოხეთში ვიარე და ახლა ღმერთმა თუ არ მიშველა, ეს შობელძაღვლები



ტარტაროში გამაგზავნიან. იმ დალოცვილმა მღვდელმა კარგად ამიხსნა, რა არის ტარტაროზი. თან ციხის ენაზე ამიხსნა, აბა, სხვანაირად მე ვერ გავიგებდი. ტარტაროზი ჯოჯოხეთში იგივეა, რაც ციხეში კარცერიო...ჰოდა, ღმერთო, უნდა მიშველო... შენ ხომ სულ ჩემთანა ხარ? იქნება გადმამხედო, მართლა არ მინდა სიკვდილი...“.

უცებ საკნის კარი გაიღო. ყველამ იქით გაიხედა... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, იმ სამარისებური, რომელზეც აქ მყოფთაგან არავინ იცოდა, ვის სად გაუთხრიდნენ და ძალღივით ჩააგდებდნენ შიგ. კარში ზედამხედველი გამოჩნდა, მერე უცნობი პატიმარი ხელისკვრით შეაგდო საკანში და ცხოველივით იღრიალა:

- სტარასტა! ჩაიბარე!

როგორც კი ზედამხედველი საკნიდან გავიდა და კარი ჩარაზა, ყველამ შვებით ამოისუნთქა და უცნობი თანამესაკნის ათვალიერება-ჩამოთვალიერება დაიწყეს. ბალამამ, რომელსაც ზედამხედველის შემოსვლაზე და გასვლაზე არავითარი რეაქცია არ ჰქონია, მხოლოდ ახლა გაიხედა საკნის ბოლოში, სადაც ახლადშემოსულ პატიმარს დასახვრეტად გამზადებული ტუსალები ესაუბრებოდნენ. ბალამა კარგად დააკვირდა ახლადმოსულს, მერე თვალებზე ხელისგულები გადაისვა, თან გონებაში გაუელვა: „ხომ არ მეჩვენებო?“ ფეხზე წამოდგა და გასძახა:

- გოგია, შენა ხაარ!? ...

უცნობი უცებ შემობრუნდა, გაიხედა საკნის ბოლოში, საიდანაც ხმა გაიგონა, კარგად დააკვირდა თავის სახელის წარმომთქმელს და უცებ აღმოხდა:



- ბალამა შენა!?... ცოცხალი ხარ, ბიჭო!?... გოგია ვაარ, მაშა!

ბალამა და გოგია ერთმანეთს გადაეხვივნენ. ეს ის გოგია ბლუაშვილი იყო, ბალამას ყარაბულახში რომ უმასპინძლა. ბალამამ, როგორც იტყვიან ხოლმე, თითქოს „სული მოითქვაო“, სიხარულის ცრემლიც მოინმინდა თვალებიდან და გაკვირვებულმა ჰკითხა გოგიას:

- შენ რათა, კაცო!?... შენგან რაღა უნდოდათ ამ შობელ-ძაღლებსა!? ...

- ეეჰ! - ამოიოხრა გოგიამ, - აბა, რა გითხრა? შენ მოგვარეს, ხაშმელ მაისურაძეს, ტყუილად კი არ დაარქვეს ტურა!

- ჰოო, - მწარედ გაეცინა ბალამას, - ვიცი ეგ ტურა. ნამდვილი სახელი ვანო ჰქვია. ყოფილი მენშევიკია. მერე, როგორც ბევრი სხვა - გაბოლშევიკდა. ღალატი დაუფასეს ნითლებმა და სართიჭალაში აღმასკომის თავმჯდომარის - ადიკაშვილის თანაშემწედ დანიშნეს. მაგის შემდეგ სად არის და რას აკეთებს არ ვიცი. ან საიდან მეცოდინება, სულ ციხეში ვაგდივარ და აქ მე ტურაზე აჩოტებს არავინ ჩამაბარებს. აბა, მითხარი რა გაგიკეთა მაგ სულძაღლმა!?

- კაცო, ჩემს ეზოში ვფუსფუსებდი, - თქვა გოგიამ და ნარზე ჩამოჯდა, - უცებ, ცხენის ფლოქვების თქარუნი გავიგე. ვიღაც მოდიოდა ჩემს ორღობეში. ახლოს რომ მოვიდა ვიცანი ტურა. გავიფიქრე: „ეს კაი საქმეზე არ უნდა იყოს-მეთქი მოსული“. ისე აგიხდა ყველაფერი. გამარჯობაც არ უთქვამს, პირდაპირ ყვირილზე გადავიდა: „შენი ვირი წამაიყვანე და გამამყევი უკანაო!“ დავემორჩილე, აბა, რას ვიზამდი, კბილებამდე იყო შეიარაღებული. ცუგროვანის



ჭალაში მიმიყვანა. პატარა ბიჭი ეგდო ხის ძირას მკვდარი. ტყვია შიგ გულში ჰქონდა მოხვედრილი. „აილე ეგ მკვდარი, გადაკიდე ვირზე და გამამყევით!“ - იყვირა ტურამ და თან მაუზერი მოიმარჯვა. ხმა არ ამომიღია, ავიყვანე ხელებით მკვდარი ბავშვი, ჯერ ისევ თბილი იყო სანყალი. როგორც ჩანდა ამ სულძაღლის ნამოქმედარი იყო ეს ამბავი. ბიჭი გადავკიდე ვირზე და გავყევი უკან ტურას. სართიჭალის ჩეკაში მიმიყვანა. თვითონ შენობაში შევიდა, მე კიდე მკვდარ-გადაკიდებული ვირით ეზოში გავჩერდი. მალევე გამოვიდა, მკვდარი იქვე მდგომ ურემზე გადამატანინა და ვილაც მილიციონერს დაუძახა: „ძეძვიანთ ხევში წაილე და იმ კონტრე-ვოლუციონერებთან ერთად დამარხეთო!“ მე გაოგნებული ვიდექი ჩეკას ეზოში ჩემს ვირთან ერთად და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ტურა გამოვიდა შენობიდან, შამამხედა, გაცინა და მითხრა: „შენ ისევ აქა ხარო!“ მე მხრები ავიჩიჩე. უცებ, მილიციელს დაუძახა: „ამას, როგორც ვატყობ, სახლში წასვლა არ უნდა და შეაგდე ციხეში, მერე მივხედავო!“ აი, ეგრე, დამავლეს ხელი და შემავლეს საკანში. პატიმრები მეკითხებოდნენ: „რად დაგიჭირესო!“ და ვერაფერს ვპასუხობდი, მე თვითონ არ ვიცოდი არაფერი და იმათვინ რა უნდა მეთქვა, ჰაა!?

- მერე ვერ მოუყევი, რაც გადაგხდა? - გაეცინა ბალამას.

- უთხარი მათ! და ნეტაი არ მეთქვა. - წამოიძახა გოგიამ და თავზე ხელის გულელები შემოირტყა.

- რათა, კაცო!? - შეიცხადა ბალამამ.

- პატარძელელები იმ საკნიდან გაუყვანიათ დასახვრეტად, სადაც მე შემავლეს, - განაგრძო თხრობა გოგიამ, - ეს



ბავშვი კი, ასე ცამეტი-თოთხმეტი წლისა, როგორც მითხრეს, ჯილაურიანთი ყოფილა, პლატონა რქმევია უბედურს, გაუთავისუფლებიათ ასაკის გამო და ისიც ფეხით გასდგო-მია სახლისკენ მიმავალ გზას. ყარაბულახის გავლით უნდოდა, როგორც ჩანს, პატარძელში გადასვლა. ტურას რომ გაუგია, ერთი ამბავი აუტყვია: „ეგ ყმანვილი აჯანყებულე-ბის მეკავშირე იყო და რად გაუშვით ცოცხალიო!“, როგორც ჩანს გამოეკიდა და მოკლა. დანარჩენი კი მოგიყევი.

- პატარძელელები ბევრი დახვრიტეს? - იკითხა გამწარებულმა ბალამამ.

- ხომ იცი, ციხეში ამბები უფრო ადრე მოდის, - მიუგო გოგიამ, - ბალბიანის ძეძვიანთ ხევში დაუხვრეტიათ საწყელები. ორი მღვდელი ყოფილა. ერთი შიო მღვიმელის ეკლესიისა - დიმიტრი უსტიაშვილი. პირველად მაგისტვის უსვრიათ და მერე სხვები დახვრიტეს და ზევიდან დაუყრიათ ამ მღვდლისთვის. როგორც ბოლოს აღმოჩენილა, მღვდელი ცოცხალი ყოფილა და მკვდრებიდან გამოძრომას ლამობდა, ამ სულძალღებს კი მიწა მიუყრიათ და ცოცხლად დაუმარხავთ. მეორე მღვდელი ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი ყოფილა, შენ გეცოდინება, მცხეთელი ვასო კოზმანაშვილიო?

ბალამამ გოგიას თანხმობის ნიშნად თავი დაუხარა და უმაღვე შესძახა:

- მერე... მერე!? სხვები ვინ იყვნენო!?

- მაგათ სახელებს რა დამავინწყებს, რაც იქ ვიჯექი სულ მაგათზე ვლაპარაკობდით, - თქვა გოგიამ და სიმწრისაგან



სახეზე თეთრმა ფერმა გადაჰკრა, - მაგარი ბიჭები ყოფილან ის დალოცვილები - ცაცო მენაბდიშვილი, ილო მუჩი-აშვილი, გიორგი ლაფერიშვილი, შაქრო თუ ჯაყრანა ყუშიტაშვილი, ნიკო ფიცხელაური, სიკო კოტორაშვილი, სოლომონა ყუშიტაშვილი, ბურდული ევგენა, გაბროშვილი ვანუა, ზაქარია ბილანიშვილი, თათარაშვილი პეტოა, ალექსაშვილი ლარაჩა და ის უბედური ბავშვი, მე რომ ნამამაყვანიხეს.

ბალამას ხმა არ ამოუღია, სახით კედლისკენ შეტრიალდა და ასე მდუმარედ იდგა კარგახანს. საკანში სიჩუმემ დაისადგურა. როგორც ჩანს, პატიმრები უსმენდნენ ბალამას და გოგიას საუბარს და ყველამ თავის თავი წარმოიდგინა იმ ორმოში, სადაც ამ ვაჟკაცმა ბიჭებმა ჰპოვეს საბოლოო განსასვენებელი. როგორც იქნა ბალამა მოსცილდა კედელს, თვლები დაწითლებული და დასიებული ჰქონდა ან ცრემლებისგან ან კიდეც სიმწრისგან, თუმცა ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მისი თანამებრძოლები უკლებლივ ყველა ზეცაში განისვენებდნენ. მათ ბევრი უდანაშაულოც მიაყოლეს, განა იმიტომ, რომ შეეშალათ ან არ იცოდნენ, არა, ეს სპეციალურად კეთდებოდა, რათა ხალხში შიში და მორჩილება ჩაენერგათ. ბალამამ გოგიას მხარზე ხელი დაადო და გაკვირვებულმა ჰკითხა:

- შენ რაღას გერჩიან, გოგია!? რაო, რა გვინდაო!?

- რავი, კაცო, ტურას ეგრე უთქომს: „ეგაო ყარაბულახში სპეციალურად დარჩა მარტო, რომა აჯანყებულებისთვის ხელი გაემართაო!“ ღმერთი, რჯული...

- გოგია, კიდეც კარგი მაგ ძაღლისგაგდებულმა ტურა მათ ისურაძემ ის არ იცოდა, რომ მე შენთან ვიყავი, თორემ ახლა



შენც ძეძვიაანთ ხევის მინაში იქნებოდი!... ღმერთს უმად-ლოდე გადარჩენას...

აქ ბალამამ საუბარი შეწყვიტა და გონებაში გააგრძელა სიტყვა: „...ყოველ შემთხვევაში რამდენიმე დღით მაინც... ეს ხომ დახვრეტამისჯილ პატიმართა საკანია ...“.

XVIII

საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის აჯანყება მცირერიცხოვანი ბანდის მიერ მოწყობილ შეთქმულებად, ავანტიურად გამოაცხადა. თუმცა, ხალხში გავრცელდა ხმები, რომ აჯანყება პროვოცირებული იყო ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს საქართველოში, დაენერგათ ქვეყანაში შიშის სინდრომი, დაეშინებინათ ინტელიგენცია და მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, უზრუნველყოთ პირობები კომუნისტურ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ეს ყველაფერი კი მიზნად ისახავდა ქვეყანაში, ეგრეთ წოდებული, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, ანუ ხდებოდა ერთი პარტიისათვის, ამ შემთხვევაში ბოლშევიკებისათვის, შეუზღუდავი ხელისუფლების გადაცემა. ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი უფრო რადიკალურ შეფასებას აძლევდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. მათი აზრით, ბოლშე-



ვიკებიც და მენშევიკებიც ერთ მიმდინარეობას განეკუთვნებოდნენ. ისინი იყვნენ მტაცებლები. ქვეყნის მატერიალური საგანძურის ძარცვით ბოლშევიკები საქართველოში იყვნენ დაკავებულნი, ხოლო მენშევიკები - საფრანგეთში. არც ერთ ამ დაჯგუფებას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც ღმერთი სწამდა, არც სამშობლო და არც ადამიანი. ყველაფერი ვითომ უნდა შექმნილიყო მუშებისთვის და გლეხებისთვის, სინამდვილეში კი ხალხისთვის არაფერი კეთდებოდა. იძარცვებოდა ქვეყანა და ეს ყველაფერი იგზავნებოდა რუსეთში, იქიდან კი საზღვარგარეთ იმ პატრონებთან, ვინც ლენინი და მისი ბანდა გააგზავნეს რუსეთში რევოლუციის მოსახდენად და მეფის ხელისუფლების დასამხობად. ბოლშევიკებს აღარც ლენინი ჰყავდათ ცოცხალი, რომელიც სხვა სიკეთებთან ერთად, გლეხებს მიწას შეჰპირდა და აღარ მისცა. ხალხი იმასაც ლაპარაკობდა, რომ: „ლენინმა გლეხები მიწის გარეშე დატოვა და არც გლეხები დარჩნენ ვალში და სიკვდილის შემდეგ მიწა არ აღირსესო. მისი გვამი აიღეს და მოსკოვის ცენტრში აშენებულ „სარაიაში“, რომელსაც უცნაური სახელი მავზოლეუმი დაარქვეს და იქ სამახსოვროდ შეინახეს“. გინდა ეცოცხლა პროლეტარიატის ბელადს, მიწას მაინც არ მისცემდა გლეხებს, რადგან პატრონებისაგან ეს დავალება არ ჰქონია და აი, რატომ? საუკუნის დასაწყისში იაპონიასთან დამარცხებამ რუსეთს დიდი ზარალი მიაყენა. საჭირო გახდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ათას ცხრაას ექვს წელს რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულმა სტოლი-



პინმა კარგად იცოდა, რომ გლეხთა უკმაყოფილების წინა-აღმდეგ გადამჭრელი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. მას ასეთ საშუალებად მიაჩნდა ძველი დროიდან არსებული რუსული თემის დაშლა და რუსეთის გადაქცევა მინათმფლობელი-ფერმერი გლეხობის ქვეყნად. ასეთი სოციალური ფენა მომავალში აუცილებლად გახდებოდა სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის დასაყრდენი. მინა გლეხობას კერძო საკუთრებაში გადაეცემოდა და ამით რუსეთი, თავისი ბუნებრივი მასშტაბებიდან გამომდინარე, მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უდიდეს მწარმოებელ ქვეყნად გადაიქცეოდა. მანამდე კი ჩამოაყალიბეს, ეგრეთ წოდებული, კულაკური მეურნეობები, რამაც გააძლიერა სოფელი და შესაბამისად რუსეთის ეკონომიკა, ხოლო ახლად მოჭრილი „ნიკოლოზას ოქროს თუმნიანი“ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გარეშე დატოვა. მსოფლიოს ყველა ქვეყანა შეაზანზარა რუსული ვალუტის სიძლიერემ. მასონები რუსეთის გაძლიერებას არ შეეგუენ და იქ გერმანელების მიერ დაფინანსებული ბოლშევიკები გააგზავნეს, რომლებმაც დაამხეს მეფის ხელისუფლება, საკუთარ სამშობლოს ომი წააგებინეს და გერმანიასთან სამარცხვინო ზავს მოანერჩინეს ხელი. ამის შემდეგ დაიწყო არა ქვეყნისთვის და ხალხისთვის ზრუნვა, არამედ სამშობლოს ძარცვა. ახლა უკვე მუმიადქცეული და მოსკოვის „სარაიაში“ „სათუთად“ შენახული ლენინის მთავარი ლოზუნგი იყო: „ჩამოახრჩვეთ ყველა კულაკი, მღვდელი, მემამულე! პრემია ასი ათასი მანეთი თითოეული ჩამოხრჩობილისათვის! დაე,



ხალხის ოთხმოცდაათი პროცენტი დაიღუპოს, ოღონდ კი ათი პროცენტი მოესწროს მსოფლიო რევოლუციას!“ რუსეთში გაიხსნა პირველი საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც ათათასობით პატიმარი ელოდებოდა განაჩენს. განსაკუთრებული ტერორის ქვეშ მოექცა ეკლესია-მონასტრები, სადაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სიმდიდრე ინახებოდა. ნაძარცვმა ქონებამ რვა ტრილიონი მანეთი შეადგინა. ნაწამები და დახვრეტილი იქნა უამრავი სასულიერო პირი, მათ შორის საქართველოში ვერაგულად მოკლეს პატრიარქი კირიონ მეორე, მღვდელმთავრები ანტონ გიორგაძე, პიროს ოქროპირიძე, ნაზარი ლეჟავა და ბევრი საეკლესიო მოღვაწე. ლენინმა გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, გერმანიას გადაურიცხა ორმილიარდნახევარი ოქროს მანეთი. სულ გადასარიცხი ჰქონდა ექვსი მილიარდი მარკა.

ათასნაირი ტყუილ-მართალი ამბები მოდიოდა რუსეთიდან. ზოგი ძველი, ზოგი ახალი. აღსრულდა ნეტარი ავგუსტინეს წინასწარმეტყველება: „მთავრობა სამართლიანობის გარეშე ავაზაკთა უბრალო ხროვაა“.

ბოლშევიკების ტერორით შეშინებული საქართველოს მოსახლეობა ერიდებოდა ერთმანეთთან ურთიერთობას, მაგრამ ცნობისმოყვარეობის ჟინით შეპყრობილნი მაინც ახერხებდნენ ახალი ჭორ-მართალის გაგებას - „თურმე ფრუნზეს, ვოროშილოვს, სვერდლოვს და ბუდიონს რვა თვის განმავლობაში ორმოცდაათი ათასზე მეტი გლეხი დაუხვრიტავთ!“ „ბოლშევიკები მენშევიკებივით გაქცევას



აპირებენ, თურმე ფულიც გადაურიცხავთ საზღვარგარეთ, ტროცკის თერთმეტი მილიონი დოლარი - ამერიკაში და ოთხმოცდაათი მილიონი ფრანკი - შვეიცარიაში, ზინოვიევის - ოთხმოცი მილიონი ფრანკი შვეიცარიაში, ურიცკის - ოთხმოცდახუთი მილიონი ფრანკი შვეიცარიაში, ძერჟინსკის - ოთხმოცი მილიონი ფრანკი შვეიცარიაში, გენეცკის - სამოცი მილიონი ფრანკი შვეიცარიაში და ათი მილიონი დოლარი ამერიკაში, ლენინს - სამოცდათხუთმეტი მილიონი ფრანკი შვეიცარიაში...“

ბოლშევიკები იმდენად გათავხედდნენ, რომ მათი ხროვის ერთ-ერთმა ლიდერმა, ბუხარინმა ხმამაღლა და თავხედურად განაცხადა: „ჩვენ ეკლესია გაყველიფეთ და მისი წმინდა ღირებულებებით ვენევიტ ჩვენს მსოფლიო პროპაგანდას, ისე, რომ იქიდან დამშეულთათვის არაფერი მიგვიცია... ფილარეტის კატეხიზმი შევცვალეთ ჩემი გულით საყვარელი კომუნიზმის ანბანით, საღვთო რჯული - პოლიტიკური განათლებით, ბავშვებს ჩამოგვლიჯეთ ჯვრები და ავგაროზები, ხატების ნაცვლად ჩამოვკიდეთ ბელადები და შევეცდებით ქვედა ფენებისათვის შევაზავოთ ილიჩის სინმინდეები კომუნისტური სანებლით“.

ასე რომ, თუ ათას რვაას პირველ წელს საქართველოში შემოვიდა და გაბატონდა ერთმორწმუნე რუსეთს ამოფარებული მასონური იმპერია, ათას ცხრაას ოცდაერთ წელს, იგივე მასონებმა, ისინი ნილაბჩამოხსნილი ათეისტებით ჩანაცვლეს... ქვეყანა უფსკრულის პირას იდგა...

ამ დროს, საქართველოში ხალხმა ახალი ამბავი შეიტყო. ყველგან ერთი და იგივეს ლაპარაკობდნენ: „ურეების თა-



რემს და განუკითხაობას წინ ქართველი, სტალინად წოდებული ვინმე ჯულაშვილი აღუდგაო...“.

XIX

ციხეში ამბავი მოვიდა - დახვრეტები შეწყდაო. საკანში, სადაც ბალამა იყო გამომწყვდეული, პატიმრებმა შვებით ამოისუნთქეს, ერთმანეთს ულოცავდნენ, რომ სიკვდილს გადაურჩნენ და ახლა ციხიდან გათავისუფლებაზე დაიწყეს ოცნება. ერთადერთი ბალამა იყო, რომელიც აღფრთოვანებული არ შეხვედრია ახალ ამბავს.

- რაო, ბალამ, გენყინა, დახვრეტები რომ აკრძალეს!? თუ როგორ არის შენი საქმე!? - ჰკითხა მელოტმა პეტომ ბალამას.

ნარზე წამოწოლილმა ბალამამ თავზე წამომდგარ პეტოს შეხედა, მერე წამოიწია, ნესტივით გაჟღენთილ კედელს ზურგით მიეყრდნო და თანამესაკნეს მიუგო:

- პეტო, შენ ავლაბრელი კაცი ხარ, არა?

- ჰო! მერე რა? - უპასუხა მელოტმა პეტომ, რომელსაც მელოტი ციხეში შეარქვეს, რადგან მასთან ერთად საკანში სხვა პეტოც იჯდა და რადგან ის სხვა პეტო უფრო ადრე დაიჭირეს და ჩასვეს, ამიტომ გვიან დაჭერილ პეტოს თავზე თმის უქონლობის გამო მელოტად მოიხსენიებდნენ.

- მერე, ისა რომა, - უთხრა ბალამამ, - ქალაქელი კაცი ხარ და გაგებაც მეტი უნდა გქონდეს.

- გაუგებარი რა ვთქვი, ბალამჯან, ეგეთი!? - გაუკვირდა მელოტ პეტოს.



- ბიჯოო! - წამოიძახა ბალამამ, - აქ არ იყავი, რა ხალხი აგვაცალეს გვერდიდან და დახვრიტეს!? ყველა იმას ვამბობდით, რომ ნეტა არ გაგვეცნო, რა მაგარი ბიჭები იყვნენო. ისინი დახვრიტეს და ჩვენ რას გვიზამენ!? ვის რაში ვჭირდებით, სულ იმას დაგვძახიან, დედამინას ამძიმებთო! ...

სიტყვა არ ჰქონდა ბალამას დამთავრებული, რომ საკნის კარი გაიღო და ზედამხედველის ხრინწიანი ხმა გაისმა:

- მაისურაძე, გამოდი!

საკანში მსხდომ თუ ფეხზე მდგომ პატიმრებს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ყველა ადგილზე გაშეშდა და ბალამასკენ გაიხედეს. მაისურაძე წამოიზღაზნა ნარიდან, გახელდა ზედამხედველს და გასძახა:

- ბარგით თუ უბარგოდ!

- ბარგით არა ბეზიაშენისამ, ფაეტონიც ხომ არ მოგართვა! დროზე გამოეთრიე! - იყვირა ზედამხედველმა და ხელჯოხი რკინის კარს მიართქვა. ამით სხვა პატიმრებსაც მიაწინა, რომ თავიანთ ადგილებზე დაბრუნებულიყვნენ.

ბალამა ბადრაგმა მანქანაში ჩასვა. ერთი წინ დაუჯდა, მეორე კი გვერდით. ორივემ ფეხზე შემართული მაუზერები ბალამასკენ მიმართეს და მძლოლს ანიშნეს, რომ დაეძრა მანქანა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ბალამამ უთხრა მის წინ მჯდომ და მაუზერშემართულ ბადრაგის თანამშრომელს:

- თუ ძმა ხარ, განიეთ ეს იარაღი, შემთხვევით არ გაგივარდეს, სანამ დამხვრეტენ მცირე ხნით მაინც დავტკბე სიცოცხლით.



- არ გაიქცევი!? - წამოიძახა ბადრაგის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელსაც ბალამას მარჯვენა გვერდზე ისე მიეზჯინა მაუზერის ლულა, რომ ლამის ამ უკანასკნელს ღვიძლ-ნაღველი გარეთ გადმოყოფდა.

- ხომ მიცნობთ, არა? - მიუგო ტკივილით შეწუხებულმა ბალამამ, - სად უნდა გავიქცე? ან როგორ უნდა გავიქცე? ხომ მიცნობთ ვინცა ვარ, გაქცევა რომ მდომებოდა, აქამდე გავიქცეოდი.

- კარგი. ჯანაბას შენი თავი! ველარ მოგიშორეთ რა! - მიიძახა ბადრაგის თანამშრომელმა, მაუზერი ბუდეში ჩადო, ბალამას ხალათის ბოლო გადაიხვია ხელზე და თავის მენყვილეს ანიშნა, იარაღი დაეშვა დაბლა.

ბალამა ჩეკას შენობაში მიიყვანეს და ერთადგილიან საკანში შეიყვანეს. დერეფანში კი დიდი ხმაური იყო. ვილაც კაცს მიათრევდნენ, რომელიც ხმამაღლა ყვიროდა:

- ძაღლებო!... ყაჩაღებო!... ჯიბგირთა ხროვაგ!... თქვენი სახელმწიფო რა სახელმწიფო იქნება!... თქვენთან ცხოვრება არ მინდა!... სადაც ჩემი ამხანაგები დახვრიტეთ, მეც იმათთან ერთად მომკალით!...

ბალამა საკნის იატაკზე დაეშვა, ზურგით კედელს მიეყრდნო და ხმამაღლა დაიწყო ფიქრი:

- როგორც ჩანს არ შეუწყვეტიათ დახვრეტა, ჯერ კიდევ ვერ გაძღნენ ქართველების სისხლით. ალბათ, მეც მალე გამიყვანენ... მაგრამ თუ დახვრეტა უნდოდათ, ციხიდან ვერ ნამიყვანდნენ?...

დრო კი გადიოდა... ღამემაც გადაიარა, დილამაც, მაგრამ არავინ აკითხავდა ბალამას, თითქოს დაავინყდათო...



სამი დღის შემდეგ გაიღო საკნის კარი და ვილაც ჯარისკაცის გამყინავი ხმა გაისმა:

- მაისურაძე, წამოდი!

ეს დახვრეტაზე წაყვანას არ ჰგავდა. როდესაც ზედამხედველმა მეორე სართულის კიბეებზე უბრძანა ასვლა, ბალამას გულზე მოეშვა... ალბათ, კიდევ გარკვეული დრო უბოძეს სიცოცხლისთვის...

ვილაც მაღალჩინოსნის კაბინეტთან მიიყვანა ზედამხედველმა და უთხრა:

- ეს კვანტალიანის კაბინეტია, შედი და ზედმეტი არაფერი მოიმოქმედო, თორემ ხომ იცი, რაც მოგელის!?

ბალამამ შეაღო კაბინეტის კარი. დიდი და სუფთად მოვლილი ოთახი იყო. შუაში დიდი მაგიდა იდგა და საქალაქელებით და ფურცლებით იყო სავსე. ოთახის კუთხეში ვილაც ასაკოვანი მამაკაცი იჯდა მაგიდასთან და ქალაქლებს ჩაჰკირკიტებდა. ფანჯარასთან საშუალო ტანის, შუახნის მამაკაცი იდგა და გარეთ იყურებოდა ისე, რომ ბალამას კაბინეტში შემოსვლა არც ერთს არ შეუმჩნევია. უხერხულობის გასაფანტად ბალამამ მორიდებით წარმოთქვა:

- შეიძლება?

ფანჯარასთან მდგომი მამაკაცი შემობრუნდა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, რომ მზერით ფოლადს გაღუნავდა. ბალამამ თვალები მოარიდა და თავი დახარა. ალბათ ეს იყო ჩეკას მაღალჩინოსანი, რომელსაც ზედამხედველი კვანტალიანად მოიხსენიებდა. იგი მიუახლოვდა ბალამას, აათვალიერ-ჩაათვალიერა და სიცივით გაჟღენთილი ხმით ჰკითხა:



- სადაური ხარ, ბიჭო!

- პატარძელიდანა ვარ, უფროსო. - უპასუხა ბალამამ ისე, რომ თავი მაღლა არ აუნწევია. არ უნდოდა შეეხედა თვალებში, რადგან კვანტალიანის პირველივე გამოხედვაში მის თვალებში ეშმაკი დაინახა და აღარ სურდა ეს განმეორებულიყო.

კვანტალიანი ახლოს მივიდა ბალამასთან და თითქმის ყურში ჩასძახა:

- თავი ასწიე მაღლა!

ბალამამ თავი მაღლა ასწია და კვანტალიანის მრისხანე თვალებს წაანყდა, რომელიც არ მოძრაობდა, სახის ყველა ნაკვთი გაყინული ჰქონდა, გარდა პირისა, საიდანაც მეჩხერი კბილები მოუჩანდა, რომელთაგან მხოლოდ სისინი ისმოდა. ახლა კი ეს სისინი უფრო გაძლიერდა:

- შენა ხარ, ჩვენს წინააღმდეგ რომ მუშაობ?

- რას ამბობ, უფროსო, - უპასუხა ბალამამ, - მე ვენახში მუშაობის მეტი არა ვიცი რა და ეს თქვენი სანინააღმდეგო როგორ იქნება?

- მე პოლიტიკურ მუშაობაზე გეკითხები! - მოუმატა სისინს კვანტალიანმა, - პოლიტიკურ მუშაობაზე, გაიგე, რეგვენო!?

- რას ბრძანებ, უფროსო, - მთლად მოისანყლა თავი ბალამამ, - როგორ ვიმუშავებდი ეგეთ საქმეზე, პოლიტიკის არა მესმის რა. დღესაც ვერ გამიგია, რატომ დამიჭირეს. ალბათ ვილაცას თვალში არ მოუყვები და...

კვანტალიანს გაეცინა. მიხვდა, როგორ კერკეტ კაკალთანაც ჰქონდა საქმე. უცებ ისევ სერიოზული გამომეტყველება მიიღო და იყვირა:



- ვის რაში სჭირდება, შე მათხოვარო! ჩვენ ვიცით, ვინც უნდა დავიჭიროთ! საბჭოთა ხელისუფლება ზედმეტ ტყვეობს არ დახარჯავს შენისთანა ვიგინდარებზე!

კვანტალიანი უცებ შეტრიალდა და კაბინეტის შუაში მდგარ მაგიდისკენ წავიდა. რომელიღაც საქალაქე მოძებნა, გადაშალა და განაგრძო ხმამაღლა საუბარი:

- ჩვენ თქვენი რაიონიდან გვაქვს ცნობა, სადაც შავით თეთრზე სწერია, რომ შენ გაქვს კავშირი საზღვარგარეთ გაქცეულ სამშობლოს მოლაღატებთან, რომლებიც დღესაც საქართველოს მთავრობად მოიხსენიებს თავს. თბილისის არალეგალურ კონტრევოლუციურ კომიტეტთან ერთად იღებდი მათგან გამოგზავნილ ანტისაბჭოთა ლიტერატურას და პროკლამაციებით ავრცელებდი რაიონში. ამასთან, ბრალად გედება ყაჩაღ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მიერ მოწყობილი აჯანყების ხელის შეწყობა, იმათი მომარაგება სურსათ-სანოვაგით და იარაღით. გქონია იარაღის სანყოფი და ხალხსაც ურიგებდი, რათა ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს სერიოზული ბრალდებაა და იცი, რა სასჯელიც გეკუთვნის!

ბალამა მიხვდა, რომ მისი საქმე კარგად ჰქონდათ შესწავლილი. ამის აღიარებას დახვრეტა რომ მოჰყვებოდა, ესეც კარგად იცოდა, ამიტომ, როგორც ციხეში იტყვიან ხოლმე: „უნდა მისწოლოდა პირველ ჩვენებას“. თუ გაუმართლებდა ხომ კარგი და თუ არა - ტყვია მაინც არ ასცდებოდა. ყველაფრის უარყოფისთვის კი აუცილებელი იყო შეენარჩუნებინა სიმშვიდე და ზედმეტი არაფერი წამოსცდე-



ნოდა. ასეც მოიქცა. კვანტალიანს თვალი თვალში გაუყარა და ყოველგვარი აღელვების გარეშე მიუგო:

- აკი გითხარით, უფროსო, რომა ეს საქმე ვილაცის კერძო ინტერესებში შედის და სურს ჩემი განადგურება. აბა, შემომხედეთ, მე რისი გამკეთებელი ვიყავი? რაც თქვენ ჩამოთვალეთ ამას მთელი სახელმწიფო ვერ შეძლებდა და მე როგორ გავაკეთებდი?

უცებ კაბინეტის კუთხეში მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია, ადგა და უთხრა კვანტალიანს:

- ეგ ბიჭი ისე გპასუხობს, რომ უეჭველად მართალი უნდა იყოს, არ ღირს მაგის გაფუჭება.

- აბა, გადახედე საქმეებს, - მიუგო კვანტალიანმა, - არაფერი არ გამოგვრჩეს.

რამდენიმე საქალაღდე გამოიღეს კარადიდან და დიდხანს კითხულობდნენ ორივენი. მერე ფანჯარასთან მივიდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. დრო ვის სასარგებლოდ მუშაობდა, ეს ბალამამ არ იცოდა, თუმცა დიდხანს კი მოუწია თავჩაღუნული ლოდინი. ბოლოს შემოესმა კვანტალიანის ხმა:

- როგორც ჩანს ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული. შენი ყველა ბრალმდებელი ცოცხალი აღარ არის და ვერ დაგიპირისპირებთ. ყაჩაღი ქაიხოსრო და მისი ბანდის წევრები გაიქცნენ ქვეყნიდან. ვილაც-ვილაცები კიდევ უნდა დავკითხოთ, ვფიქრობთ, რომ ფაქტები დადასტურდება და, სავარაუდოდ, სამ დღეში დაგხვრეტთ! ...



ბალამა მიხვდა, რომ მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში მონმეები არ ჰყავდათ, რათა მომხდარიყო დაპირისპირება. ჩეკამ ამ შემთხვევაში ნაცად მეთოდს მიმართა. დახვრეტის მუქარით სურდათ ბალამასგან ინფორმაციის ამოღება.

ძველებს უთქვამთ: „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო!“.

XX

სტალინის დამოუკიდებელ მოქმედებას, განსაკუთრებით ეკლესიების ნგრევისა და მისი საგანძურის დატაცების შეჩერების საკითხში, რევოლუციურ წრეებში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ევროპიდან მასონების მიერ გამოგზავნილი არამზადები, რომლებიც თავს ხალხის კეთილმოსურნეებად და მხსნელებად ასალებდნენ, სულაც არ იყვნენ ასეთები, პირიქით, რაც მეფის რუსეთს მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა დააკლო, მათ „აღუსრულეს“. ლენინის სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლების სადავეების ხელში აღება გადაწყვიტა ტროცკიმ, რომელიც გახლდათ მომხრე ქვეყანაში განხორციელებული ტერორისა. მისი და მისი თანამებრძოლების მიზანი უკვე ყველასთვის ცნობილი იყო - ქვეყნის ძარცვა და მოსახლეობის განადგურება ნებისმიერი მეთოდით. მან ხალხის თვალის ასახვევად ბროშურაც კი გამოაქვეყნა სათაურით „ოქტომბრის გაკვეთილები“. ამდაგვარი პუბლიკაციებით ტროცკისტებს სურდათ, ხალხის გონებაში ღრმად ჩაებეჭდათ, რომ ლენინის



მიერ ორგანიზებული ოქტომბრის რევოლუცია მუშების და გლეხების ხსნისათვის მოხდა. მათ სცადეს თეორიულად შეეფასებინათ, ეგრეთ წოდებული, ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილება. ტროცკიმ სრულიად გასაგები მიზეზებით, ჩრდილი მიაყენა თავის მთავარ პოლიტიკურ ოპონენტებს, მათ შორის იოსებ სტალინსაც. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ამ უკანასკნელთან დაპირისპირება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, რადგან სტალინმა კარგად იცოდა ვინ იყვნენ ბოლშევიკები, რომელთა პარტიაშიც შელწევა მას ზოგჯერ ღმერთის მცნებების დარღვევის ფასადაც უჯდებოდა, რაც პარტიისათვის ფულადი სახსრების მოპოვების მიზნით, ხშირ შემთხვევაში სისხლიანი მკვლელობებით და ადამიანთა წამებით მთავრდებოდა. სტალინმა კარგად იცოდა, რომ არ არსებობდა, ეგრეთ წოდებული და ყბადაღებული ოქტომბრის რევოლუცია. არ მომხდარა არავითარი ზამთრის სასახლის აღება. ვითომ რევოლუციონერები, სინამდვილეში მასონების მიერ კარგად ორგანიზებული სამშობლოს მოღალატეების ხროვა, როდესაც შევიდნენ ზამთრის სასახლეში, ამ დროს დროებითი მთავრობის მეთაური, კერენსკი სასახლის უკანა კარიდან გავიდა და მშვიდობიანად დატოვა რუსეთი. ეს იყო მასონების მიერ კარგად შემუშავებული გეგმა, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომიდან დაიწყო, რომლის ძირითადი დამფინანსებელიც გახლდათ მასონების მიერ შექმნილი ფიგურა, ლენინის თანამებრძოლი პარვუსი, იგივე ალექსანდრე მოსკვიჩი, ნამდვილი გვარ-სახელით ალექსანდრე ლაზარეს



ძე გელფონდი. მისი თიკუნები იყო: „რევოლუციის გერმანული ოქროს გასაღები“ და „რევოლუციის ვაჭარი“. ის გახლდათ სამშობლოს მოღალატე, რომელმაც იაპონიისგან მიიღო ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი, რომელიც მოხმარდა ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციას. მოაწყო აჯანყება სამხედრო ხომალდებზე - „პოტიომკინსა“ და „ოჩაკოვოზე“, ორგანიზება გაუკეთა სამხედრო იარაღის მწარმოებელ ობუხოვოს ქარხნის გაფიცვას და დიდი ხნით მწყობრიდან გამოიყვანა 1,4 დიუმიანი იარაღის წარმოება, რომლითაც უნდა აღეჭურვათ რუსეთის სახაზო კრეისერები, მისი ორგანიზებული იყო ათას ცხრაას ხუთი წლის ცხრა იანვრის მსვლელობა და ჯარისკაცების მიერ ზამთრის სასახლიდან მათთვის ცეცხლის დაშენა, რასაც მოჰყვა სისხლიანი კვირა.

სტალინმა კარგად იცოდა, რომ ლენინის მემკვიდრეების, ტროცკისტების მიერ ქალაქებში ინერებოდა რევოლუციის თეორიული ისტორია, რომელსაც რეალურად მომხდარ მოვლენებთან არავითარი კავშირი და ელემენტარული მსგავსებაც კი არ ჰქონდა. არ ყოფილა არავითარი წინასწარ შეთანხმებული, ვითომ რევოლუციის დანებებისთვის გათვლილი, კრეისერ „ავრორას“ გასროლა. ეს ხომალდი ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირი მეზღვაურებით იყო სავსე, რომლებიც დღე და ღამე გართობით და ლოთობით იყვნენ დაკავებულნი და ბოლოს გაღეშებულნი მეზღვაურებმა, საკუთარი ვნებების დაკმაყოფილებისათვის, ხომალდზე არსებული საბრძოლო ზარბაზნიდან გაისროლეს.



არ ყოფილა არავითარი სმოლნის რევოლუციური შტაბი. გერმანიიდან გამოგზავნილი და დაფინანსებული სამშობლოს მოლაღატეები სპეციალური ვაგონით მშვიდობიანად ჩავიდნენ პოლიტიკურად დაცარიელებულ პეტერბურგში და სათავეში ჩაუდგნენ სახელმწიფოს. ლენინს არ გააჩნდა სახელმწიფო მართვის არავითარი გამოცდილება. ვინაიდან იგი მოულოდნელად აღმოჩნდა უდიდესი სახელმწიფოს სათავეში, დაიბნა, მით უმეტეს მან ვერ მიიღო გლეხობის, ინტელიგენციის, მასების და სპეციალისტების მხარდაჭერა. ის გაჟღენთილი იყო კლასობრივი სიძულვილით, რასაც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ქადაგებდა. ხოლო როგორც კი მოირგო ქვეყნის პირველი პირის სავარძელი, მაშინვე ბრძოლა გამოუცხადა, ეგრეთ ნოდებულ, კლასობრივ მტრებს. ყველა ეს მომხდარი მოვლენები ტროცკიმ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნისთვის განხორციელებულ რევოლუციის გეგმად მონათლა და ამ დიდი ტყუილის ტირაჟირება დაიწყო ფართო მასებში. ტროცკის ამ გამოსვლამ დასაბამი მისცა ხანგრძლივ პარტიულ ბრძოლას, რომელშიც ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ქვეყნის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც.

სტალინი ხვდებოდა, რომ სახალხო ლენინის იდეების უარყოფა მას შედეგს არ მოუტანდა, რადგან ის ამით ოპონენტების წისქვილზე დაასხამდა წყალს. ამიტომ ტყუილს ტყუილით უპასუხა და ოპოზიციის პოლიტიკურ მცდელობას თავისი - „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების“ იდეა დაუპირისპირა. მან დანერა ნაშრომი - „ლენინიზმის



საკითხები“, რომელშიც თეორიულად გაიაზრა ლენინის „უზარმაზარი“ თეორიული მემკვიდრეობა და ის საკუთარი კონცეფციის იდეურ საყრდენად გამოიყენა. მის გარშემო დაირაზმნენ რუსი და ქართველი ეროვნების ის პარტიული ლიდერები, რომლებიც აშკარად დაუპირისპირდნენ ოპოზიციას. ქართველებმა აქაც უღალატეს ქართველს და პარტიულმა უმრავლესობამ ანტისტალინური პოზიცია დაიკავა. მაგრამ სტალინურ დაჯგუფებას, რომელსაც ბოლშევიკური პარტიის აპარატის ძირითადი ნაწილი უჭერდა მხარს, როგორც ცენტრში, ასევე ადგილებზე, შესწევდა ძალა აელაგმა ოპოზიციონერთა ფრაქციული საქმიანობა. მათ მხარეზე იყო ბოლშევიკური სახელმწიფოს დამსჯელი ორგანიზაციები - სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უზარმაზარი აპარატი, დასმენისა და სახელის გატეხვის დახვეწილი სისტემა და მეათე ყრილობის მკაცრი დადგენილება პარტიაში ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის დაუშვებლობისა და ფრაქციონერთა პარტიიდან დაუყონებლივ გარიცხვის აუცილებლობის შესახებ.

მიუხედავად სტალინელების უპირატესობისა, ძირითადი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო.



XXI

კვანტალიანის კაბინეტიდან გამოსულ ბალამას დერეფანში ისევ ის ზედამხედველი დახვდა, რომელმაც მოიყვანა ციხიდან, ხელზე ბორკილები დაადო და გაუყენა სატუსაღოს გზას. ცნობისმოყვარეობამ თავისი გაიტანა და ზედამხედველმა ჰკითხა მაისურაძეს:

- რაო, რა გითხრეს? ამდენი ხანი ამათ პატიმარი თავის კაბინეტებში არასდროს გაუჩერებიათ?

ბალამამ მხრები აიჩეჩა და გაიფიქრა: „აუხსენი ახლა ამ ტვინგაყინულს, რაც იქ მოხდა. რომ ვუთხრა დახვრეტას დამპირდნენ-მეთქი, ქვეყანას შემეყრის...“. ზედამხედველმა კითხვაზე პასუხი რომ ვერ მოისმინა, აღარც ჩაეძია. ან რაში აინტერესებდა, ვილაც ბალამას რას უზამდნენ. ისიც, ბევრი სხვა პატიმრების მსგავსად, ხვალ შეიძლება სადღაც ორთაჭალის ან ვაკის მინდვრებზე გათხრილი ორმოს მუდმივი „სტუმარი“ გამხდარიყო.

დაპირებული სამი დღეც გავიდა, მაგრამ ბალამა არავის გახსენებია. სამაგიეროდ თვითონ ახსოვდა ამ სამი დღის განმავლობაში განვლილი დროის თითოეული წამი... წამი, რომელიც მისი წუთისოფელთან დამშვიდობების ზარს ჩამორეკდა და გადაიყვანდა სხვა სამყაროში, რომლის არსებობაშიც ზოგჯერ დარწმუნებული იყო, ზოგჯერ კი - არა...

მეექვსე დღეს გაიღო საკნის კარი და ზედამხედველის გამყინავი ხმა გაისმა:

- მაისურაძე, ბარგით!



ბალამამ მაშინვე სარკმლისკენ გაიხედა, საიდანაც ცის მცირე ნაწილს ხედავდნენ პატიმრები. რიჟრაჟი უკვე გადადიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დილის დახვრეტის საათები დამთავრებული იყო. ცოტა გულზე მოეშვა ბალამას და ჰკითხა ზედამხედველს, მიუხედავად იმისა იცოდა, რომ მისგან პასუხს არ მიიღებდა:

- სად მივყავარ?

- არ არის ეგ შენი საქმე! - უყვირა ზედამხედველმა, - იარე!

ბალამა კომენდატურაში მიიყვანეს. ზედამხედველმა სკამისკენ მიუთითა ბალამას და უთხრა:

- დაჯექი აქ და დამელოდე! მე მალე დავბრუნდები.

ბალამამ მიმოიხედა, მარტო იყო ოთახში, კომენდატურის კარიც ღია იყო. გაუელვა გონებაში: „გავიქცე?... ვაი თუ ფინთად დამთავრდეს?...“.

ამასობაში ზედამხედველიც დაბრუნდა, თან ერთი პატიმარი მოიყვანა და თვალით ანიშნა ბალამას, გაჰყოლოდა. ვინრო გასასვლელით ეზოში გავიდნენ, სადაც მწყობრში ასი პატიმარი მანინც იდგა. ბალამაც მწყობრში ჩააყენეს და მალევე გზას გაუყენეს. უცებ, ზურგს უკან ნაცნობი ხმა მოესმა:

- მაისურაძე ხარ, ბიჭო!?

ბალამამ მიიხედა და თავისი ახალგაზრდობის მეგობარი, ვასო თაყაიშვილი დაინახა. გაუხარდა, გაუღიმა და მაშინვე კითხვით უპასუხა:

- ხომ არ იცი სად მივყავართ, ვასო?

- თეატრში, ბალამ!... თეატრში!... ჩვენთვის ლოჟაში ადგილები დაუბრონიათ! - მიუგო ვასომ და ხმამაღლა გაიცინა.



დადარდიანებულ პატიმრებს მეტი რა უნდოდათ, და-
ინყეს იმათაც ხარხარი:

- თეატრში მივდივართ!... თეატრში... ბალამას ლოყის
ბილეთები აუღია...

პატიმრები მეიდნის გავლით, მეტეხის ციხეში აიყვანეს.
როგორც კი გაიღო ციხის ეზოს ჭიმკარი, პატიმრებმა შუა
ეზოში მაუზერჩამოკიდებული ციხის უფროსი ხატიაშვილი
დაინახეს, რომელიც თითოეულ შესულ პატიმარს აკვირდე-
ბოდა. როგორც კი მწყობრად დადგნენ ტუსაღები ხატიაშ-
ვილმა იყვირა:

- მაისურაძე, გამოდი!

ბალამას გონებაში აზრები აერია: „ამ ას კაცში მაინცდა-
მაინც მე რატომ ამირჩია ამ შეჩვენებულმა!?“. ზანტად გა-
ვიდა წინ და დაელოდა განაჩენს. ხატიაშვილმა ზედამხედ-
ველი იხმო და უბრძანა:

- კარგად გაჩხრიკე და პოლიტიკური კორპუსის აკა-
ლოტკაში წაიყვანე, დანარჩენს იქ მიხედავენ.

მწყობრში მდგომ პატიმრებს შორის ჩოჩქოლი შეიქმნა.
ყველა ბალამას შესცქეროდა, თან ეს უბრალო გამოსხედა
არ იყო. უფრო მეტს ნიშნავდა.

ბალამა პოლიტიკური პატიმარი გახდა.

საკანში ბალამას, როგორც პოლიტიკურ პატიმარს, უფ-
რო მორიდებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ბალამა
კი ისევ იმ ბალამად რჩებოდა, რაც ადრე იყო. პოლიტიკუ-
რი პატიმრის სტატუსი მაინც და მაინც მისაღები არ იყო
იმ დროს. ისინი სახელმწიფოს თვალში მუდმივ ეჭვმიტა-



ნილებად ითვლებოდნენ. საკმარისი იყო მათ გარშემო რაიმე ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა მომხდარიყო, რომ პოლიტპატიმარყოფილს ჩეკას თანამშრომლები მაშინვე სახლში ადგებოდნენ და მიჰყავდათ დასაკითხად. ბალამას საფიქრალიც ეს იყო. საკანში ფიქრის დრო თავზესაყრელი ჰქონდა - „სვაბოდაზე გასვლა კარგია, - ფიქრობდა ბალამა, - მაგრამ ოჯახს ვერ შექმნის კაცი. ან კიდევ ქალს ვინ გამოგაყოლებს ცოლად? ვინ გააუბედურებს თავის შვილს, როდესაც იცის, ვინც არის მისი სიძე, რომელიც შეუძლია მთავრობას ნებისმიერ დროს დაიჭიროს და სად წაიყვანს, კაცმა არ იცის. მონასტერშიც ველარ წახვალ, ყველაფერი დანგრეული და გაძარცვულია. ბოლოს, იძულებული გახდები ჩვეულ საქმეს მოჰკიდო ხელი, შენი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის დაიწყებ ბრძოლას და ისევ აქ მოგიყვანენ. ასე რომ, ჩემი საშველი არ არის...“.

...დრო კი მიდიოდა...საკენებიდან პატიმართა დასახვრეტად გაყვანა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თითქოს ყველა შეეგუა იმას, რომ დღეს ან ხვალ ისინიც მათი წინამორბედების ხვედრს გაიზიარებდნენ...

XXII

ათას ცხრაას ოცდახუთი წლის ზამთარში ბალამა ციხიდან გაანთავისუფლეს. გარეთ გამოსული, ცხოვრებაარეული ახალგაზრდა კაცი იდგა მტკვრის პირას და არ იცოდა სა-



ით წასულიყო. სოფელში დაბრუნება აღარ უნდოდა. სურდა დაეწყო ახალი ცხოვრება, მაგრამ სად, როგორ, ეს ყველაფერი მტკვარზე ჩამონოლილი ნისლივით ბუნდოვანი იყო.

რამდენიმედღიანი ხეტიალის შემდეგ, ერკოპის რძის ქარხანაში დაიწყო სამსახური მუშად. შავი მუშის ადგილიც დაამადლეს. თითქმის ყოველდღე აფრთხილებდა უფროსი: „აქაც არ დაიწყო მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა, თორემ საიდანაც გამოგიშვეს ისევ იქ დაგაბრუნებთო!“. მალევე აუხდა მუქარა. ერთ დღილით სამსახურში მისულს, ქარხნის უფროსის კაბინეტში საგარეჯოს ჩეკას უფროსი ლომიძე და გამომძიებელი ხოჯევანოვი დახვდნენ. მისვლისთანავე დაადეს ხელებზე ბორკილები, ისე რომ არაფერი უკითხავთ. მერე უფროსს ხელი ჩამოართვეს, მადლობა გადაუხადეს დახმარებისათვის, საქონელივით წინ გაიგდეს ბალამა და მიაძახეს:

- შენთან სახლში წაგვიყვანე, ჩხრეკა უნდა ჩავატაროთ!

- საჩხრეკი იქ რა არის? - უთხრა ბალამამ, ისე, რომ უკან არც მოუხედავს, - სანოლიც კი არ მიდგას შიგ.

- შენი ტყუილები უკვე ყელში გვაქვს ამოსული! - იგესლებოდა ლომიძე, - სად ინახავ არალეგალურ ლიტერატურას, უნდა ვნახოთ!

ბალამა ერთ-ერთ თბილისურ ეზოში, მიტოვებულ სახლში იყო შეხიზნული. სახლს შესასვლელი კარიც არ ჰქონდა, ვილაცას ჩარჩოიანად ამოეგლიჯა და წაეღო. ბალამა ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. როგორც კი ჩეკისტებს თავის საცხოვრებელი ადგილი მიუთითა, ისინი მაშინვე შევარდნენ



შიგნით, მაგრამ ნირნამხდალები გაჩერდნენ. ოთახში ერთი დანგრეული სკამი იდგა, კუთხეში, იატაკზე ერთმანეთზე მიდებული ორი ფიცარი ეგდო და ზედ ძველი შინელი იყო გაშლილი, ხოლო ბალიშის მაგივრად კი ორი დიდი წიგნი იდო კედელთან. სკამზე ბოთლით წყალი იდგა და შავი პურის ნატები ეგდო გვერდზე. ხოჯევანოვმა შინელს სტაცა ხელი და ჯიბეები ამოატრიალა. ლომიძე კი წიგნებს დააცხრა და ხელში რაღაც ძველი საკანცელარიო ჩანაწერები შეერჩა. გამწარებულია წიგნები კედელს მიანარცხა და იყვირა:

- მართლა მათხოვარი ხარ იმ შენი ქაქუცასავით! შენი დედაც!...

- დედაჩემს თავი დაანებე, შე მართლა ძაღლო! ნუ იყეფები, თორემ განანებ, იცოდე!

- ვის ანანებ! - იყვირა ლომიძემ და გაინია ბალამასკენ მუშტის დასარტყმელად. ამ დროს ხოჯევანოვი გადაეღობა წინ და სთხოვა:

- არ დაარტყა, ამხანაგო უფროსო! თორემ ვიცი გათიშავ და მერე ჩემი სათრევი უნდა გახდეს! დაწყნარდი რა, ცავატანემ!

ლომიძემ ხელები ჩამოუშვა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, მერე ფარაჯის სახელო გაისწორა, ჩამტვრეული ფანჯრის რაფაზე დადებული საქაღალდე აიღო და ოთახიდან გავიდა. ხოჯევანოვი კი შეტრიალდა ბალამასკენ, ხელები გაშალა და წამოიძახა:

- ვააჰ! როდემდე უნდა ვაშველო ეს ქართველები, ასტვაცი აღარა გწამთ!?



ბალამა, ლომიძემ და ხოჯევანოვმა, თბილისის ჩეკაში მიიყვანეს და დატოვეს. საერთო საკანში მოათავსეს მაისურაძე. ბევრმა პატიმარმა იცნო და ადგილიც დაუთმეს. მერე პატიმართა ჯგუფს ერთი ახალგაზრდა კაცი გამოეყო, მივიდა ბალამასთან, ხელი გაუწოდა და უთხრა:

- ბატონო იოსებ, თქვენზე ბევრი მსმენია და მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა გაცნობოდით. მე დამფუძნებელი კრების წევრი ტიგრან ავეტისიანი ვარ!

ბალამამ ახედ-დახედა ახლადგაცნობილ სომეხს, ხელი ჩამოართვა, მაგრამ არაფერი უთქვამს. უკვე შეჩვეული იყო, რომ მას საკანში აგენტებს ახვედრებდნენ. ამ შემთხვევაშიც არაფერი იყო გამორიცხული, ამიტომაც ბალამამ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი და პატიმრებს ხალხის დახვერეთის თაობაზე ჩამოუგდო სიტყვა. იმათგან შეიტყო, რომ კახეთში კიდევ დაეხვრიტათ ხალხი. ამის გამო ჩეკას ცენტრი სართიჭალიდან საგარეჯოში გადაუტანიათ და რაიონის ცენტრიც ყოფილი სოფელი თვალნი გამხდარა, ამჯერად უკვე საგარეჯოდ წოდებული. აქ კვლავ დაუნყიათ არალეგალური პოლიტიკური მოძრაობა და ჩეკაში უთქვამთ: „ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი სვაბოდაზე გამოსული მაისურაძე იქნებოდაო!“ და ამიტომაც შეაბრუნეს ბალამა ციხეში. ხოლო მომავალში რას უპირებდნენ, ეს არავინ იცოდა.

მეორე დღეს, სალამოს, ლომიძე და ხოჯევანოვი მივიდნენ ბალამას წასაყვანად. დღის ამ პერიოდს პატიმრები „დახვერეთების დროს“ ეძახდნენ. არავინ იცოდა, ვის გვარს დაიყვირებდა საკანში შემოსული ზედამხედველი, ამიტომ



ფიქრებში ჩაძირული ყველა პატიმარი თავის თავში „იკეტე-ბოდა“ და ემშვიდობებოდა, როგორც საკუთარ თავს, ასევე ახლობლებს. ახლაც გაისმა ზედამხედველის გამყინავი ხმა:

- მაისურაძე!

ყველა პატიმარმა შვებით ამოისუნთქა და უმაღლ დაიწყეს ერთმანეთში ჩურჩული

- დასახვრეტად მიყავთ!... სანყალი!... ჯერ ახალგაზრდაა, ცხოვრებაც კი არ უნახავს ნორმალურად... აფსუსს, რა ვაჟკაცი იყო...

ათასნაირ საკნებში ნაჯდომმა და გამოცდილმა ბალამამ ყური მოკრა პატიმართა მიერ ჩურჩულით წარმოთქმულ სიტყვებს, გაელიმა, წელში გასწორდა, ხელი აუწია ბიჭებს და ომახიანად გასძახა:

- ჯერ არ დამხვრეტენ! დასაკითხი ვარ! ასე რომ, ნაადრევად ნუ გამომიგლოვებთ!

ბალამას სამორიგეოში ლომიძე და ხოჯევანოვი ელოდნენ, ბორკილები დაადეს და კახეთის მატარებლით საგარეჯოში წაიყვანეს. მთელი გზა კოკისპირულად წვიმდა, საგარეჯოს სადგურში რომ ჩავიდნენ, ყინულივით ცივი წვიმა მოდიოდა. ბალამას მხოლოდ პერანგი ეცვა ტანზე და ისე დასველდა, რომ სიცივისაგან კანკალი დაიწყო და ცუდად გახდა. ჩეკაში კი მიიყვანეს, მაგრამ მისი დაკითხვა, ავადმყოფობის გამო, ვერ მოახერხეს. მეორე დღეს, გამომძიებელ ჯამის კაბინეტში შეიყვანეს დაკითხვაზე. გამომძიებელმა პირდაპირ მოსთხოვა, რომ ელიარებინა დანაშაული.

- რა დანაშაული უნდა ვაღიარო? - იკითხა გაცეცხულმა ბალამამ.



- რა და, ის, რომ შენ შენს თანამოაზრეებთან ერთად ნა-
მოიწყე არალეგალური პოლიტიკური მოძრაობა ხელისუფ-
ლების დასამხობად! - უპასუხა ჯაშმა და თან დააყოლა,
- აღიარების შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება, გაით-
ვალისწინოს ეს ყველაფერი და დახვრეტა არ მოგიხაჯონ!

- ტაში პარი! - შესძახა სულ ახლახანს შესაძლო დახვრე-
ტას გადარჩენილმა ბალამამ, - რა, ყველაფერს ეგრე ადვი-
ლადა სწყვეტთ! რა არალეგალური პოლიტიკური ორგანი-
ზაცია? რის არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაცია?
როგორ ადვილადა სჭრით და კერავთ. რაც ციხიდან გამოვე-
დი ზაოტ-კრაოტის მეტი არა გამიკეთებია, ან კრაოტი სადა
მქონდა, ფიცრებზე მეძინა და სიზმარშიც რძესა ვხედამდი...

- მაისურაძე! - იყვირა გამომძიებელმა, - მასხრად შენი
თავი აიგდე. საბჭოთა ხელისუფლების დაცინვა და დატე-
რორების მცდელობა შენ კარგს არაფერს მოგიტანს! გეუბ-
ნები, აღიარე-მეთქი, თორემ ციმბირი უკან დაგრჩება!

- შენა კარგი ოპერატორი ვერა ჰყოფილხარ!? - მიაძახა
ბალამამ ჯაშს და თვალი თვალში გაუყარა.

- ჯერ ერთი, მე ოპერატიული მუშაკი არა ვარ და გამომ-
ძიებელი ვარ, - იყვირა ჯაშმა, - მეორეც, აბა, მიბრძანე, რა-
ტომ არა ვარ და ვინა ვარ!?

- ვინა ხარ და ჯალათი და კაცის მკვლელი! - ხმას აუწია
ბალამამ, - ტყუილად მაბრალე რალაც-რალაცებს! ...

ჯაში გამწარებული წამოხტა სკამიდან და რევოლვერზე
იტაცა ხელი. ბალამაც წამოდგა და სკამი მოიმარჯვა თავის
დასაცავად. ხმაურზე გვერდით მდებარე კაბინეტიდან ხოჯე-



ვანოვი გამოვარდა და ბალამას მაუზერი დაადო გულზე. ამ უკანასკნელმა ხელი აჰკრა მაუზერს და უყვირა ხოჯევანოვს:

- ჩემს სამშობლოში შენ მასამართლებ, შე ხაჩეცარო - ვირიშვილო!

ხოჯევანოვი ამ სიტყვებმა შეაცბუნა და აშკარად ნაწყენ-მა მიაძახა ბალამას:

- მე ვარ ხაჩეცარო!? შენზე კარგი ქართული ვიცი!... შენი დამპალი დედაც...

დედის ხსენებაზე ბალამა სულ გადაირია, ჯაშს რევოლვერის ყუა რომ არ ჩაერტყა თავში და არ გაეთიშა გადარეული ბალამა, იქ რა ამბავი დატრიალდებოდა მხოლოდ ღმერთმა თუ იცოდა.

XXIII

მოსკოვში მდგომარეობა უფრო და უფრო იძაბებოდა. ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებულ პლენუმზე ტროცკისტულ-ზინოვიევეურ ოპოზიციას სერიოზული დარტყმა მიაყენეს. პლენუმზე და შემდეგაც ოპოზიციის იდეური განადგურების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ქართველმა პარტიულმა ლიდერებმაც - სერგო ორჯონიკიძემ, ვანო და გიორგი სტურუებმა, მიხეილ კახიანმა, მამია ორახელაშვილმა, ლევან ლოღობერიძემ, ფილიპე მახარაძემ, სამსონ მამულიამ და სხვებმა.

ტროცკისტებმა კი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ნარუდგინეს ოთხმოცდასამი ოპოზიციონერის მიერ ხელ-



მონერილი პლატფორმა. მას ქართველი ოპოზიციონერი - სერგო ქავთარაძეც აწერდა ხელს. ოპოზიციონერებმა გააძლიერეს მუშაობა, ახერხებდნენ საკუთარი ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებას, როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასებში. აქტიურობდნენ ტროცკის ქართველი მომხრეებიც.

გააფთრებული პოლიტიკური ბრძოლის შედეგად სტალინურმა ფრაქციამ მოახერხა მემარცხენე ტროცკისტულ-ზინოვიევიური მიმდინარეობის იდეურად განადგურება და ბრძოლა გამოუცხადა ბუხარინის მემარჯვენე დაჯგუფებას.

ამ უკომპრომისო პოლიტიკურმა ბრძოლამ ქვეყანა მიიყვანა უკიდურეს გაჭირვებამდე. შიმშილი ანადგურებდა ხალხს. ამას დაემატა ისიც, რომ დასავლეთ ევროპაში გაძლიერდა რევანშისტული და ფაშისტური იდეოლოგია. ასეთ საერთაშორისო ვითარებაში სტალინურმა ფრაქციამ გადაწყვიტა სოფლის მეურნეობაში რევოლუციური პროცესები შეეცვალა აქტიური კომუნისტური ზენოლის პოლიტიკით, რომლის მიზანი იქნებოდა სოფლად კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია და ისეთი პოლიტიკის დამკვიდრება, რაც სახელმწიფოს ხელში აგრარული პროდუქციის უზარმაზარ მასას მოუყრიდა თავს, რომლის ერთადერთი განმკარგველი ტოტალიტარული სახელმწიფო იქნებოდა. ასეთი სისტემის დამკვიდრების მთავარ ფორმად სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩაითვალა. მას კოლექტიური მეურნეობა ეწოდა. აგრარული პროდუქციის უზარმაზარი მასა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ბაზარზე მანიპული-



რების საშუალებას მისცემდა, შეეძლო ერთპიროვნულად გაეტანა პური, მის სანაცვლოდ კი შემოეტანა მანქანები და მონყობილობები, რომელიც განავითარებდა ინდუსტრიას.

პოლიტიკური ბრძოლისა და კულაკური მეურნეობის ლიკვიდაციამ ქვეყნის ფართო მასების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ყველა მოწინააღმდეგის დახვრეტა მართლაც შეუძლებელი გახდა, ამიტომ ჯერ კიდევ ლენინის მიერ დაარსებული საკონცენტრაციო ბანაკების შევსება ხდებოდა ახალ-ახალი პატიმრებით, რომელთა მონური შრომის ხარჯზე სახელმწიფო კიდევ დამატებით შემოსავალს იღებდა. ხალხის გადასახლებებმა ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში მასიური ხასიათი მიიღო. ამ გულაგების მართვა სახელმწიფოს უჭირდა, ამიტომ ჩეკას კაბინეტებში დამუშავდა ახალი სქემა ამ პრობლემის გადასაჭრელად და შეიქმნა კანონიერი ქურდის ინსტიტუტი. სისტემამ გაამართლა და არა თუ გააადვილა გულაგების მართვა, არამედ იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აქცია. კანონიერი ქურდებისა და გულაგების ადმინისტრაციის ერთობლივი მუშაობის შედეგად საბჭოეთში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი სისტემა, რომელიც თავის შიგნით ნყვეტდა ყველა საჭირობოროტო საკითხებს და ამ თავკომბალა სახელმწიფოს ხერხემლადაც კი იქცა.

თუმცა კანონიერი ქურდების ინსტიტუტის შექმნას ნუ მივანერთ ბოლშევიკებს. მათ ის დახვეწეს და „პოლიტიკურ ჩარჩოში“ ჩასვეს. კანონიერი ქურდების ფესვები მეფის რუსეთში უნდა ვეძებოთ. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების



მიჯნაზე რუსეთის ჟანდარმერიამ აღმოაჩინა, რომ ქურდების მეშვეობით გაცილებით ადვილი იქნებოდა პატიმრებით გადავსებული კოლონიების მართვა. მაშინ ბევრი საკუთარი აგენტი შეაგზავნეს პატიმართა რიგებში. ასეთმა მიდგომამ გაამართლა. ხოლო როდესაც ბოლშევიკებმა გაიმეორეს და უფრო გააფართოვეს კოლონიები, გაახსენდათ, რომ „სიახლე კარგად დავინყებულნი ძველია“ და ასპარეზზე გამოიყვანეს თავისივე წიაღში შექმნილი, ეგრეთ წოდებული, კანონიერი ქურდები.

პატიმართა თემი წინათ იყოფოდა მინიმუმ სამ ფენად: „ივანებად“, ასე ეძახდნენ პროფესიონალ კატორღელებს, რომლებიც სასჯელის პირველ ვადას არ იხდიდნენ, ან რომლებიც სამუდამო პატიმრობას იხდიდნენ, „წვრილფეხა ვიგინდარები“ ანუ „ივანების მუქთამჭამელები“ და გლეხები — ისინი, რომლებსაც სამართალდამცავები შემთხვევით დამნაშავეებად თვლიან. სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ მათ კატორღის საშინელი შიშის გამო კანონი არასოდეს დაურღვევიათ. მაშინ პატიმართა კრებები ღიად ტარდებოდა, მამასახლისებს ირჩევდნენ. ასორმოცდაათამდე პატიმარი ერთ მამასახლისს ირჩევდა. ამ თანამდებობაზე ასახელებდნენ ისეთ პატიმარს, რომელიც თანაბრად აძლევდა ხელს პატიმართა თემსაც და ადმინისტრაციასაც. ის უნდა ყოფილიყო ასაკოვანი და მაგარმუშტიანი ჯეელი, რომელსაც მარდად შეეძლო უკმაყოფილოთა დაშოშმინება. ეს უკვე გვაძლევს საფუძველს იმის დასამტკიცებლად, რომ ქურ-



დულმა ორგანიზაციამ ჩასახვა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს დაიწყო, მაგრამ ეს თვითჩასახვა იყო. ციხეებისა და კოლონიების მუშაკები ქურდების ორდენის წარმოქმნას ხსნიან ტუსადთა ერთი ნაწილის იმისკენ სწრაფვით, რომ მეორე ნაწილზე ამაღლდეს და მის ხარჯზე პარაზიტულად იარსებოს. პერსონალი კი აქ თითქოს არაფერ შუაშია. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ორმხრივი პროცესი იყო. ერთის მხრივ, ორდენი ისახებოდა, როგორც ადმინისტრაციასთან ბრძოლაში პატიმართა ინტერესების გამომხატველი ძალა, მეორეს მხრივ, ადმინისტრაცია ახალისებდა ორდენის შექმნას, რადგან სჭირდებოდა ის, რომ კოლონიების შიგნით, რომლებიც ათვზის დიდდებოდა, რაღაც წესრიგი მაინც დამყარებულიყო და იაფი სამუშაო ძალის შეუფერხებლად გამოყენება შესაძლებელი გამხდარიყო. საქვეყნოდ ცნობილია, რომ რუსული ხასიათის მახასიათებელი თვისებებია იდეალიზმი და მაქსიმალიზმი. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ ორდენის წარმომადგენლები იქცნენ დამნაშავეთა იდეალებად და პატიმართა იმ თვალსაზრისის გამომხატველად, რომ ხელისუფლება სინდისგარეცხილია, რომ კანონი მეტისმეტად უმოწყალოა და მათი პატიმრული საზოგადოება უფრო სამართლიანად უნდა იყოს მოწყობილი. ასე რომ, კანონიერი ქურდების ინსტიტუტის საფუძველი მეფის რუსეთში შეიქმნა, ხოლო კომუნისტურმა წყობილებამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, სხვა სიკეთესთან ერთად, ძველბიჭური მენტალიტეტიც დაამკვიდრა. საბჭოეთში რეპრესიების შემდგომ პერიოდში ციხე-კოლონიები



დამნაშავე თუ უდანაშაულო ადამიანებით გადაივსო. სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარებოდა. აუცილებელი გახდა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც ციხე-კოლონიებში არსებულ ვითარებას მოაგვარებდა და მდგომარეობა ხელისუფლების მიერ მართვადი გახდებოდა. სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა სისტემა — ჩვენში კარგად ცნობილი ქურდების ინსტიტუტი. მაშინდელმა უშიშროების სამსახურმა საპატიმროებში ამოარჩია მსჯავრდებულები, რომლებიც დანარჩენებისაგან განსხვავებით ლიდერთათვის დამახასიათებელი თვისებებით იყვნენ გამორჩეულნი. მათთან ზონის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ შედგა საიდუმლო გარიგება, რომლის შედეგადაც ციხეებში სიტუაცია ჩეკას მიერ მართული გახდა. გარიგება ორმხრივად მომგებიანი იყო. სარგებელს ნახულობდნენ, როგორც ადმინისტრაციის გაქსუებული ჩინოსნები, ისე „გამორჩეული“ მსჯავრდებულები, ლიდერები, რომლებიც მოგვიანებით კრიმინალური ავტორიტეტები ან კანონიერი ქურდები გახდნენ. თავდაპირველად ამ სისტემამ გაამართლა. კანონიერმა ქურდებმა პატიმრებსა და მსჯავრდებულებში სამართლიანობით ნდობა მოიპოვეს. ეს კატეგორია სხვა კრიმინალური წარსულის მქონე პირთათვის სამაგალითო გახდა. ბევრ მათგანს სურვილი გაუჩნდა, გამხდარიყო კანონიერი ქურდი. ამ მიზნის მისაღწევად უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მიერ ხელდასმულმა „ავტორიტეტებმა“ მსურველებს კრიტიერიუმები დაუწესეს, რომლის შესრულების შემთხვევაში მათ კანონიერ ქურდად მონათვ-



ლის შანსი მიეცემოდათ. ბოლშევიკებმა თანდათან გაამყარეს მათი იერარქიული კიბეც. ისინი ცხოვრობდნენ დაუნერეღი კანონებით. ციხე-კოლონიებში არსებულ სიტუაციას უკვე განაგებდა მაცურებელი, რომელიც შეიძლება გამხდარიყო, როგორც, ეგრეთ წოდებული „მომავალი“, ისე ჩვეულებრივი „კაი ბიჭი“. მას ქურდების, ნდობა უნდა მოეპოვებინა. კანონიერი ქურდის გარდა მაცურებელზე ხელის შეხების უფლება არავის ჰქონდა. კანონიერი ქურდების შემდეგ მოდიოდნენ მომავალი ქურდები, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ, რომ მომავალში კანონიერი ქურდები გამხდარიყვნენ. „მომავლების“ ქვემოთ მოდიოდნენ „კაი ბიჭები“, რომლებსაც არავითარი პრეტენზია არა ჰქონდათ „მომავლებზე“, თუმცა მოვალენი იყვნენ მათ გვერდში მდგარიყვნენ და მათი ცხოვრებით ეცხოვრათ, ხელი შეეწყობათ მათი წინსვლისათვის, კეთილდღეობისათვის და თუ საჭირო იქნებოდა, მათ ნაცვლად ეგოთ პასუხი. ამ შემთხვევაში „კაი ბიჭები“ თავიანთ „კაი ბიჭობას“ უფრო განამტკიცებდნენ და მყარ ხდიდნენ „ქურდებისა“ და „მომავლების“ თვალში, რითაც მეტად დაფასებულნი იყვნენ მათი მხრიდან. „კაი ბიჭების“ შემდეგ მოდიოდნენ „მუჟიკები“ ანუ მშრომელი კაცები, რომლებსაც მუშაობა არ ეთაკილებოდათ. ადრე, როდესაც ზონაში მუშაობა ყველასთვის სავალდებულო იყო, „მუჟიკები“ ქურდების მაგივრადაც მუშაობდნენ და ამ სამსახურის განევისათვის ისინი თავის მდგომარეობას იმალებდნენ, ნორმალურად ცხოვრობდნენ, „ქურდებიც“ და „მომავლებიც“ მათ პატივს სცემდნენ. ასე რომ, ბოლშევი-



კების მიერ ჩამოყალიბებულ ამ სინდიკატში ანუ ქურდულ სამყაროში იერარქიულად მაღალ საფეხურზე „კანონიერი ქურდები“, „მომავლები“, „კაი ბიჭები“ და „მუჟიკები“ იდგნენ. მათი მოღვაწეობით ყველა კმაყოფილი იყო. ქურდული სამყაროსთვის ორი კატეგორიის ხალხი იყო მიუღებელი, ესენი „ნასედკები“ და „ქათმები“ იყვნენ.

აი, ასეთი ჯოჯოხეთური საძირკველი ეყრებოდა მსოფლიოში უტოპიურ სახელმწიფოდ წოდებულ საბჭოეთს. ასეთი ქვეყნის მართვას მართლაც რკინის ხელი სჭირდებოდა.

XXIV

ბალამა გონს რომ მოეგო, მიმოიხედა და ვერ მიხვდა სად იყო. უცებ სიბნელეში ხმა მოესმა:

- დიდება უფალს, რომ მოგაბრუნა აქეთ!

- ვინ ხარ? სად ვარ? - იკითხა გაოგნებულმა ბალამამ.

- მე თედო ვარ გურგენიძე. - მოესმა ისევ ბალამას, - პადვალში ვართ, ჩეკას პადვალში. გუშინ ჩამოგადგეს. მეგონა, ვერ გადარჩებოდი, მაგრამ ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული და უფალმა გადმოგხედა.

- თედო? - აღმოხდა ბალამას, - საიდანღაც მახსოვს ეს სახელი და გვარი.

თედო სიბნელიდან გამოვიდა, ბალამას გვერდით დაჯდა ნესტიან მიწაზე და უთხრა:

- პოლიტიკურზე დამიჭირეს. ალბათ, დახვრეტა არ ამცდება.



ბალამამ გაიხსენა თედო გურგენიძე. ერთხელ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან შეხვედრაზეც იყო. ჭკვიანი პოლიტიკოსი გახლდათ. ყველა პატივს სცემდა და ჭკუას ეკითხებოდა. მთელი ღამე გონებადაკარგულ ბალამას ეჯდა გვერდით და მის მაჯის ცემას აკვირდებოდა. რაც შეეძლო გააკეთა, მაგრამ ვერ გამოიყვანა მდგომარეობიდან. ბოლოს, ლოცვა დაიწყო და უფალმა შეისმინა ამ პატიოსანი კაცის ვედრება.

ბალამამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო. ის იყო, კიდევ ერთხელ სცადა წამომჯდარიყო მაინც, რომ სარდაფის სახურავი გაიღო და ვილაც კაცი ჩამოაგდეს ზევიდან. ამ ამბის შემხედვარე ბალამას თავის გაჭირვება დაავიწყდა და თედოსთან ერთად სარდაფის ახალი ბინადრისკენ წავიდნენ. კაცი მაგრად იყო ნაცემი და დასისხლიანებული, მაგრამ სუნთქავდა და ოხრავდა. ბალამამ და თედომ თავიანთი პერანგებიდან ნაჭრები მოხიეს და უცნობის სახის სისხლისგან განმენდა დაიწყეს. არავინ იცის, რა დრო გავიდა. მალე უცნობი პატიმარი გონს მოეგო და თავის მხსნელებს შეხედა.

თედომ მაშინვე ჰკითხა უცნობს:

- ვინა ხარ? ასე რატომ გაგიმეტეს ამ არამზადებმა?

უცნობმა ჩაახველა. ძლივს მოიკრიბა ძალ-ლონე და ამოთქვა:

- ახალსოფლელი ვანუა ვარ... რაზედ დამიჭირეს არც მე ვიცი... ქირაზე სამუშაოდ ვიყავი გომბორში, ჩემს სახელობო საქმეს ვაკეთებდი ერთ-ერთ ოჯახში, მოვიდა ვილაც ჩეკისტი, ეგრე მითხრა, ამ სოფლის რწმუნებული სილაგაძე



ვარო, ბორკილები დამადო ხელებზე და აქეთ წამამიყვანა...
მერე მცემეს და აღარაფერი მახსოვს ...

ორი დღის განმავლობაში ზედამხედველის გარდა არავის მოუკითხავს სარდაფის პატიმრები. ზედამხედველიც პურსა და წყალს აწვდიდა და ისე დაახეთქებდა ხოლმე სარდაფის სახურავს, რომ გეგონება ზარბაზანი გაისროლეს სადღაც კედლის იქითო. ვინაიდან თედო, ბალამა და ვანო საშიშ პოლიტიკურ დამნაშავეებად იყვნენ მიჩნეული, თავის დაზღვევის მიზნით, ისინი დასაკითხად ჩეკას კაბინეტებში არ აჰყავდათ. ინფორმაცია ჰქონდათ მიღებული, რომ მათ გასათავისუფლებლად კონტრრევოლუციონერები ჩეკას შენობაზე თავდასხმას აპირებდნენ. გამომძიებლები თვითონ ჩადიოდნენ სარდაფში დაცვის თანხლებით და აწარმოებდნენ პატიმართა დაკითხვას.

მესამე დღეს, ახადეს სარდაფის სახურავი და სარდაფს ორი მილიციელის თანხლებით „ესტუმრნენ“: ჩეკას უფროსი ლომიძე, გამომძიებლები - ჯაში, ხოჯევანოვი და დამწერი მიცკევიჩი.

- რა ხდება? - გადაულაპარაკა ბალამამ თედოს, - ჟანგბადი ჩვენ ძლივს გვყოფნის და ამის წართმევაც უნდათ!?

- რა ქნან, მეტი ტვინი ამათ არა აქვთ. თვითონაც არ იციან, რა უნდა გააკეთონ. ამათ სამართალისა არაფერი გაეგებათ, მხოლოდ კაცისკვლა იციან.

დამწერი მიცკევიჩი სახელდახელოდ მონყობილ მაგიდასთან დასვეს, ლომიძესაც მოუძებნეს სკამი, ხოლო ჯაში და ხოჯევანოვი ფეხზე იდგნენ და დასაკლავი ცხვრებივით



ათვალყურებდნენ პატიმრებს. ბოლოს ჯაშმა უხმო გურგენიძეს და შეკითხვების დასმა დაუნყო. თედო ჭკვიანი კაცი იყო და გამომძიებლის დასმულ უსუსურ შეკითხვებს შეკითხვებითვე აბითურებდა. დამნერმა მიცკევიჩმა ხელები გაშალა და ჯაშს უთხრა:

- რა დავნერო, უფროსო, ოქმში, არაფერს ამბობს...

- მე ვიცი, რასაც დავნერ! - განრისხდა ჯაში, - ამას ერთ ტყვიას ვაჯახებ შუბლში და მერე მიქელგაბრიელს დაუსვას შეკითხვები!

მერე პატიმრების კუთვნილი ჟანგბადი ღრმად ჩაისუნთქა და ამოსუნთქვისას, რაც მაგიდაზე ანთებული სანთლები იყო ყველა ჩააქრო. მერე ასანთი ამოიღო, ისევ გაუკიდა ცეცხლი სანთლებს, თვალებით ბალამა მოძებნა და მიაძახა:

- შენ რას იტყვი, მაისურაძე!?

ბალამამ მხრები აიჩეჩა და ზანტად უპასუხა:

- მე რა უნდა ვთქვა, მოქალაქე გამომძიებლო, პოლიტიკისა არა გამეგება რა. მე და პოლიტიკა ეგრე შორიშორსა ვართ, როგორც ცა და დედამინა...

- მოქალაქე გამომძიებლო კი არა, ამხანაგო გამომძიებლო, - განრისხდა ჯაში, - შარზე ხარ, არა!? შე ქაქუცას მონავ!? მე გარჩენებ შენ, როგორ უნდა თავის მოკატუნება. შენ, როგორც ჩანს, ნამდვილი ცემა რა არის არ იცი!

ამ დროს ჩეკას უფროსმა ანიშნა ჯაშს დაწყნარებულიყო, ხოჯევანოვი იხმო და უთხრა:

- შენ გააგრძელე იმ ახალსოფელთან, ამათ კი სხვანაირად მოვუვლი. დროზე მოვრჩეთ, თორემ გავიგუდე კაცი!



ხოჯევანოვმა ვანოს დაუძახა და მისვლისთანავე კითხვა დაუსვა:

- ან იტყვი, გომბორის ტყეებში ვინ და სად იმალებიან, ან არადა, შენს თავს დააბრალებ, რაც მოგივა!

ვანო აინურა, არ იცოდა, რა ეპასუხა. ან რა უნდა ეპასუხა, რაც არ იცოდა, მხოლოდ სამი სიტყვის წარმოთქმა მოახერხა:

- არაფერი ვიცი, უფროსო...

- მაშ ახალსოფლიდან გომბორში რა გინდოდა!? - იყვირა ხოჯევანოვმა, - რა, სამუშაო ახალსოფელში ვერ იშოვე!?

ვანო გლეხი კაცი იყო, წესიერად საუბარიც არ იცოდა და ამიტომ თავჩაღუნული იდგა და სარდაფის ნესტიან იატაკს დამტერებოდა. ბალამამ ველარ მოითმინა პატიოსანი კაცის დამცირება და ლომიძეს სთხოვა:

- უფროსო, ერთი სიტყვა მათქმევინე, ხომ ხედავ, ვანუა ვერაფერს ამბობს.

ლომიძემ იფიქრა, შეიძლება ბალამამ რაღაც იცის გომბორის ბიჭების შესახებო და ყველას გასაგონად წამოიძახა:

- აბა, მოვეუსმინოთ, ტყეებისა და ყაჩაღებისა ამან იცის, იქნებ რამე გვითხრას ახალი!

ბალამა ხოჯევანოვს მიუბრუნდა და უთხრა:

- ახალსოფლიდან გომბორამდე ოცი კილომეტრია, ერევნიდან საქართველომდე კიდენა ხუთასი. რა გინდა შენ აქ? ერევანში ვერ იშოვე სამუშაო?

დაამთავრა თუ არა ბალამამ სიტყვა, სარდაფში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. უცებ ლომიძეს წასკდა სიცილი,



სახეზე ხელი აიფარა და სარდაფის კიბეებს აუყვა. მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ ჯაში და მიცკევიჩი. თვალებგადმოყრილმა და გამწარებულმა ხოჯევანოვმა კი მილიციელს უბრძანა:

- ნადი, მამიყვანე დურგალი შაქრუა და საიდანაც კი სინათლე შემოდის ამ სარდაფში, ყველა ფანჯარა და ხვრელი აფიცროს!

ორადორი პატარა სარკმელი ჰქონდა სარდაფს, საიდანაც დღის სინათლე და ჰაერი შემოდოდა. ისიც ამოუქოლეს პატიმრებს და ისედაც ბნელ სარდაფში უკუნი სიბნელე ჩამონვა. ბალამამ ველარ მოითმინა, ფეხებით ჩაღენა ყველა ფიცარი. ეს რომ ხოჯევანოვმა გაიგო, გინებით აიკლო პატიმრები:

- ეს შენი ნახელავი იქნება, მაისურაძე! გამოტყდი!

- ჰო, ჩემი ნახელავია და მერე რა!

ხოჯევანოვი ასეთ პირდაპირ პასუხს არ ელოდა. უყურა, უყურა ბალამას, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა.

საქართველოში ბოლშევიკებს მეფის რუსეთისგან „მემკვიდრეობით“ გადაეცა უცხოტომელთა პარპაში ანუ ქართველთა დაკნინების ეს მოუცილებელი ქირი.

XXV

სტალინს მტრულ გარემოში მოუწია სახელმწიფოს მართვა. მის გარშემო ქაოსი და შიდა და გარეშე მტრების მთელი ხროვა იყო შემოკრებილი. ტროცკისტების აგრესიულ



ფრაქციას ემატებოდა ლენინის მტრული დამოკიდებულება მომავალი ბელადისადმი, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ წლებში დაიძაბა. კრუპსკაია ვერ იტანდა სტალინს და ცდილობდა ლენინზე ზეგავლენა მოეხდინა, რათა სტალინი ჩამოეშორებინა აქტიური პოლიტიკისგან. თუმცა პირიქით ხდებოდა, ჯიუტი ქართველი, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სულ მალლა და მალლა მიიწევდა. ამას ლენინის ავადმყოფობამაც შეუწყო ხელი. პოლიტიკისგან ჩამოშორებული ლენინი მეუღლის ნააზრევს პატივს სცემდა და ხშირად ეთანხმებოდა კიდევ. კრუპსკაიამ გადანყვიტა, გამოყენებინა შექმნილი სიტუაცია და სტალინის მისამართით გადასულიყო შეტევაზე. ამიტომ ეცადა გამოყენებინა ლენინისა და სტალინის პოზიციების განსხვავება საბჭოეთში ნაციონალური საკითხის გადანყვიტის შესახებ ანუ „ქართველთა საქმე“. დაპირისპირების საგანი იყო საქართველოს შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის თუ ამიერკავკასიის ორ სხვა რესპუბლიკასთან (აზერბაიჯანი და სომხეთი) გაერთიანებული სტატუსით. სტალინი წინააღმდეგი იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსით საქართველოს საბჭოთა კავშირში შესვლისა. იგივე საკითხი იქცა შემდგომ სტალინის და ორჯონიკიძის, ბუდუ მდივანთან და ფილიპე მახარაძესთან დაპირისპირების მიზეზად. ამ უკანასკნელთა ვიზიტებს კრუპსკაიასთან, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ბოლო არ უჩანდა. ამიტომ ლენინმა გადანყვიტა საქმის მოგვარება ძერჟინსკისთვის დაევალებინა. ეს საკ-



მაოდ რთული საკითხი განხილვის სტადიაში იყო, როდესაც ლენინი მძიმედ ავად გახდა. ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პერსონალურად სტალინს დაავალა ლენინისთვის ექიმების მიერ დანიშნული მკურნალობისა და ცხოვრების რეჟიმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა. ამ მდგომარეობამ უფრო გაართულა ისედაც დაძაბული ურთიერთობა სტალინსა და კრუპსკაიას შორის. კრუპსკაია „ქართველთა საქმესთან“ დაკავშირებით ლენინს ხშირად ესაუბრებოდა და სთხოვდა, პირადად მიეღო გადანყვეტილება. როდესაც სტალინის ყურამდე მივიდა ეს ინფორმაცია, მან დაურეკა კრუპსკაიას და საკმაოდ უხეში სიტყვებით მოითხოვა:

- ზედმეტად ნუ აწუხებთ ვლადიმერ ილიჩს, მათ შორის განსაკუთრებით თქვენ!

სტალინის უხეში მიმართვის საპასუხოდ არც კრუპსკაია დარჩა ვალში და ტელეფონის ყურმილში მიაძახა:

- მე ლენინის ცოლი ვარ და ყველაზე კარგად ვიცი თუ რა არის მისთვის უკეთესი და რა არა! არ მჭირდება თქვენი დარიგება!

- ჩვენ ჯერ კიდევ ვნახავთ თუ ლენინის როგორი ცოლი ხართ! - მკაცრად მიუგო სტალინმა. მისი ეს სიტყვები მუქარას უფრო ჰგავდა, - ლენინის ცოლობა არ ნიშნავს იმას, რომ ლენინიზმშიც კარგად ერკვეოდე!

სტალინი მართალია კარგად ერკვეოდა იმ უტოპიურ მიმდინარეობაში, რომელსაც ლენინიზმს უწოდებდა და ხშირად ადამიანებთან ურთიერთობაში ლენინელადაც



მოჰქონდა თავი, მაგრამ ამ ეტაპზე ასე იყო საჭირო, რათა ლენინის იდეების უარყოფით, ფართო მასების გაღიზიანება არ გამოეწვია. მეტიც, თუ რაიმეს ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო მის მიერ მოფიქრებულ გადაწყვეტილებას გაასაჯაროებდა, იმასაც ლენინს აბრალებდა - „ეს სიტყვები მან ჯერ კიდევ რევოლუციამდე წარმოთქვაო“. ლენინი სანამ ავად იყო, ვერ ლაპარაკობდა, რადგან ღმერთმა ამ პირსისხლიან ჯალათს მეტყველების უნარი წაართვა, ხოლო სიკვდილის შემდეგ ხომ ვერავინ გაიგებდა, მართლა თქვა თუ არა ილიჩმა სიტყვები, რომელიც მხოლოდ სტალინის მოფიქრებული იყო.

ვინაიდან კრუპსკაიამ „ქართველების საქმესთან“ დაკავშირებით, სტალინის მუქარის შედეგად, ლენინზე ზეგავლენა ვერ მოახდინა, სხვა ხერხს მიმართა. საქმეში ზინოვიევი ჩართო. ამ უკანასკნელმა ვერ გაბედა სტალინთან პირდაპირ დალაპარაკება და წერილი გაუგზავნა: „ნადეჟდა კრუპსკაია რეკავს და გვთხოვს, რომ თქვენ და მე ვნახოთ იგი ქართველების საქმესთან დაკავშირებით. მე მოვიმიზეზე პოლიტიბიუროს სასწრაფო სხდომა. ის დაჟინებით მოითხოვს დღეს სალამოს შეხვედრას. მე არაფერი ვუპასუხე, ვუთხარი, რომ თქვენთან მოვილაპარაკებ. როგორ მოვიქცეთ?“

სტალინმა დაურეკა ზინოვიევს და ჩვეული სიმკაცრით უთხრა:

- თქვენი არ ვიცი, მე კი არანაირი სურვილი არ მაქვს, ვესაუბრო კრუპსკაიას ქართველებზე. მე მასთან არ წავალ, რადგან ქართველების საკითხი ჩემი გადასაწყვეტია და



არავის დაუვალდება ჩემთვის კრუპსკაიასთან ერთად რაიმე საკითხის ერთობლივი განხილვა!

კრუპსკაიას სტალინის ასეთმა დამოკიდებულებამ ბელადის ცოლისადმი, მოთმინება დააკარგვინა და გადანწყვიტა, ლენინის სახელით წერილი გაეგზავნა ყრილობისადმი, რომელსაც ლენინის კარნახით დაწერილი „ლენინის ანდერძი“ დაარქვა. პოლიტბიუროს წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ ლენინი ველარც წერდა და ველარც მეტყველებდა. ამიტომ მისი „კარნახით“ დაწერილი ანდერძი კრუპსკაიას შედგენილი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი პირდაპირ მიმართული იყო სტალინის წინააღმდეგ. აი, რა ეწერა „ლენინის ანდერძში“:

„მე გირჩევთ, ჩვენს პარტიულ შემადგენლობაში ცვლილებები შევიტანოთ... ამხანაგმა სტალინმა, გახდა რა გენერალური მდივანი, მოიპოვა დიდი გავლენა და მე არ ვარ დარწმუნებული, რომ იგი ამ გავლენას სიფრთხილით გამოიყენებს. მეორე მხრივ, ამხანაგი ტროცკი... გამოირჩევა არა მხოლოდ ინტელექტითა და შესაძლებლობებით, პირადად იგი არის ყველაზე უნარიანი ადამიანი ცენტრალურ კომიტეტში, თუმცაღა ახასიათებს დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე და ყოველთვის თავდაჯერებულია. ამავე დროს ხშირად გაიტაცებს ხოლმე ადმინისტრაციული გვერდითი საქმეები. ორი გამოკვეთილი ლიდერის ეს ორი თვისება შესაძლოა პარტიის რღვევის მიზეზი გახდეს. თუ ჩვენმა პარტიამ არ მიიღო ზომები, განხეთქილება გარდაუვალია... სტალინი ძალიან უხეშია და ეს ნაკლი, რომელიც გასაძლისია ჩვენს გარემოში, კომუნისტებში, გაუსაძლისი ხდება გენერალურ



სამდივნოში. ამდენად, მეგობრებო, გთავაზობთ კარგად ანონ-დანონოთ და იფიქროთ იმაზე, როგორ გადავანაცვლოთ სტალინი გენერალური მდივნის პოსტიდან და როგორ დაენიშნოთ მის ადგილზე სხვა ადამიანი, რომელიც... იქნება უფრო მომთმენი, ლოიალური, უფრო კეთილგანწყობილი, ზრდილობიანი და უფრო ყურადღებიანი მეგობრების მიმართ, ნაკლებად კაპრიზული და ასე შემდეგ. ეს გარემოება თქვენ შეგიძლიათ უმნიშვნელოდ ჩათვალოთ, მაგრამ მე ვფიქრობ, განხეთქილების თავიდან ასაცილებლად და ტროცკისა და სტალინის ურთიერთობის შესახებ ჩემს მიერ ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი, ან უმნიშვნელოა იმდენად, რომ შეიძლება შეიძინოს გადამწყვეტი მნიშვნელობა“.

ამ შემთხვევაშიც არაფერი გამოუვიდა კრუპსკაიას. პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატმა სტალინმა „ლენინის ანდერძით“ უფრო ისარგებლა, ვიდრე ლენინის მიერ საკუთარ მემკვიდრედ მიჩნეულმა ლევ ტროცკიმ.

რა ბედი ენია „ქართველთა საქმეს?“

„ქართველთა საქმე“ დამთავრდა იმით, რომ შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც გაერთიანდა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. აღნიშნული რესპუბლიკის შექმნა ძვირად დაუჯდა საქართველოს. მან ბევრი ძირძველი ტერიტორია დაკარგა.



XXVI

საგარეჯოს ჩეკამ, მიუხედავად პატიმრების წამებისა და გაუსაძლის პირობებში მათი ყოფნისა, ვერაფერი გაარკვია ახალი კონტრრევოლუციური მოძრაობის შესახებ, რაზეც ცენტრიდან საყვედურიც მიიღო და, რა თქმა უნდა, შესაბამისი ინტრუქციებიც.

რამდენიმე დღის შემდეგ, ბალამა ამოიყვანეს სარდაფიდან და ჩეკას ერთ-ერთ კაბინეტში შეიყვანეს. ახალგაზრდა კაცი, რომელიც გამომძიებლად გაეცნო ბალამას, ახალი თანამშრომელი ჩანდა. ის ბალამას არსად უნახავს. გამომძიებელმა ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო საუბარი:

- საქალაქოდ უნდა გაგამზადოთ და აუცილებელია, რომ ახლიდან დაგკითხოთ და ანკეტა შევავსოთ!

ბალამას ხმა არ ამოუღია. ან კიდევ რატომ ამოიღებდა, როდესაც ეს ჩვეულებრივი პროცედურა იყო, რომელსაც წლების განმავლობაში ისე შეჩვეოდა დიდხანია სახელმწიფოსგან უარყოფილი კაცი, რომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა, რაც პატიმრების „ენაზე“ თანხმობას ნიშნავდა. გამომძიებელმა დაკითხვის ოქმის შედგენა რუსულ ენაზე დაიწყო, რაზეც ბალამამ გააფრთხილა:

- მე რუსული არ ვიცი და ხელს არაფერზე მოვანერ!

- ახლა რუსული გახდა საბჭოთა ენა და ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ ვისაუბროთ და ვწეროთ რუსულად! - მოკლედ მოჭრა გამომძიებელმა და გააგრძელა წერა. ბალამას არაფერი უთქვამს, რადგან იცოდა, ასეთ ურჩობას რა



შედეგიც მოჰყვებოდა. გამომძიებლის ყველა შეკითხვაზე ერთი და იგივე პასუხი ჰქონდა - „არ ვიცი“.

გამომძიებელს ბალამას პასუხებზე პრეტენზია არ გამოუთქვამს, ყოველგვარი აგრესიის გარეშე დაამთავრა თავისი საქმე, დაკითხვის ოქმი ბალამას წინ დაუდო და უთხრა:

- მოანერე ხელი!

- მე გითხარი, რომ რუსული არ ვიცი, ქართულად დანერე-მეთქი, - მიუგო ბალამამ, - მე რა ვიცი, შენ რა ჩანერე მანდ!?

- მაისურაძე! - ხმას აუნია გამომძიებელმა, - უფლება გაქვს, ნებისმიერ ჩვენს თანამშრომელს სთხოვო და ჩემს დანერილს გადაგითარგმნის ქართულად!

ბალამას გაელიმა და უთხრა:

- როგორ არის ნათქვამი? - „მელამ თავის კუდი მონმედ მოიყვანაო“. შენ და შენი თანამშრომლები ერთნი არა ხართ?

ამ სიტყვების შემდეგ, გამომძიებელს სიბრაზისაგან სახე გაუნითლდა და სკამიდან წამოხტა. ამ დროს, კაბინეტში შემთხვევით ჩეკას უფროსი შემოვიდა, გამომძიებლის აღშფოთებულ სახეს რომ შეხედა, წყნარად წარმოთქვა:

- ნერვებს გიშლის, არა!? ასეთი ჯიშისაა ეს ქაქუცას ნაჩათლახარი! - მერე სკამზე მჯდარ ბალამას დახედა და განაგრძო, - ახლა თბილისში გაგამწესებთ და იქ მოგივლიან! გაიგე!?

- კარგი, უფროსო, რა, - თქვა ბალამამ ისე, რომ ლომიდისთვის სახეში არ შეუხედავს, - შენ ისე გამოგდის, „პატარა ძალს აშინებდნენო“, რაც არ ვიცი, არ ვიცი.





- ოქმზე ხელს არ აწერს, უფროსო. - შესჩვილა უკვე დამ-
შვიდებულმა გამომძიებელმა ლომიძეს.

- ვითომ რათაო? არ გვენდობა?

- რუსულად არის დაწერილი, - ისევ განაგრძო ჩივილი
გამომძიებელმა, - მე რუსული არ ვიცი და მე რა ვიცი, რა ჩა-
წერე შიგნითო. მე ვუთხარი - ჩვენს თანამშრომელს, ვისაც
გინდა დაუძახე და გადაგითარგმნის-მეთქი. არაო. თქვენ
ყველანი ერთნი ხართო.

- შენ ახლა კარგი ცემა გინდა! - ხმას აუწია ლომიძემ, -
მაგრამ თბილისში დალურჯებული რომ გაგიშვა, მე ჩამეთ-
ვლება მინუსში, ინფორმაცია ვერ ამოიღო და სცემაო. შენ
კიდევ, როგორც ყოველთვის, თავს მოიკატუნებ, საწყალი
და ტანჯული კაცის როლს მოირგებ! თორემ რუსულიც
კარგად იცი და აფხაზეთის საზღვარზე ომის დროს, რუსულ
სოფლებში რუს ქალებთანაც კარგად ერთობოდი!

- რა ვქნათ, უფროსო? - იკითხა ისევ გამომძიებელმა.

- ქართულად დაწეროს დაკითხვის ოქმს, რომ არც შენ
და არც სხვა გამომძიებლებს არ გენდობათ! - წამოიძახა
ლომიძემ, - მერე გამოიძახე ბადრაგი და წაათრიონ აქედან
მოუსაველეთში! მაგას დახვრეტა მაინც არ ასცდება!

ბალამამ დაკითხვის ოქმს დაანერა, როგორც რეზოლუ-
ციას ადებენ ხოლმე: „ვინაიდან მე არ ვიცი რუსული არც
წერა და არც კითხვა, არც ლაპარაკი, ამისთვის არ გენდო-
ბით არც შენ და არც შენს თანამშრომლებს. იოსებ ალექსის
ძე მაისურაძე“. დასვა წერტილი და გულში გაიფიქრა: „სიკ-
ვდილის წინ ერთხელ მაინც ვიყო ამათი უფროსი. თუმცა



ძაღლების და სამშობლოს მოღალატეების უფროსობა რა შავქვად მინდა?”

ბადრაგმა ბალამა და რამდენიმე პატიმარი საგარეჯოს სადგურში ჩაიყვანა, რათა იქიდან მატარებლით თბილისში გაემგზავრებინათ. ხოჯევანოვი პატიმრებს კარგად ექცეოდა. როგორც ჩანს მისთვის ცნობილი იყო მათი ბედი. სადგურის დუქნიდან ღვინო გამოიტანა და თიხის ჯამებში ჩამოასხა. პირველად ბალამას გაუნოდა ღვინით სავსე ჯამი და უთხრა:

- რას ვიზამთ, მაისურაძე, ჩვენი სამსახური ეგეთია - მე შენ განყენინე და ახლა უნდა შევრიგდეთ. აბა, ალავერდი შენთანა ვარ!

ბალამამ ჯამი არ გამოართვა. სხვა პატიმრებმაც მას მიბაძეს, ზურგი შეაქციეს ხოჯევანოვს და სადგურში ჩამომდგარ მატარებელში მათთვის განკუთვნილ ვაგონში ავიდნენ.

თბილისის ჩეკაში ბალამა გამომძიებელ მხეიძესთან მიიყვანეს. შესვლისთანავე გამომძიებელმა გაიღიმა და უთხრა ბალამას:

- რა არის, მაისურაძე, ეს ჩვენი თანამშრომლები აბუჩად რომ ავიგდია?

- უფროსო, - უპასუხა ბალამამ, - ისინი კი არ ავიგდე აბუჩად, მე ჩემი თავი ავიგდე აბუჩად, რომ მე რუსული არც ნერა და არც ლაპარაკი არ ვიცი. აბა, მე რა ვიცი, რას დანერდნენ იმ ქალაღზე.

- კარგი, კარგი, - გაეცინა მხეიძეს, - აი, შენი განაჩენი ქართულად დავწერე, შეგიძლია წაიკითხო და მოაწერო ხელი.



ბალამამ ხელში აიღო ოქმი და განჩინებაში ამოიკითხა:
„ექვმიტანილ იოსებ ალექსის ძე მაისურაძეზე წაყენებული
ბრალდება სიმართლეს არ შეეფერება ...“

ბალამა ბადრაგის მეშვეობით გადაიყვანეს „გუბერს-
კის“ ციხეში და სულ მალევე გაამნესეს გადასახლებაში.



მეორე ნაწილი

I

გადასახლებაში გასამგზავრებელი პატიმრები მოათავსეს მატარებლის სპეციალურ ვაგონში. ეს მეთოდი ბოლშევიკებს უკვე კარგად ჰქონდათ ათვისებული და დახვეწილი. ეტაპი, ასე ერქვა პატიმრების გადაყვანის სისტემას, იგზავნებოდა საბჭოეთის დედაქალაქ მოსკოვში და მერე იქიდან ანაწილებდნენ პატიმრებს დანაშაულის სიმძიმის მიხედვით რუსეთის შორეულ პროვინციებში. ამით ხდებოდა კონტრრევოლუციური შეთქმულებების განეიტრალება. გადასახლებული ადამიანებიდან ნახევარზე მეტი უკან ველარ ბრუნდებოდნენ, რადგან რუსეთის პროვინციებში მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო ან ავადმყოფობით კვდებოდნენ ან კიდევ გაქცევის შემთხვევაში უგზოუკვლოდ იკარგებოდნენ.

ბალამას ბედმა გაულიმა და ერთ კუპე-საკანში კახელებთან ერთად მოუწია მგზავრობა. გზაში პატიმრები უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საუბრობდნენ. მგზავრობა, განსაკუთრებით ღამე მატარებლით, ისეთი რამ არის, რომ ბევრ ადამიანს დააფიქრებს თავის განვლილ ცხოვრებაზე. არც ბალამა იყო ამ შემთხვევაში გამონაკლისი. ახალგაზრდა კაცი, რომელიც თითქმის სიყმაწვილის ასაკიდან სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ახლა იმ ქვეყანაში მიჰყავდათ, რომლის სისხლისმსმელმა ხელისუფლებამაც და-



იპყრო საქართველო და ბევრი გულანთებული მამულიშვილი გამოასალმა სიცოცხლეს. ამაზრზენი იყო ის ფაქტები, რომელსაც რუსი და ქართველი ბოლშევიკები სჩადიოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამულიშვილების წინააღმდეგ. წითელ ტერორთან მებრძოლ, ტყეში გახიზნულ ბალამას და მის თანამებრძოლებს, როდესაც კოტე აფხაზის და მისი თანამოაზრეების დახვრეტის ამბავი ამცნეს, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს სამყარო შეიძრაო. ქართველ გმირებს მხოლოდ სიკვდილი არ აკმარეს და იმ ორმოზე, სადაც ისინი დახვრეტის შემდეგ ჩაყარეს, საზოგადოებრივი ტულაეტი ააშენეს...

...უბედურება კი ის იყო, რომ ამ საქმეში მოლაღატი ქართველები უფრო აქტიურობდნენ, ვიდრე უცხოტომელები...

ბალამა იმ უცხო ქვეყანაში მიჰყავდათ, რომელსაც ახლა ქართველი ხელმძღვანელობდა და ღმერთის გარდა არავინ იცოდა, თუ რა განაჩენს გამოუტანდა ეს ქართველი სამშობლოდან იძულებით ჩაყვანილ თანამემამულეებს.

...ორთქმავალი კი ხვნიშა-ხვნიშით მიაპობდა ჩრდილოეთიდან ჩამონოლილ უკუნეთ სიბნელეს და მიათრევდა სამშობლოს სიყვარულის გამო დასჯილი ადამიანებით გაჭედულ ვაგონებს...

ბალამას თვალზე რული არ ეკიდებოდა. მის წინ დოლის ცხენივით გაირბინა განვლილმა წლებმა - სამაჩაბლოს, თურქეთის, აფხაზეთის, სომხეთის ტერიტორიებზე ნაწარმოებმა ომებმა. რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეინირა ამ ბრძოლებმა... ქაქუცა ჩოლოყაშვილის შემართებამ და



გმირულმა სულმა თითქმის გამარჯვებამდე მიიყვანა ყველაფერი... მაგრამ ქართულმა ლალატმა, რომელსაც საუკუნოვანი „გამოცდილება“ აქვს საკუთარი ჯიშ-ჯილაგის მოკვდინებისა, ისევ იმძლავრა და კიდევ რამდენიმე ათეული წლით დაასამარა ქვეყნის დამოუკიდებლობა...

...თვალწინ პატარძეულის მთები დაუდგა... გულიანთ წყალი მოსწყურდა, რომელიც იყო მისი მასაზრდოებელი დედის რძის შემდეგ...

...ორთქმავალი კი კვლავ ქშინავდა და კივილით აფხიზლებდა უკუნეთ ღამეს...

...დაღლილობამ და სევდამ თავისი გაიტანა და სხვა პატიმრებივით ბალამასაც ჩაეძინა...

„ქუდი გვერდზე დაგიხურაავს... ამპარტავანსა ჰგავხაროო...“, ჩაესმა ბალამას და რომელიღაც პატიმარმა კუპესაკნის ვიწრო სარკმელთან ჩაძინებულ ბალამას თვალებზე ჩამოფხატული თუშური ქუდი გაუსწორა და ღიმილიანი სახით შეუძახა:

- ჰარალალი... ჰარალალოო!

ბალამა გამოფხიზლდა და მაშინვე სარკმელში გაიხედა. მის წინ უკიდევანო სტეპი იყო გადაშლილი, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. როგორც ჩანს აქ ხალხი არ ცხოვრობდა ან კიდევ აღარ ცხოვრობდა...

პატიმრებმა შემოსძახეს ქართული ხალხური სიმღერები, მაგრამ მალევე ზედამხედველები დაადგნენ თავზე და აუკრძალეს სიმღერაც და ხმამაღალი საუბარიც.

რამდენიმე დღე-ღამის შემდეგ ორთქმავალი, რომელსაც „ეტაპი“ მიჰყავდა, მიუახლოვდა საბჭოეთის დედაქალაქს -



მოსკოვს. რუსეთში ზამთარი უკვე კარგახნის დანყებული იყო. უხვი თოვლის დანახვაზე ბალამას, თავისი ბავშვობის მეგობრის, გოგლა ლეონიძის სიტყვები გაახსენდა: „ილო თოვლი, როგორც მატყლი თითის ტარზე დახვეული“. ამ სიტყვებმა ბალამა ფიქრით ისევ საქართველოში დააბრუნა: „სადაურსა სად წაიყვანო, ჩემზეა ნათქვამი... აქ მე ვერ გავძლებ... გამიჭირდება...“

ბალამას ფიქრი ზედამხედველის გამყინავმა ხმამ შეანყვეტინა:

- ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობების გარეშე მოემზადეთ ჩასასვლელად! დანიშნულების ადგილას მოვედით!

სადგურში პატიმრებს სატვირთო მანქანები დაახვედრეს და დაიწყეს მათი ციხეში გადაყვანა. თხუთმეტადგილიან მანქანებში აიძულებდნენ ორმოცი კაცი შესულიყო. ბალამამ და მისმა თანასაკნელებმა უარი განაცხადეს ხალხით გადავსებულ მანქანაში შესვლაზე, რაზეც ბადრაგმა ისინი დასაჯა და სადგურის ერთ ჭუჭყიან ოთახში გამოკეტა, ხოლო სალამოს გადაიყვანეს ბუტირკის ციხეში. ბიჭებს გაუხარდათ მათი გამოჩენა, ყველას ეგონა, რომ მათ დახვრეტა არ ასცდებოდათ.

ბუტირკის ციხე ერთ-ერთი ძველი საპატიმრო იყო რუსეთში. ის ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს აშენდა და მისი ერთ-ერთი პირველი ტუსალი ცნობილი მეამბოხე ემელიანე პუგაჩოვი იყო, რომელიც იქვე ჩამოახრჩვეს.

მეორე დღეს პატიმრები ეზოში სასეირნოდ გამოიყვანეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ სიარულის დროს მწყობ-



რიდან არ გამოსულიყვნენ. როგორც კი დაინყო, ეგრეთ წოდებული, „გასეირნება“, ბალამას მეგობარმა და თანამებრძოლმა ბაგრატი ბაქრაძემ სიმღერა შემოსძახა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დრო დადგა გამარჯვებისა ...“. სიმღერაზე მთელი ციხე შეიძრა, პატიმრებმა ფანჯრები ჩალენეს და ვისაც როგორ შეეძლო, ისე უცხადებდა სოლიდარობას და თანადგომას ქართველ ვაჟკაცებს. ზედამხედველებმა მაშინვე შებოჭეს ბაქრაძე, ბორკილები დაადეს და ეზოდან გაიყვანეს. მას შემდეგ ის არავის უნახავს...

II

საქართველო ნელ-ნელა იცლებოდა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებისაგან. ზოგნი ემიგრაციაში გაიქცნენ, ზოგნი გადაასახლეს, უმეტესი ნაწილი მამულიშვილებისა კი დახვრიტეს. სამაგიეროდ ბოლშევიკების პარტიაში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტული დაჯგუფებები. ისინი ცდილობდნენ ქვეყანაში ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის პროცესი გაეღრმავებინათ, ცდილობდნენ ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნას და უკვე არსებული ავტონომიური ერთეულების სტატუსის შეცვლას.

საქართველო კიდევ ერთხელ ჩავარდა უღმობელი მტრის ხელში. ამჟამად ეს მტერი გახლდათ ათეიზმის სე-



ნით და ძალაუფლების მოხვეჭის სურვილით შეპყრობილი ბრბო, რომელიც ძალიან შორს იყო ეროვნული და მამულიშვილური სულისკვეთებისგან. მათთვის არ არსებობდა არც სამშობლო, არც ღმერთი და ადამიანებს კი მხოლოდ იმიტომ „აქცევდნენ“ ყურადღებას, რომ ისინი სჭირდებოდათ თავიანთი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად. საუკუნეზე მეტი გასულიყო, რაც საქართველო ღვთივკურთხეული მეფის გარეშე იყო დარჩენილი... საუკუნეზე მეტი გასულიყო, რაც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა პატრიარქის გარეშე და ჩარჩოებში მოქცეული მართლმადიდებლური სარწმუნოებით ცხოვრობდა. რამდენიმე წლის წინ აღდგენილ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახრჩვეს... საქართველო კი მეფისა და პატრიარქის გარეშე წარმოუდგენელია და ამიტომაც ღვთის რისხვად მოვლენილი ბოლშევიკური ხელისუფლება ღვთივკურთხეულ მინა-წყალს როგორც უნდოდა ისე ყიდდა და ასხვისებდა

...საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ დასერილა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, მტერს ბევრჯერ დაუნანილებია მისი კუთხეები, მაგრამ ღმერთის შეწევნით გადარჩენილა განადგურებას, რადგან ღვთივკურთხეული ქართველი მეფეები, ღირსეული ქართველების გვერდში დგომით იბრუნებდნენ დაკარგულს და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. ქართველმა ბოლშევიკებმა კი საქართველოს ძირძველი მინები ძალდატანების გარეშე აჩუქეს საუკუნოვან მტრებს. საქართველოს რევოლუცი-



ური კომიტეტი, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პირველ წლებში უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციებს ასრულებდა, არათუ შეეცადა დაებრუნებინა საქართველოსთვის იმხანად სადავოდ გამხდარი, ძირძველი ჰერეთის კუთვნილი ზაქათალის ტერიტორია, არამედ მან საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგატთა კონფერენციაზე ფაქტობრივად დააკანონა მანამდე დაუკანონებელი საინგილოს მიერთება აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ. აზერბაიჯანის და საქართველოს რევკომის თავმჯდომარეებმა მახარაძემ და ნარიმანოვმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის შინაარსიც ასეთი იყო: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქზე სახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას“. რუსეთის ბოლშევიკმა ქართველობამ არც სომხეთს „დასწყვიტა გული“ და მიაკუთვნა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილი - ლორეს ნეიტრალური ზონის ტერიტორია, ხოლო რუსეთს „უფეშქაშა“ სოჭი, რომელიც ქართველმა გვარდიელებმა ათას ცხრაას თვრამეტ წელს დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად დაიცვეს. ასევე თურქეთს „მიართვეს“ ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი - მაცხელას, ბორჩხას და მაკეიალის ტერიტორიები. აგრეთვე ართვინის და არდაგანის ოლქები.

ყველა ეს ტერიტორიები ქართველი მამულიშვილების მიერ, პირველი მსოფლიო ომის და მის შემდგომ განვითა-



რებული მოვლენების დროს, საკუთარი სიცოცხლის ფასად იქნა დაცული.

ბოლშევიკმა ტერორისტებმა ეს არ იკმარეს და დაიწყეს საქართველოს დანაწევრება ავტონომიებად. საქართველოში ქართველების გარდა, ყველა ეროვნების ხალხის ინტერესებს იცავდნენ. ბოლშევიკების მიერ საქართველოში ავტონომიური ერთეულების შექმნა მიჩნეული იყო ეროვნული საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად, მაგრამ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით ვერ მოხერხდა იმ პრობლემების დაძლევა, რაც ეთნიკური განსხვავებებით იყო ნაკარნახევი და ეს ძალიან ხშირად იჩენდა ხოლმე თავს. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა კი მუდამ ცდილობდა შეენიღბა ის წინააღმდეგობები, რაც წარმოიქმნებოდა ცალკეული ეროვნული ჯგუფების წარმომადგენელთა შორის, გამოეყენებინა პარტიული ზემოქმედების, ადმინისტრირების ზომები და გარეგნულად მაინც შეექმნა ჰარმონიულობის შთაბეჭდილება. სულ მალე საქმისადმი ასეთი მიდგომაც აღარ გახდა საჭირო, რადგან ქვეყანაში წინააღმდეგობის გამწევი ძალა ფიზიკურად აღარ არსებობდა. ამიტომაც ჩამოყალიბდა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამ გადაწყვეტილებამ რეგიონებში გამოიწვია სეპარატისტული მოძრაობები, კერძოდ ახალქალაქსა და სამეგრელოში, რომლებიც ასევე მოითხოვდნენ ავტონომიას. თუმცა ბოლშევიკებმა ეს საკითხი ადვილად მოაგვარეს და ხელის გულზე დაიდეს გაყიდული, დანაწევრებული და ეროვნული სულისგან დაცლილი საქართველო...



III

ბუტირკის ციხეში ქართველმა პატიმრებმა რამდენიმე თვე დაჰყვეს, მერე კი „ეტაპით“ ეკატერინებურგისკენ ანუ ბოლშევიკებისგან „ახლადმონათლული“ სვერდლოვსკისკენ გაამწესეს. იქ რამდენიმე თვე ადგილობრივ ციხეში გამოკეტეს და მალევე გაანაწილეს პატიმრები სხვადასხვა რაიონებში. ბალამა, რამდენიმე ქართველთან ერთად, ჯერ ირბიტში გააგზავნეს, შემდეგ კი ტაბორის რაიონში მდინარე ტავდას ნაპირებთან, საიდანაც მათი გადანაწილება უნდა მომხდარიყო მიმდებარე სოფლებში.

ბადრაგმა პატიმრები ადგილობრივ ჩეკას შენობასთან ჩამოსხეს მანქანიდან და ორმოცდაათგრაღუსიან ყინვაში ბედის ანაბარა მიატოვეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ისინი ვერსად გაიქცეოდნენ, რადგან ან გზაში გაიყინებოდნენ და ან ნადირის მსხვერპლი გახდებოდნენ. დეკემბერია. რუსული ზამთარი თავის „ამპლუაშია“. ირგვლივ გაყინულია ყველაფერი და ამას დაემატა ისიც, რომ ჩეკას უფროსი, ვინმე ულიანოვი არ აღმოჩნდა ადგილზე და პატიმრებს მოცდა ეზოში მოუწიათ. ეზოც არის და ეზოც. ეს იყო ყინულის დიდი მოედანი, სადაც მინის პატარა ნაგლეჯსაც ვერ ნახავდა კაცი, რომ ზედ ფეხით დამდგარიყო და ოდნავ მაინც ეგრძნო მარჩენალი მიწიდან წამოსული სითბო. სუსხიანი ქარი კი ძვალში და რბილში ატანდა. ქართველებს შესცივდათ. ბოლოს, როგორც ყოველთვის, ბალამამ მონახა გამოსავალი და ბიჭებს შეუძახა:



- ძმებო! წარმოიდგინეთ, რომ საქართველოში ვართ და სუფთა ჰაერზე მდინარის პირას ვქეიფობთ! აბა, ქეიფს რა მოუხდებოდა!?

- ცეკვა-თამაში! - იყვირეს ერთხმად ბიჭებმა.

მათ გონებაში წამიერად სამშობლოს თვალწარმტაცმა სილამაზემ გაიბრინა, ყველას თვალები გაუბრწყინდა და ერთხმად შემოსძახეს:

- ცანგალა და გოგონაა... ცანგალა გოგონა...

ბალამა კარგი მოცეკვავე იყო. სოფელში გამართულ დღეობებზე ყველა სულმოუთქმელად ელოდა ხოლმე როდის ჩამოუვლიდა ბალამა თავის საყვარელ ცეკვას - დავლურს. ახლაც გაშალა პატარძეულელმა ვაჟკაცმა ხელები რუსეთის გაყინულ სტეპზე და თავისი გაცვეთილი ჩექმებით დაუარა დავლური. ფეხის გასმა არ გასჭირვებია, რადგან ამას მის მაგივრად რუსული ყინული აკეთებდა. ბალამას ბიჭებიც აჰყვნიან და შეიქმნა ქართული ცეკვა-თამაში მტრის მიწაზე... „ცანგალა და გოგონას“ „გარე კახური საჭიდაო“ მოჰყვა და ყინვამაც დაიხია უკან ღვთისმშობლის მიწიდან ჩამოსული ქართველების წინაშე.

ბიჭები ისე გაერთნენ ცეკვა-თამაშში, რომ ვერ შენიშნეს, როგორ გაჩერდა ჩეკას ეზოსთან მარხილი, საიდანაც წითელარმიელის ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი გადმოხტა, ხელში მაგრად ჩაბლუჯული მაუზერი ზეცისკენ აღმართა, გაისროლა და თან იყვირა:

- ვინ ხართ! რა კონცერტებს მართავთ აქ!?

ტყვიის გასროლის ხმაზე მოცეკვავეები გაჩერდნენ და ყველამ ჭიშკრისკენ გაიხედა. ახლადმოსული წითელარმი-



ელი ეზოში იდგა და ფეხები გაებოტებინა. მაუზერი მარჯვენა ხელში ეჭირა და უყურებდა გაუგებარი წარმოშობის სტუმრებს. ბოლოს, მივიდა მათთან და ცივი, მკაცრი ხმით წარმოთქვა:

- მე ადგილობრივი ჩეკას უფროსი ულიანოვი ვარ! თქვენ ვინ ხართ და საიდან მოხვედით!?

ბალამამ ერთი ნაბიჯი წარსდგა წინ და მოახსენა:

- ჩვენ გადმოსახლებული ქართველები ვართ. აქ დაგვტოვეს და თქვენ გელოდებით.

- ააა! - წამოიძახა ჩეკას უფროსმა და მაუზერი ბუდეში დააბრუნა, - საქმის კურსში ვარ. მე კიდევ სულ სხვა ინფორმაცია მომანოდეს ახლა.

- რა ინფორმაცია? - იკითხა ბალამამ.

- ვილაცები მოვიდნენ ირბიტოდან, ისე დადიან მიწას ფეხს არ აკარებენო! რას აკეთებდით ამისთანას? - კითხვას კითხვითვე უპასუხა ულიანოვმა.

ბალამას გაეცინა და უთხრა:

- შეგვცივდა და ქართული ცეკვით გადავწყვიტეთ გავხურებულებიყავით. არაფერი დაგვიშავებია, უფროსო.

- ეგ როგორ? - გაუკვირდა ულიანოვს, - ქართველები ცეკვის დროს ფრინავთ?

ბალამა მიხვდა, რომ ეს რუსეთის არმიის სალდაფონი საერთოდ აზრზე არ იყო, რა ხდებოდა ქვეყანაზე და ამიტომ მოლედ უპასუხა:

- ხანდახან, უფროსო.

- ჰოდა, მე აქ მფრინავები არ მჭირდება! - იყვირა ჩეკას უფროსმა, - ამიტომაც სოფელ შიშნოში მოგინევთ წასვლა!



სოფელი შიშნო ტაბორიდან შვიდი კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა. ეს იყო ჩვეულებრივი რუსული დასახლება ოროთახიანი ხატებით. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა ადამიანს, რომ აქ ცხოვრება დიდ სიძნელებებთან იქნებოდა დაკავშირებული. თუმცა აღმოჩნდა, რომ აქ მაცხოვრებელი ადამიანები უფრო გათვითცნობიერებულნი იყვნენ თანამედროვე ურთიერთობებში, ვიდრე რაიონული ცენტრის მკვიდრნი. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ისევ ქართველების დამსახურება ყოფილა. ახლაც ბალამას და მის ბიჭებს შიშნოში ადრე გადასახლებული ორი ქართველი დახვდათ - მიშა კურცხალია და გოგია გურალია. ასე რომ, ამ პატარა სოფელში თერთმეტი ქართველი დასახლდა. ბალამა ერთ მარტოხელა მოხუც ქალთან ჩაასახლეს.

რუსული ზამთარი ბალამამ რუსულ ლუმელთან ერთად გადააგორა. მოხუც ქალს, რომელსაც ნადეჟდა ერქვა სახელად, ბალამა ეხმარებოდა საშინაო საქმეებში, მაგრამ ერთფეროვნებამ და სამშობლოს მონატრებამ თავისი გაიტანა და ერთ დროს მოძრავი და ენერგიული ბალამა თავის თავში ჩაიკეტა... დაინყო ომებს შორის ყველაზე უღმობელი ომი - ომი საკუთარ თავთან.



IV

ათას ცხრაას ოცდაშვიდ წელს ტროცკი გაათავისუფლეს ყველა თანამდებობიდან და გაგზავნილი იქნა გადასახლებაში. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ბოლშევიკურ პარტიაში ცალკეულ ფრაქციათა შორის დაპირისპირებაში გამარჯვება სტალინის დაჯგუფებამ მოიპოვა. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო, მიუხედავად მათი ლოზუნგებისა, რომელიც მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს აშენებას წინასწარმეტყველებდა, ვერ ასცდა მეფის რუსეთისგან მემკვიდრეობით მიღებულ იმპერიულ მმართველობას და კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება მშვიდობიანი ან სამხედრო ჩარევის გარეშე კრემლის ლიდერების დაუფარავ სურვილად იქცა. ახალი პოლიტიკური სიტუაცია ანუ სტალინის ერთპიროვნული მმართველობა მოითხოვდა ახალ კადრებს, ენერგიულ პიროვნებებს, რომლებიც შეძლებდნენ სტალინის მიზანდასახულობის ოპტიმალურ რეალიზაციას.

ქვეყნის მასშტაბით კოლექტივიზაციის დაწყებამ ვითარება დაძაბა თითქმის ყველა რეგიონში. გამონაკლისი არც საქართველო იყო. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესის ფორსირებამ, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პროცესმა, წრეგადასულმა რეპრესიებმა ხელი შეუწყო მოსახლეობის მიგრაციის სურვილს. მაგალითად - სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ადამიანების გარკვეული ნაწილი მოითხოვდა თურქეთში გადასახლებას, ხოლო აფხაზეთში მცხოვრებ ბერძნებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ.



სტალინის საკადრო ცვლილებებმა გაამართლა. საქართველოს ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ დამოკიდებულება შეცვალა რესპუბლიკაში მცხოვრები ნაციონალური უმცირესობების მიმართ. რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში წარმოებული ეროვნებათაშორისი პოლიტიკისგან განსხვავებით, როდესაც ცდილობდნენ საქართველოში მცხოვრები უამრავი ეთნიკური ჯგუფებისთვის „სასათბურე“ პირობები შეექმნათ, ხშირ შემთხვევაში, მკვიდრი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების ხარჯზე, ახალმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ბაზაზე რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნული წარმომადგენლებისთვის სოციალური ყოფის მონესრიგება: ხელფასების გაზრდა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოგვარება, განათლების სისტემის განვითარება - განმტკიცება და მზარდი კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სტალინი საქართველოს ბოლშევიკური პარტიის კომიტეტის პირველ მდივნად ამზადებდა ლავრენტი ბერიას, რომელიც კრემლის ერთ-ერთი დასაყრდენი იყო ამიერკავკასიაში. თავის მხრივ, ბერიაც აქტიურობდა. მან ქვეყნის მასშტაბით გაშალა პარტიული საქმიანობა. განსაკუთრებით გააძლიერა ადგილობრივი უშიშროების სამსახურები და შექმნა დამსმენთა დიდი არმია, რომელნიც მცირე გასამრჯელოს სანაცვლოდაც კი ერთგული ძალებივით ემსახურებოდნენ საკუთარ პატრონს. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც გარე კახეთის სოფლების მაცხოვრებლები



იყვნენ. ზოგისთვის ჩეკას ფარულ აგენტად მუშაობა შინაგანი მონოდება იყო, ხოლო ზოგისთვის - გაჭირვება. შიმშილი აიძულებდა გლახკაცს დაესმინა თავისი თანასოფელი, მეზობელი, ნათესავი, ზოგჯერ მოგონილი ბრალდებითაც კი, ოღონდ ლუკმაპური ეშოვა. ხალხისადმი ასეთმა უსამართლო მიდგომამ ბევრი წესიერი ადამიანი იმსხვერპლა, ბევრს გადასახლებაში ამოხადა სული... დაინგრა ოჯახები... გაპარტახდა მამული...

ერთ-ერთი სოფელი, სადაც დასმენის ინსტიტუტმა „ფენი ვერ მოიკიდა“ პატარძელი იყო. აქ ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის აჯანყებას ბევრი ადამიანი ემსხვერპლა. რეპრესიები ახლაც გრძელდებოდა, მაგრამ გამირთა სავანე - პატარძელი ვერავინ და ვერაფერმა დააჩოქა. კოლექტივიზაციის რეფორმის ნამონყებამ პატარძელელებში დიდი გულისწყრომა გამოიწვია. არავის სურდა კოლექტივში გაერთიანება და ამიტომაც ხალხში ახალი საპროტესტო ტალღა აგორდა, რომელიც მალე აჯანყებაში გადაიზრდებოდა. ჩეკას აგენტურამ სწრაფად იმუშავა და პატრონს აჯანყების მოთავეთა სახელები აცნობა. თავის მხრივ ბერიამ ისინი თბილისში დაიბარა. პატარძელელების პასუხი ასეთი იყო: „თვითონ ჩამოვიდეს!“

ბერიამ უსაფრთხოების მიზნით, თითქმის ალყაში მოაქცია პატარძელი. ხალხის შესაშინებლად გორაზე ზარბაზანიც კი დააყენებინა და მერე ჩავიდა სოფელში. შეხვედრა დაგეგმილი იყო სოფლის საბჭოს შენობაში. ბერიას საბჭოს ეზოში და მის შემოგარენში თითქმის მთელი სოფელი დახ-



ვდა. იგი მიესალმა ხალხს და მოსალაპარაკებლად შენობაში შესვლა შესთავაზა. საპასუხოდა კი ხალხში აქა-იქ გაისმა:

- რიყეზე გავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ!... რიყეზე!...

- რატომ!? - შეიცხადა ლავრენტიმ, - შენობაში არ სჯობს!?

- ეგ შენთვისა სჯობს! - იყვირეს ხალხში, - ჩვენ რიყეზე გვინდა!

ბერიამ შეხედა სოფელში საბჭოეთის წარმომადგენელს და ჰკითხა:

- რა ხდება!? რიყეზე რა გვინდა!?

- არავითარ შემთხვევაში, ლავრენტი პავლოვიჩი, - უპასუხა მასპინძელმა ბოლშევიკმა, - რიყეზე იმიტომ უნდათ შეკრების გამართვა, რომ იქ ქვეები ბლომად ყრია და, ამათი ამბავი რომ ვიცი, სროლას დაიწყებენ და ამიტომ უსაფრთხოების მიზნით აქ, ეზოში დაელაპარაკეთ ხალხს.

სხვა რა გზა ჰქონდა ბერიას. ისაუბრა კოლექტივების შექმნის სიკეთეზე, ხალხის მომავალ კეთილდღეობაზე და საბჭოეთის დიად მიზნებზე. ხალხი უსმენდა, რამაც ლავრენტი წაახალისა და უფრო და უფრო მეტ ლოზუნგებს იშველიებდა კოლექტივიზაციის სიკეთეზე ხალხის დასარწმუნებლად...

ნელ-ნელა ეზოში ხალხმა ჩოჩქოლი დაიწყო და უცებ ვილაცამ წამოიძახა:

- არ გვინდა კოლექტივი! ...

- არ გვინდა!... გაისმა სხვა მხრიდან და ასე აჰყვნენ პატარძეულელები ერთმანეთს, თან აქეთ-იქით მოძრაობა დაიწყეს.



ხალხის დასაშინებლად ჯარისკაცებმა გორაზე მდგარი ზარბაზნიდანაც რამდენჯერმე გაისროლეს, მაგრამ უშედეგოდ... ხალხი უფრო აირ-დაირია. ბერიამ იფიქრა: „ამათ აქაც ექნებათ ქვები დაგროვილიო“ და დაცვის თანხლებით სასწრაფოდ გაეცალა სოფელს.

V

სოფელ შიმნოში, როგორც იქნა, დადგა გაზაფხული. წელიწადის ამ დროს ყველგან და ყოველთვის სიხალისე მოაქვს და ადამიანების გულს სიხარულით და მომავლის იმედით ავსებს. გაზაფხულზე თითქოს ახლიდან იბადება ადამიანი, სულ სხვა მხრიდან უყურებს ცხოვრებას და ემოციებიც განსხვავებული აქვს. არც ბალამა იყო გამონაკლისი. მცივანა ქართველი, როგორც იქნა, ჩამოვიდა რუსულ ღუმელზე გაშლილი ლოგინიდან, გამოვიდა გარეთ და გამოლვიძებული ბუნების სილამაზით ტკბებოდა. დეიდა ნადია, ვისთანაც ბალამა იყო ჩასახლებული, სოფლის მალაზიიდან დაბრუნდა და სახლის წინ მდგარ ბალამას შორიდან დაუძახა:

- იოსებ, რაიონიდან ჩამოვიდნენ, კიდეც რამდენიმე თქვენებური ჩამოიყვანეს და მილიციონერი შენც გიბარებს, გამოცხადდესო!

რომ არა ცნობისმოყვარეობა, ბალამა მილიციონერთან არ წავიდოდა. პროტესტის ნიშნად ეს არაერთხელ გაუკეთებია, მაგრამ ახლა დაინტერესდა ახალჩამოსულებით და



მალევე გასწია სოფლის ცენტრისკენ. ბალამას დანახვაზე უბნის ინსპექტორმა ყველას გასაგონად ირონიულად წამოიძახა:

- გამოჩნდა მისი უდიდებულესობა! დღეს გადავრჩი მასთან სახლში მონახულებისაგან. რას მივანეროთ შენი მობრძანება, ამხანაგო მაისურაძე!?

- ვალოდია ხარ თუ ამხანაგი სერჟანტი, - მიუგო ხალხში ყინჩად მდგარ მილიციონერს ბალამამ, - შენს ცინიკურ გამოთქმებს კარგად დაუკვირდი, თორემ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს საქართველოდან შიშნოში ვიქნები გადმოსახლებული თუ მაგადანში.

- მაგით რა გინდა თქვა, მაისურაძე!? - იუკადრისა ვალოდია მილიციონერმა ბალამას სიტყვები, - შენ მადლობა უთხარი საბჭოთა მთავრობას, რომ დღეს ცოცხალი ხარ და ჯოჯოხეთის ცეცხლში არ იწვები! და თუ ასე გააგრძელებ დაუმორჩილებლობას, კიდევ ერთხელ დავწერ რაიონის ჩეკაში შენზე პატაკს და მერე აღარაფერი გიმველის!

- აკი ჯოჯოხეთი და სამოთხე არ არსებობსო? - გაეცინა ბალამას, - ასე არ ამბობთ ბოლშევიკები? შენ სად ნახე ჯოჯოხეთი, მე რომ მეპატიჟები? წერე და იკითხე, რამდენიც გინდა, შენ მაინც დასმენის მეტი არაფერი იცი!

სოფლის ცენტრში შეკრებილმა ქართველებმა ბალამას ხელი მოჰკიდეს და დასამშვიდებლად გვერდზე გაიყვანეს. ეს პირველი შემთხვევა არ იყო მისი მილიციონერებთან დაპირისპირებისა. ბიჭებმა ინციდენტი განმუხტეს და მერე ბალამას გადასახლებაში ახლადგადმოყვანილი ქართველები გააცნეს.



რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭებმა გადაწყვიტეს, სოფლის სიახლოვეს წასულიყვნენ სასეირნოდ. მზიანი დღე იყო და ახლად აბიზინებულ ბალახს მთელი არემარე მწვანე ფერებში მოერთო. ბიჭები მდელოზე წამოგორდნენ და ქართველებისთვის დამახასიათებელი ნოსტალგიით სამშობლო მხარეს იხსენებდნენ. ბალამა კი იწვა ბალახზე, თავით მარჯვენა ხელზე იყო დაყრდნობილი და იქვე მოჩქრიალე ღელეს დასცქეროდა. კალაპოტში მდორედ მიმავალი წყალი იქვე მდებარე ხევში ვარდებოდა და პატარა ჩანჩქერს ქმნიდა. ბალამას ივრის ხევ-ხუვები გაახსენდა, ბავშვობისდრინდელმა მოგონებებმა ამ ღელეს წყალივით გაიქროლა მის თვალწინ. გაახსენდა, როგორ ხელობდნენ ბავშვები იორში, როგორ იჭერდნენ ქვების ქვეშ დამალულ მურნებსა და ღორჯოებს. რამდენჯერ შეუცვლიათ წისქვილისკენ მიმავალი წყლის კალაპოტი, რათა დამშრალ წყალში ხელობით თევზის ჭერა გაადვილებოდათ...

...უცებ, ბალამამ ფიქრით იორზე სიარული შეწყვიტა და ისევ შიშნოს ღელეს მიაპყრო მზერა. მერე მდელოზე გაფანტულ ბიჭებს დაუძახა და აღტაცებულმა წარმოთქვა:

- ძმებო! კარგი აზრი მომივიდა თავში. მე წისქვილის მუშაობისა არა გამეგება რა, მაგრამ ერთი კი ვიცი, რომ აქ კარგი პატარა წისქვილის გამართვა შეიძლება. ბოლო-ბოლო ხალხს ხორბალს დავუფქვავთ, პური მაინც გვექნება საარსებოდ და მთავრობის ხელის შემყურენი აღარ ვიქნებით. აქ იმდენი წყალი გროვდება, რომ ერთი პატარა წისქვილის თვალს თავისუფლად დააბრუნებს. აბა, რას იტყვით, ძმებო?



ბიჭებმა დაათვალიერეს ბალამას მითითებული ადგილი, მერე ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს.

- ნუ ნერვიულობთ, ნისქვილის მართვა მე ვიცი, - თქვა ვანო ცინცაძემ, - სახლში გვაქვს ჩვენ პატარა ნისქვილი და ძირითადად მე ვმუშაობდი იქ. აწყობაც ვიცი. ასე რომ, შევუდგეთ საქმეს.

- ნისქვილის ქვას და სხვა საჭირო მოწყობილობას სად ვიშოვით? - ჰკითხა ბალამამ.

- მგონი, ჩემი სახლის პატრონს აქვს რაღაც კავშირები ტურინსკთან და ვკითხავ, იქნებ დაგვეხმაროს. - მიუგო ვანომ.

მართლაც, ვანოს სახლის პატრონმა, ტყეში მასალის დამზადების სანაცვლოდ, ხელი გაუმართა ბიჭებს და თავისი საჭაპანო ტრანსპორტით ტურინსკიდან ნისქვილის ქვა და მოწყობილობა ჩამოუტანა. მანამდე ბიჭებმა ტყეში, ნისქვილისთვის საჭირო მასალისთვის, ხეები მოჭრეს, ორ მეტრამდე მყარი ღობე გაუკეთეს ნისქვილის ჯიხურს, მინით ამოავსეს, მოწყობილობა გამართეს, ვანოს ჩააბარეს და ნისქვილმაც მუშაობა დაიწყო. ბალამამ ნისქვილის ჯიხურის კარის თავზე დამაგრებულ ფიცარზე დააწერა: „ყველა ქართველს, ჩვენს შემდეგ ვინც მოხვდება გადასახლებაში, შეუძლია ისარგებლოს ამ ნისქვილით“.

ბიჭები ღამე რიგრიგობით მორიგეობდნენ ხოლმე ნისქვილში. ერთ საღამოს, როდესაც ბალამას მოუწია მორიგეობა, შებინდებისას სოფლელი პროხორე ხმელინი მივიდა ნისქვილში თავის ქალიშვილთან ერთად და დასაფქვავად ხორბალი მიიტანა. სოფლელები ქართველებს ენდობოდ-



ნენ, იცოდნენ, რომ ისინი მათ ხორბალს არ მოიპარავდნენ და ამიტომ უტოვებდნენ მორიგე მეწისქვილეს და თვითონ მეორე დღეს მიდიოდნენ ხოლმე ფქვილის წასაღებად. ერთადერთი ხმელინი იყო, რომელიც არც თავის სოფლელებს ენდობოდა და მით უმეტეს - ჩასახლებულ ქართველებს. პროხორე მიესალმა ბალამას და უთხრა:

- იოსებ, საფქვავს დაგიტოვებ, ნადიუშაც აქ დარჩება, მე კი უნდა წავიდე, ძროხები არ დაბრუნებულან მინდვრიდან და უნდა მოვქებნო. სანამ დავაბინავებ, მანამ ხორბალიც დაიფქვება და მოვალ წასაღებად.

ბალამამ თავი დაუქნია და უთხრა:

- ყველაფერს მე გავაკეთებ, ნადიუშა სახლში გაუშვი, რატომ უნდა აწვალო. წავიდეს, დაისვენოს.

- არა, ქართველო! - შეიცხადა პროხორემ, - თქვენ სანდო ხალხი არა ხართ. საიდან ვიცი, რომ ფქვილს არ მომპარავ? აი, ნადიუშასთან ამას ვერ გაბედავ. ასე რომ, პროხორემ იცის, რასაც აკეთებს.

ხმელინმა ქუდი დაიხურა, მედიდურად გადახედა ხორბლით სავსე ტომრებზე წამონოლილ ბალამას და გამარჯვებული კაცის იერით დატოვა წისქვილი.

ბალამამ ხმელინის ხორბალი ჩაყარა საფქვავში, ღარი გაასწორა და აამუშავა წისქვილი. მერე ისევ წამონვა ხორბლით სავსე ტომრებზე და იქვე ხის სკამზე მჯდარ ნადიუშას შეხედა. გოგონა ოცი-ოცდაერთი წლის იქნებოდა ალბათ, თოვლივით თეთრ შუბლზე გადატკეცილი ქერა თმა მსხვილი და ლამაზი ნწულით მთავრდებოდა წელს ქვევით. გოგო-



ნა მორცხვად იჯდა და თავის ბრიალა ცისფერი თვალებით ნისქვილის ჯიხურის ხის კედელს შესცქეროდა. ბალამას გაეცინა და ჰკითხა ნადიუმას:

- ნადია, რას უყურებ მაგ კედელზე?

- არაფერს. - სხარტად უპასუხა ნადიუმამ, თან წამიერად შეხედა ბალამას და თვალები ისევ კედლისკენ შეატრიალა.

- თუ არაფერს უყურებ, - გაეცინა ბალამას, - მაშინ აქეთ მაინც გამოიხედე, ცოტა დავილაპარაკოთ, ასე მუნჯებით ხომ არ ვისხდებით.

- მამამ ქართველებთან ლაპარაკი ამიკრძალა,- თქვა ნადიუმამ ისე, რომ ბალამასკენ აღარ გამოუხედავს, - ისინი ცუდი ხალხიაო.

- მერე, შენც ასე ფიქრობ? - ჩაეძია ბალამა.

- მე... მე... არა, - დაიბნა ნადიუმა და თავისი ბრიალა ცისფერი თვალებით ბალამას შეხედა, - ჩვენი ქალები ამბობენ, რომ თქვენ მათ კარგად და თბილად ეპყრობით და ჩვენი კაცებით ცივები და ლოთები არა ხართ.

- ქალს აუცილებლად სჭირდება მოფერება და მოვლაპატრონობა, - მიუგო ბალამამ, - ის ხომ ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია. მის გარეშე კაცის ცხოვრება არაფერია.

- ჩვენმა კაცებმა ეს არ იციან, - თქვა ათრთოლებულმა ნადიუმამ, - მაგათ ქალზე ძალიან არაყი უყვართ... მათ აღერსი არ იციან...

ბალამა წამოდგა, მიუახლოვდა ნადიუმას, წამოაყენა, აცრემლებული თვალები დაუკოცნა... მამაკაცის სითბოს მონატრებული ქალი მთელი სხეულით მიეკრა ბალამას და ვნების მორევში ჩაიძირა...



...ქართველების ნისქევილი კი შიშნოში ფქვავდა და ფქვავდა...

VI

სტალინმა საბჭოთა ქვეყანა ჩაკეტა. ასე რომ, ვინც საზღვარგარეთ გაქცევა მოასწრო, სამშვიდობოს გავიდა, ხოლო ვინც საბჭოეთში დარჩა, წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა ეცხოვრა. გამოფენილი ლოზუნგების მიხედვით თუ იმსჯელებდა ადამიანი, ყველაფერი კარგად მიდიოდა, ყვარდა ქვეყანა და საბჭოთა მოქალაქეს ყველაფერი გააჩნდა. უფრო მეტიც, გამოჩნდა ასეთი ლოზუნგიც: „საბჭოთა ავადმყოფი მსოფლიოში ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფია“. სინამდვილეში შიმშილისა და გაჭირვების მორევში იყო ჩაფლული ყველაფერი. ვინც ხმას ამოიღებდა მაშინვე კედელთან აყენებდნენ დასახვრეტად, უკეთეს შემთხვევაში - გადაასახლებდნენ. იქიდან კი ან დაბრუნდებოდა უკან ან არა. პრესაში, რომელიც ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდა, უამრავი ტყუილი ინერებოდა საბჭოთა ადამიანების წარმატებების შესახებ. ეს პირველ რიგში ყოფილი კერძო მესაკუთრეების გასაგონად კეთდებოდა, რათა მათთვის დაენახვებინათ სახალხო წყობილების უპირატესობა, რომ მუშათა და გლეხთა ქვეყნის შექმნა არ ყოფილა უტოპია და ის რეალურ ნაბიჯებს დგამდა ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის, რომელსაც ქვეყანაზე ჩამო-



ფარებული „რკინის ფარდის“ გამო არ შეეძლო დაენახა თუ რა ხდებოდა საზღვრებს გარეთ. მთავრობის დადგენილებით ფართო გზა გაეხსნა კულტურის სხვადასხვა სფეროს - ინერებოდა წიგნები ხალხის შრომით გმირობაზე, სადაც თუ ერთი პერსონაჟი ნამდვილად არსებობდა და აღწევდა წარმატებას, ათი გამოგონილი გახლდათ. ხშირად ხდებოდა ცნობილი მსახიობების მონაწილეობით კონცერტების გამართვა კოლმეურნეობებში და ქარხნებში, რათა დაერწმუნებინათ მშრომელები, რომ ქვეყანაში ბედნიერება სუფევდა და მომავალში უფრო წარმატებული და ბედნიერი იქნებოდა საბჭოთა ადამიანი. სინამდვილეში საბჭოეთი იყო დიდი ციხე და მისი ზედამხედველი გახლდათ სიკვდილი. ციხეები და გულაგები კი ამ სახელმწიფოში ისე გამოიყურებოდა, როგორც ტარტაროზი ჯოჯოხეთში.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ოციანი წლების ბოლოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების თავკაცებმა გამოაცხადეს, რომ მათ უმუშევრობა ნულამდე დაიყვანეს. ხოლო ლავრენტი ბერიას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევამ რეგიონში სიმშვიდე და შიში დანერგა. მან დაუფარავად მიანიშნა თავის პოლიტიკურ მონინალმდეგეებს, რომ ვერ მოითმენს მათ მცდელობას შექმნან „ნაპრალეები პარტიაში... დაჯგუფებები და ატამანები“. ეს სიტყვები წინასწარი განაცხადი იყო, მისი შემდგომში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველკაცად დანიშვნის თაობაზე.

სტალინმა გრანდიოზული გეგმები დაუსახა პარტიულ ფუნქციონერებს. ის აცხადებდა: „ჩვენ ორმოცდაათი-ასი



ნლით ჩამოვრჩით მონინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავიზინოთ. ან შევასრულებთ ამას ან გაგვსრესენ!... და თუ გვინდა თავისუფლება, ნამდვილი თავისუფლება არის მხოლოდ იქ, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია; სადაც არ არის ადამიანების მიერ ადამიანთა ჩაგვრა; სადაც არ არის უმუშევრობა და მათხოვრობა; სადაც ადამიანი არ კანკალებს შიშით, რომ ხვალ დაჰკარგავს სამსახურს, საცხოვრებელს თუ ლუკმაპურს...”

ქვეყანაში გამოცხადდა საყოველთაო შრომითი მობილიზაცია. საქართველოში ამ მოვლენამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. სოფლებში დარჩენილნი იყვნენ ადამიანები, რომლებიც კოლექტივიზაციის წინააღმდეგნი იყვნენ, ამიტომ დაინყო რეპრესიების ახალი ტალღა, რასაც მოჰყვა უამრავი ადამიანის გადასახლება საბჭოეთის შორეულ რეგიონებში.

ქვეყანა ეკონომიკურად დიდ გაჭირვებას განიცდიდა. მისი ამ ქაობიდან გამოყვანა მხოლოდ მტკიცე და ურყევ ადამიანს შეეძლო. და ეს პიროვნება სტალინი გახლდათ, რომელმაც ახალი ქვეყნის აშენების საკუთარი პროექტი შექმნა, რომლის რეალიზაციასაც სჭირდებოდა განსაკუთრებული ძალისხმევა, რომელიც გორელ ვაჟკაცს ჯერ კიდევ სიყმანვილეში ღმერთისგან ჰქონდა ბოძებული.



VII

რეპრესიები კვლავ შეეხო მათსურაძეების ოჯახს. ბალამას ძმა მიხა მათსურაძეც გადაასახლეს საქართველოდან. მიზეზი ის იყო, რომ იგი იბრძოდა ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში დამოუკიდებელი საქართველოს მტრების წინააღმდეგ და რატომღაც ბოლშევიკების ხელისუფლებამ ის ქვეყნისთვის საშიშ პიროვნებად მიიჩნია და ჩიმკენტში გადაასახლა. კიდევ ერთი სახლი დაიკეტა პატარძულში. ბოლშევიკების ხელისუფლებამ ეროვნული საქმის შემოქმედი ადამიანები სასიკვდილოდ განირა.

უჭირდა ქვეყანას და გადასახლებულ ადამიანებს კი უფრო მეტად. ბალამას და შიშნოში ჩასახლებულ ქართველებს ძალიან გაუჭირდათ. წისქვილიც ველარ მუშაობდა, რადგან ხალხში ხორბალიც აღარ იყო და თუ ვინმეს გააჩნდა, სახლში ფქვავდა ხელის კუსტარული წისქვილით. ვისაც ეს მონყობილობაც არ გააჩნდა, ხარშავდა და ისე მიირთმევდა ხორბალს. ხალხი, დაყაჩაღების შიშით, არ აჩენდა სანოვაგეს.

გაჭირვების უამს, ოლქის ჩეკას უფროსი ჩავიდა ტაბორში და ყველა გადასახლებული, რომელიც ამ რაიონის სოფლებში ცხოვრობდნენ დაიბარა რაიონის ჩეკაში. ეს ჩვეულებრივი გეგმიური შემონმება იყო. აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ ისინი. ბალამაც გამოიძახეს. კაბინეტში ორნი ისხდნენ - ოლქის ჩეკას უფროსი დუდინი და ტაბორის რაიონის ჩეკას უფროსი ულიანოვი.



- მაისურაძე, თქვენმა ბიჭებმა მითხრეს, რომ შიშნოში თქვენი ცხოვრების შესახებ შენ მოგვანვდი ინფორმაციას და ამიტომ სხვები აღარ დავკითხეთ. აბა, რას გვეტყვი, იოსებ!? - ჰკითხა დუდინმა.

ბალამამ მხრები აიჩეჩა და უპასუხა:

- ვცხოვრობთ, როგორც შეგვიძლია. მადლობა უფალს, რომ სოფელში კარგი ხალხი ცხოვრობს და ურთიერთობა არ გვიჭირს.

- მადლობა უფალს კი არა! - შეიცხადა დუდინმა, - ამხანაგ სტალინს, რომ წყალობა გაიღო და ცოცხლები ხართ! ღმერთი კი, რომ არ არსებობს ეს უნდა იცოდეთ ყველამ, ძველი ცხოვრება წარსულს ჩაბარდა და ის აღარ დაბრუნდება თავის ღმერთიანად და მღვდლებიანად! საქმეზე ვილაპარაკოთ, ჩვენ ბევრი დრო არ გვაქვს.

- საქმეზე, მოქალაქე უფროსო... - დაიწყო ბალამამ, მაგრამ დუდინმა შეანწყვეტინა.

- ამხანაგო მაიორო! - მკაცრად წარმოთქვა დუდინმა თავისი ტიტული.

ბალამამ ყურადღება არ მიაქცია დუდინის შენიშვნას და განაგრძო:

- ჰო!... საქმეზე აი, ამ ბატონს ველაპარაკე... ულიანოვს...

- ამხანაგ ულიანოვს! - შეუსწორა დუდინმა.

- ჰო!... - გააგრძელა საუბარი ბალამამ, - ...სოფელ შიშნოსთან კუზნეცოვოს უბანში ტყის დამზადება წარმოებს, იქ გვინდა ბიჭებს, რომ მუშაობა დავიწყოთ, ცოტა ფულს ვიშოვით, თორემ აქ გამოზამთრება გაგვიჭირდება.



- მერე! იმუშავეთ, ვინ გიშლით!? - წამოიძახა დუდინმა და გადაიხარხარა, - დამნაშავეები მუშაობას არ კადრულობენ, თქვენ კი პირიქით სამუშაოს ითხოვთ და ვინ დაგიშალათ!?

ბალამამ ულიანოვს შეხედა. ამ უკანასკნელმა თვალი აარიდა ბალამას.

- ჰო! აბა, რაო!? - იკითხა დუდინმა.

- არ გვიშვებს, - თქვა ბალამამ და ულიანოვისკენ გაიხედა.

- ამხანაგო ულიანოვ! მართალია, რასაც ამბობს მსჯავრდებული მაისურაძე!?

- დიახ, ამხანაგო მაიორო! - დაადასტურა ულიანოვმა, - სად ვდიოთ ამათ ტყეში.

- ოოო! ასე არ შეიძლება, ამხანაგო ულიანოვ! - გაუწყრა დუდინი თავის ქვეშევრდომს, - ჩვენ ქალაქებსა და სოფლებში დავეძებთ მუშახელს ტყეში სამუშაოდ და თქვენ აქვე გყავთ კუნთმაგარი ბიჭები და არ იყენებთ ამ ძალას. მე როგორც ინფორმირებული ვარ ადგილობრივი მოსახლეობისგან, წესიერი ადამიანები არიან ესენი. ამიტომ მივცეთ სამუშაო, ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება და მათთვისაც.

- როგორც მიბრძანებთ, ამხანაგო მაიორო! - წარმოთქვა ულიანოვმა, ადგა ფეხზე, შუბლზე მარჯვენა ხელის გაშლილი მტევნის მიდებით მხედრული პატივი მიაგო დუდინს და ჰკითხა:

- ამხანაგო მაიორო! შემოვიყვანო შემდეგი?...

ბიჭებმა დაიწყეს მუშაობა კუზნეცოვოს ხე-ტყის ბაზაზე. გაიუმჯობესეს ცხოვრების პირობები და სოფლელებსაც ეხ-



მარებოდნენ. ბალამას და ნადიუშას ფარული რომანი კვლავ გრძელდებოდა. ასე რომ, ბალამას სამშობლოს მონატრე-ბასთან ერთად ერთი სადარდეელიც ჰქონდა, როგორ დახ-მარებოდა ჩიმკენტში გადასახლებულ თავის ძმას. გადასახ-ლების სამწლიანი ვადა რამდენიმე თვეში მთავრდებოდა და ბალამამ გადაწყვიტა წასულიყო ძმასთან სანახავად.

ერთი თვის შემდეგ ვალოდია მილიციონერმა მიაკითხა ბალამას ბაზაზე. მისი გამოჩენა არ მოსწონდა ხოლმე ბალა-მას, რადგან ყოველთვის ცუდი ამბები მოჰქონდა. ამას დაე-მატა ისიც, რომ ვალოდია ნადიუშას აკითხავდა სახლში და მისი ცოლად მოყვანა უნდოდა.

- მაისურაძე! - მისვლისთანავე დაიძახა ვალოდია მილი-ციონერმა და ცინიზმით სავსე თვალებით შეხედა ბალამას, - ორი ამბავი მაქვს შენთვის, ერთი კარგი და ერთი ცუდი. რომლით დავინყო!?

- წადი შენი! - ჩაიბურღლუნა ბალამამ და ვალოდიას ზურგი შეაქცია.

- რა გინდა, ვალოდია? - უთხრეს ბიჭებმა, - ამოღერლე!

- ბრძანება მოვიდა მაისურაძეზე! - ხმამალლა თქვა ვა-ლოდიამ, ისე, რომ ბალამასაც გაეგონა მისი ნათქვამი, - ერთ კვირაში გადასახლების ვადა უმთავრდება, მაგრამ...

ბალამა შეჩერდა, ზურგს უკან გაიხედა და წარბებშეკ-რულმა ჰკითხა ვალოდიას:

- მაგრამ რა!?

- მაგრამ ის, რომ სამი წელი კიდევ დაგემატა, იმ შელავა-თით, რომ სადაც გინდა იქ შეგიძლია წახვიდე! - გამოსცრა რკინის კბილებიდან მილიციონერმა, შებრუნდა და წავიდა.



ბალამა მეორე დღეს ირბიტში გაემგზავრა. კომენდატურაში მორიგემ ლიტერის გაცემაზე ცივად უპასუხა:

- მოსკოვის ახალი განკარგულებით, ლიტერებს აღარ ვიდლევით!

- აბა, გადასახლებაში ჩემი ფულით ვიარო!? - იკითხა გაცებულმა ბალამამ.

- არ ვიცი! ადი უფროსთან და იმას ელაპარაკე.

დუდინი ბალამას კარგ ხასიათზე შეხვდა. მიულოცა გადასახლების დასრულება და გამოჰკითხა შიშნოს ამბები, მერე კი საქმეზე გადავიდა:

- სოხუმში გაგიშვებდი გადასახლებაში, მაგრამ სოხუმი იგივე საქართველოა და კანონით არ შეიძლება. მოდი ქერჩში გაგიშვებ. თქვენებიც იქ წავიდნენ და ერთად იქნებით.

- წავალ, მაგრამ ლიტერი?

- ოცდახუთდღიანს მოგცემ და გეყოფა. - უთხრა დუდინმა და ხელი ჩამოართვა ბალამას, რაც მათი წესით დამშვიდობებას ნიშნავდა.

შიშნოში დაბრუნებულმა ბალამამ პირველ რიგში ნადიუშა მოინახულა და ყველაფერი აუხსნა:

- შენი მიტოვება არ მინდა, ნადიუშა. მეგონა, საბოლოოდ გამანთავისუფლებდნენ, მაგრამ სამი წელი კიდევ დამიმატეს...

- მე დაგელოდები, იოსებ... - ატირდა ნადიუშა... - ძალიან მიყვარხარ და მინდა, რომ შენგან შვილი მყავდეს...

- მეც მიყვარხარ, ძვირფასო, - მიუგო ბალამამ, - მაგრამ ხომ ხედავ, ბენვის ხიდზე დავდივარ. გადასახლების შემდეგ



საქართველოში რა ბედი მეწევა არ ვიცი. არ მინდა, რომ მარტო დარჩე და გაუბედურდე. აქ კი ნამდვილად ვერ დავრჩები. მე სამშობლოს გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

- გუშინ ვალოდია მილიციონერი იყო ჩვენთან მოსული, - თქვა აცრემლებულმა ნადიუშამ, - მამაჩემს ჩემი ხელი სთხოვა, როგორც ჩანს, წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, ჩემთვის არც უკითხავთ, ისე გადანყვიტეს ჩემი გათხოვება. როგორ მოვიტყე არ ვიცი... არადა რამდენიმე კვირის ფეხმძიმე ვარ... მინდა, რომ შვილი შენგან მყავდეს...

ნადიუშას უკანასკნელმა სიტყვებმა ბალამა ააღელვა... საყვარელი ქალი მუცლით მის შვილს ატარებდა... ასეთი განსაკუთრებული გრძნობა არასდროს განუცდია ბალამას. არ იცოდა, რა ეპასუხა ქალისთვის, რომელიც მართლა უყვარდა და რომ არა მისი ასეთი გაუკუღმართებული ყოფა, ნამდვილად მოიყვანდა ცოლად. ბოლოს სძლია თავის თავს, მოეფერა ნადიუშას და უთხრა:

- ძალიან მიჭირს ამის თქმა, ძვირფასო, მაგრამ სჯობს გათხოვდე, სანამ მუცელი შეგეტყობა. ბავშვი გააჩინე და ყოველთვის გეცოდილება, რომ მე შენს გვერდით ვარ.

ნადიუშამ ხელები მოხვია ბალამას, მკერდზე დაადო თავი და აქვითინდა. მერე უცებ მოწყდა ადგილიდან და გაიქცა სახლისკენ.

ბალამამ ხელის მტევანი დაიდო ნადიუშას ცრემლებით დასველებულ მკერდზე, მერე თვალებზე მოისვა, იქვე ჩაიმუხლა და თავისი ცრემლიც შეურია მას...

რამდენიმე დღის შემდეგ ორთქმავალი მიჰქროდა რუსეთის თვალუნვდენელ სტეპებზე და თან მიჰყავდა ცხოვრე-





ბისაგან განამებული ერთი რიგითი ქართველი, რომელიც მხოლოდ იმისთვის ისჯებოდა, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უყვარდა თავისი სამშობლო და ხალხი.

VIII

ათას ცხრაას ოცდაათი წლის ოცდაშვიდ ივლისს საფრანგეთში გარდაიცვალა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ამით ფაქტობრივად დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, რადგან ჟორდანიას და მისი მენშევიკური ბანდა გართული იყო მხოლოდ საქართველოდან წაღებული საუკუნოვანი საგანძურის განთავსებით და საერთოდ აღარ ფიქრობდა, ებრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის. ქაქუცას გარდაცვალება მათთვის შვება იყო. ერთადერთი ქაქუცა და მისი შეფიცულები იყვნენ, რომლებიც მოსვენებას უკარგავდნენ ჟორდანიას მთავრობას და სხვადასხვანაირად აპროტესტებდნენ მათ მუქთახორობას.

ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. შეფიცულები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, ცხენებზე ამხედრებულნი მიადგნენ თურქეთის საზღვარს. ბედის ირონიით, ადამიანი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის არმიას მწარე დამარცხება აგემა, ხიშტზე წამოცმული თეთრი დროშით გადავიდა საზღვარზე და ოსმალეთს სთხოვა დროებითი თავშესაფარი...



...უკვე მერამდენედ, საქართველოს ისტორიის მანძილზე ქართველი იბრძოდა ქართველის წინააღმდეგ და ამით მტრის „წისქვილზე ასხამდა წყალს...“

ბედის ერთი დაცინვა იყო ისიც, რომ კომუნისტი ქართველების მიერ ბანდიტად შერაცხულ და სამშობლოდან განდევნილ მამულიშვილს თურქმა ოფიცერმა, ვინც მიიღო ლტოლვილი ქართველები, მხედრული პატივისცემის ნიშნად იარაღი არ ააყრევინა.

ქაქუცამ დიდი გაჭირვებით მოახერხა, რომ მისი ყველა რაზმელისთვის მიეცათ უფლება საფრანგეთში გამგზავრებისა. სოციალ-დემოკრატები ყველგან და მათ შორის თურქეთშიც ცდილობდნენ მათი გადაადგილების დაბლოკვას. თუმცა ქართველებმა მაინც ჩააღნიეს საფრანგეთში და დაიწყეს ემიგრანტული ცხოვრება. ისინი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიფანტნენ და მალარობსა თუ ქარხნებში დაიწყეს მუშაობა. შეფიცულთა ერთი ჯგუფი მოენყო ქალაქ ოდენკურში, პეჟოს ავტომობილის ქარხანაში. ქაქუცა კი პარიზში დაბინავდა და მაშინვე დაიწყო ზრუნვა იმისათვის, რომ შეფიცულები არ დაქსაქსულიყვნენ. მან პარიზის მახლობლად ვიროფლეიში იქირავა სახლი, სადაც ყველა შეფიცული ჩაიყვანა და ერთად დაასახლა. ქაქუცა მათთან ერთად ცხოვრობდა და დიდ ყურადღებას აქცევდა სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლ ვაჟკაცებს.

ათას ქარცეცხლგამოვლილ ქაქუცას ბოლოს ჯანმრთელობა ძალიან შეერყა. გაეხსნა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში, ავსტრიის ფრონტზე და შემდეგ თურქეთში,



სარიყამიშში მარჯვენა ფილტვზე მიყენებული ჭრილობა, რასაც თან ტუბერკულოზიც დაერთო. შეფიცულებმა იგი ოსტასაუს სანატორიუმში მოათავსეს. ყველაფერ ამას დამატა ნოსტალგიაც. მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქაქუცას არ ასვენებდა სამშობლოზე ფიქრი, რომელიც საჯიჯგნად და გასაპარტახებლად ბოლშევიკებს დარჩათ... ის იწვა სარეცელზე და მხოლოდ მოგონებებით ინუგეშებდა თავს. ახსენდებოდა თავისი სოფელი მატანი, ალავერდობა და შუამთის მონასტრის დღესასწაული, ხატობა, ოცდაექვსი მაისი... ენატრებოდა საქართველო და მისი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ცა, რომლის ბადალი მსოფლიოში არ არსებობდა... ქაქუცა ხვდებოდა, რომ მალე მის სულს სამყაროს შემოქმედი ჩაიბარებდა...

...სიკვდილის სარეცელზე მწოლიარემ მოითხოვა ქართული მიწა, ჯვარი და ხატები და ალექსანდრე სულხანიშვილს დაუბარა, ეს ნივთები მისი შვილისათვის გადაეცა. მიუხედავად იმისა, რომ მას სძულდა კრემაცია, სურვილი გამოთქვა, რომ მისი ცხედარი დაენვათ და ფერფლი ოდესმე დამოუკიდებელ საქართველოს მიწაში დაეკრძალათ. ქაქუცას პალატასთან ქართველები იყვნენ შეგროვილნი, ხოლო შესვლის და მასთან ურთიერთობის უფლება მხოლოდ ალექსანდრე სულხანიშვილს ჰქონდა. ამას თვითონ ქაქუცაც ითხოვდა. პალატიდან გამოსულ ალექსანდრეს შემოეხვეოდნენ ახლობლები და ძირის ძირამდე მოაყოლებდნენ ხოლმე თუ რა ხდებოდა სულთმობრძავი ჩოლოყაშვილის ირგვლივ. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, პა-



ლატიდან გამოსულმა სულხანიშვილმა ასეთი რამ უამბო იქ შეკრებილ საზოგადოებას:

- მე სადილი ვაჭამე ქაქუცას. ერთი ბენო შეჭამა... მე-რე გავედი და გარეთ დავჯექი, ძალიან ცოტა ეძინა, რამაც მხოლოდ დაასუსტა. ამასობაში სულ ორმოცდაათმა წუთმა თუ გაიარა, რომ დამიძახა, მაშინვე მივედი. ის საშინლად აღშფოთებული და გაჯავრებული დამხვდა. მან სავარძლის თავსაყუდზე მიმითითა, სადაც ოქროს ჯაჭვზე ეკიდა ჯვარი ორ თუ სამ ოქროს წმიდანთან ერთად და ჩემი ხელით ტყავში გამოკერილი საქართველოს მინა, რომელსაც განუყრელად თან ატარებდა ქაქუცა. „ჩამოხსენიო“ - მითხრა მან. რა მოხდა, რა ამბავია-მეთქი, - ვკითხე დაბნეულმა. რაზეც ეს პასუხი გამცა: „შეხსენი საქართველოს მინა, დადე, აი, აქ, პატარა მაგიდაზე. ეს ჯვარი და წმიდანები ჩემს შვილს მიუტანე, ხომ იცი იმისიო“. თურმე ორმოცდაათი წუთი რომ ჩაიძინა, თავისი უფროსი შვილი უნახავს სიზმარში და მას უთქვამს: „მამაჩემო, მომეცი ჩემი ჯვარიო!“ ამაზე იყო შეშფოთებული: „ახლა კი გათავდა ჩემი ცხოვრებაო ...“ მე თუმცაღა შევეცადე გამექარწყლებინა მისი ავისმომასწავებელი სიზმარი, მაგრამ ამოდ. ასე დამიბარა: „შენ ახალგაზრდა ხარ, შენ ჩაუტანე ჩემი სულ ყველაფერი ჩემს შვილებსო“.

დიდმა ქართველმა - ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სული ალექსანდრე სულხანიშვილის და ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის ხელში დალია. ალექსანდრე მეგობრებს უყვებოდა:

- იქნებოდა დაახლოებით თერთმეტი საათი, რომ მე და ვახტანგი მის პალატაში შევედით. მან რაღაც დაილაპარა-





კა, ჩვენ მაშინვე მივცვივდით და მე ხელით წამოვუნე თავი ქაქუცას. მან კიდე დაიხრიალა. აი, ის იყო უკანასკნელი დახმაურება იმ დიდი მებრძოლისა, რომელიც ვეფხვივით ებრძოდა თვით სიკვდილსაც კი!“

მეგობრებმა, რომელთაც იცოდნენ, რომ სინამდვილეში ქაქუცას საშინლად სძულდა კრემაცია, თავისი გაიტანეს და ერთმანეთში შეგროვილი ფულით იგი დაკრძალეს პარიზის მახლობლად სენტ-უანის სასაფლაოზე. ბერძნული ეკლესიიდან ქართული ეროვნული დროშით გადაფარებული ქაქუცას კუბო გამოასვენეს. პროცესია სასაფლაოსკენ დაიძრა, რომელიც ათი კილომეტრით იყო დაშორებული ეკლესიას. მთელმა ხალხმა ეს მანძილი ფეხით გაიარა. დაკრძალვის წინ, შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთმა წევრმა წაიკითხა ქაქუცას აქტიური თანამებრძოლის, ბოლშევიკების მიერ მხეცურად მოკლული მიხა ხელაშვილის ლექსი:

ჯერ ისევ არის ზაფხული, არ დათოვლილან მთანია,
 ფშავ-ხევსურეთის კლდეებსა შავნიცა ჰქონდა ფხანია,
 შიგ ვცხოვრობთ ფშავნი-ხევსურნი, სალი კლდის
 შვილნი-ძმანია,
 უნდა მივილოთ ამბავი დროების მონაგანია,
 ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოქროლავს, როგორც ქარია,
 თან ახლავს ქართლის შვილები – თითო ლომისა დარია.
 ბინას დასდებენ ფშავშია, სადაც მალაროს კარია,
 ქალაქით მოჰყვა ლაშქარი, რომელიც მუხლით მალია,
 პურის ქამაზე ნასხდომებს დაგვხვიეს თოფის ალია,
 ჰაი გიდი, ჩოლოყაშვილო, გულად გდებია ტალია,



პატარა რაზმის უფროსო, ხარ მარდი კამანდარია,
 მკვდარი შეჰყარე მკვდარზედა, რო თივის საბინდარია,
 ფშავლებს გადაეც ნადავლი იმათგან ანაყარია,
 სიკვდილზე ნუ დაფიქრდები, ყველა იქ მიმავალია,
 იქ დაგხვდებიან ქართველნი, ვინც სამშობლოსთვის
 მკვდარია.

მოგვიანებით ნეშტი გადაასვენეს ლევილში ქართველთა
 საძმო სასაფლაოზე. თუმცა ამ იდეას დევნილობაში მყოფი
 ბევრი ქართველი ეწინააღმდეგებოდა იმ მოსაზრებით, რომ
 ლევილის სასაფლაოზე დაკრძალული იყო ნოე ჟორდანი.

გარდაცვლილი ქაქუცა ჩოლოყაშვილისაც კი ეწინოდათ
 საქართველოდან კურდღლებივით გაქცეულ და ქვეყნის
 დამყარებელ დროებით მთავრობის წევრებს და მათ ქურ-
 დბაცაცა მონებს.

IX

ქერჩში ჩასულ ბალამას საქართველოში ეგონა თავი.
 უამრავი ქართველი დახვდა იქ. ბევრი ნაცნობიც შეხვდა.
 კარგად მიიღეს ბიჭებმა. შესაბამისი რეგისტრაციის შემ-
 დეგ, საზღვაო პორტში მუშად დაანყებინეს მუშაობა. სა-
 მუშაო მძიმე და დამღლევი აღმოჩნდა, მაგრამ სხვა რა გზა
 ჰქონდა ბალამას, თავი ხომ უნდა ერჩინა. ჩიმკენტში გადა-
 სახლებული მისი ძმა - მიხელი, დიდ გაჭირვებაში ცხოვ-
 რობდა, ამიტომ ბალამა ფულს უგზავნიდა, თვითონ კი იმ-



დენს იტოვებდა, რაც კვებისთვის სჭირდებოდა. ასეთმა არაადამიანურმა ყოფამ დიდხანს არ გასტანა და მალევე ბალამა სიმფეროპოლში გადაიყვანეს. იქ ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს მინდვრებში ამუშავეს, ხოლო შემდეგ ქიმიურ კომბინატში გაამწესეს. იქ გადასახლებულმა ქართველებმა ძმური კავშირი შეკრეს, ერთმანეთს გვერდში ამოუდგნენ და შესაბამისად ცხოვრების პირობებიც გაიუმჯობესეს.

სამმა წელმა უცებ გაირბინა. ათას ცხრაას ოცდაათობმეტ წელს ბალამა დაბრუნდა საქართველოში. სამშობლოს მონატრებულმა და მისი ღირსებისთვის თავდადებულმა ვაჟკაცმა, როგორც იქნა ჩამოაღწია აქ და წლების განმავლობაში ნანატრი ჰაერი ჩაისუნთქა, ქართული წყალი დალია და დედას პურით მოიკლა შიმშილი, რომელიც ამ წლების განმავლობაში საკუთარი ჩრდილივით თან დასდევდა. თურმე ამ ქვეყნად არაფერი ყოფილა შენს სამშობლოზე უკეთესი, თუნდაც ის მტრის მიერ ყოფილიყოს ოკუპირებული.

ბალამა წესისამებრ გამოცხადდა ჩეკაში და გადასახლებიდან განთავისუფლების საბუთები ჩააბარა. კანცელარიაში იგი ერთ-ერთ კაბინეტში შეიყვანეს, სადაც ლეიტენანტისჩინიანი ახალგაზრდა ქალი დახვდა. ჩეკისტი რალაც ქალაღდებს ჩაჰკირკიტებდა, ისე, რომ ბალამასთვის ყურადღება არ მიუქცევია. როგორც ჩანდა ასეთი ადამიანების მისვლა-მოსვლა იქ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჩეკას კაბინეტებში ტანჯვა-წამება გამოვლილ ბალამასაც არ გაჰკვირვებია ეს სიტუაცია და ამიტომ ყურადღების მიპყ-



რობის მიზნით ჩაახველა. ხმაურზე ახალგაზრდა ქალს არავითარი რაეგირება არ მოუხდენია, საქმეში გართულს თავიც არ აუნწევია ზევით ისე თქვა:

- მაისურაძე! რა ხველება აგიტყდა. გადასახლებიდან ტუბერკულოზი ხომ არ ჩამოიტანე!? არ გადაგვდო!

ბალამამ გაკვირვებულმა ჰკითხა ლეიტენანტს:

- კი, მაგრამ მე თქვენ საიდან მიცნობთ?

- აი, ამ საბუთებიდან, - უპასუხა ქალმა, ისე, რომ ქალადებისთვის თვალი არ მოუცილებია. მცირედი პაუზის შემდეგ განაგრძო, - სამედიცინო ცნობით ჯანმრთელი ხარ, ასე რომ, დაჯექი!

ბალამა ჩამოჯდა იქვე მდგომ სკამზე და ახლა მჯდომარემ განაგრძო ლოდინი, თუმცა, დიდი ხანი არ დასჭირვებია, ახალგაზრდა ლეიტენანტმა, როგორც იქნა, ასწია თავი მაღლა და თავისი შავი, ლამაზი და ბრიალა თვალები ბალამასკენ მიმართა. ეს უკანასკნელი, ჩეკას კაბინეტებში ნათრევი და გამობრძმედილი კერკეტი კაკალი, პირველად დააბნია თვალების უჩვეულო და იშვიათმა სილამაზემ. თვალი ვერ მოსწყვიტა ქალის ნატიფ და ლოპოტის მარმარილოსავით თეთრ სახეს და უნდოდა ეთქვა: „აქ რა გინდა, შე დალოცვილოო?“, რომ უცებ ჩეკას ნესტიანი და უჟანგბადო საკნები გაახსენდა და ენას კბილი დააჭირა. ქალი კი მიუხვდა სათქმელს და გამომწვევად მიუგო:

- რაო, მაისურაძე, არ მოგენატრა ნორმალური ცხოვრება!?

ბალამამ არ იცოდა, რა უპასუხა. არც სურვილი ჰქონდა რაიმეს თქმის, რადგან კარგად იცოდა, რომ ამათთან რაც

ბევრს ილაპარაკებდა, უფრო მეტად გამოიწვევდნენ და რა-
ღაც შეცდომას დააშვებინებდნენ საუბარში. ამიტომ გაჩუ-
მება არჩია, გაულიმა მშვენიერ ლიტენანტს და ჩვეულები-
სამებრ მხრები აიჩეჩა.

- კარგი! - ლეიტენანტმა რაღაც ხელმონერილი და ბეჭ-
დით დამონმებული ქალაღდი აილო მაგიდიდან, გაუნოდა
ბალამას და უთხრა, - თბილისში, ბათუმსა და ბაქოში გეკ-
რძალეზა ცხოვრეზა. შეგიძლია დასახლდე ამ ქალაქებიდან
ორმოცი კილომეტრის დაშორებით. დანარჩენი კი, შეგიძ-
ლია იშრომო და იცხოვრო ისე, როგორც სხვა საბჭოთა მო-
ქალაქეები აკეთებენ ამას. თავისუფალი ხარ, მაისურაძე!

ეს სიტყვები რატომღაც ეხამუშა ბალამას... დიდიხანია,
რაც არ გაეგონა ორგანოს მუშაკებისგან... ცოტა დაიბნა კი-
დეც და ასე ქალაღდით ხელში გაშეშებული იდგა ახალგაზ-
რდა ლეიტენანტის წინ...

- წადი, მაისურაძე!... თავისუფალი ხარ!... - გაუმეორა
ჩეკისტმა.

ამ შეძახილმა გამოაფხიზლა ბალამა. ქალის სილამაზემ
და თავისუფლების მიღებამ დააბნია ომების და წამების ქარ-
ცეცხლში გავლილი პატარძეულელი ვაჟკაცი და მხოლოდ
ახლა მიხვდა, რომ ოცი წლის ბიჭი აღარ იყო... რომ წლები
მომატებოდა და, რომ ბავშვობიდან უშიშარი, ქალის სილა-
მაზემ და თავისუფლების მინიჭებამ თითქოს შეაკრთო და
შეაშინა... ახლა იგრძნო თავი ეულად... მას უნდა ეცხოვრა იმ
ქვეყანასა და იმ ხალხში, სადაც მისნაირები აღარ იყვნენ, მათ
სიკვდილმა „უპატრონა“ ... აქ კი სულ ახალი და უცხო ადამი-



ანები ტრიალებდნენ, რომელთაც ბალამა და ბალამასნაირები სძულდათ... ის მათთვის კეთროვანივით იყო და ისინი მას ყოველთვის მოერიდებოდნენ, რადგან მას ერთი ნაბიჯი აშორებდა, რომ იგი სამშობლოს მტრად შეეცნათ.

ბალამა ქაშუეთის ეკლესიაში შევიდა, სანთელი აანთო, უფალს კურთხევა გამოსთხოვა. ეკლესიიდან გამოსულმა მთანმინდისკენ გაიხედა, საიდანაც მამადავითის ეკლესია დაჰყურებდა თბილისს, პირჯვარი გადაიწერა და ჩაიბუტბუტა:

- შენც ასე გაგაძევეს, წმიდაო მამაო დავით, თბილისიდან... თუმცა, მე შენთან როგორ მოვალ, მე ცოდვილი...

რამდენჯერმე კიდევ გადაიწერა პირჯვარი და ახლალა შეამჩნია, რომ ხალხი მას ერიდებოდა და ზოგი ქოქოლასაც აყრიდა. მიხვდა ბალამა, რომ ძველი დრო აღარ იყო. ის უკვე ათეისტურ სახელმწიფოში ცხოვრობდა და მის გარშემოც უმრავლესობა ბოლშევიზმის მიმდევარი და ანტიქრისტიანი იყვნენ.

X

ბალამა მშობლიურ სოფელ პატარძელში დაბრუნდა. გახსნა ბოქლომდადებული სახლის კარი. ოთახებში ნესტის სუნი იდგა, როგორც ეს სჩვევია მიტოვებულ სახლებს. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროება და მილიცია რეპრესირებული ადამიანების ეზოსთან მიახლოებასაც კი უკრ-



ძალავდა ყველას, მეზობლებს არ დაუკლიათ ყურადღება და პატრონობა მაისურაძეების კარ-მიდამოსთვის, მაგრამ მიტოვებული სახლი მაინც ეშმაკის ბუდედ რჩება. ბალამამ გადანყვიტა, ეკურთხებინა სახლი, მაგრამ არც პატარძელში და არც მის მიმდებარე სოფლებში მღვდლები აღარ იყვნენ, ზოგი დახვრიტეს, ზოგი კი გაპარსეს და თუ ვინმე გადაურჩა ბოლშევიკების რისხვას, გადახვეწილიყვნენ მიუვალ ადგილებში.

ბალამას უპირველესი საფიქრალი სამსახურის დანყება იყო, რათა როგორმე გაეტანა თავი და გადასახლებულ ძმასაც დახმარებოდა. სამწუხაროდ, სადაც მივიდა სამსახურის დასაწყებად, ყველგან უარით ისტუმრებდნენ, როგორც კი გაიგებდნენ, რომ გადასახლებიდან იყო დაბრუნებული. თითქოს საშველიც აღარ ჩანდა, მაგრამ ღმერთმა არ განირა ბალამა. მასთან თანასოფლელი სანდრო ზუკაკიშვილი მივიდა და თავისთან სამსახური შესთავაზა. მუშები სჭირდებოდათ მდინარე არაგვზე შეშის დასაცურებლად. მათი ორგანიზაცია კოპერატიულ სანყისებზე იყო ჩამოყალიბებული და ამიტომ მუშათა პერსონალი, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე ჰყავდათ აყვანილი, უშიშროების ფილტრაციას ნაკლებად ექვემდებარებოდა. კოპერატივს მდინარე არაგვზე ფასანაურიდან მცხეთაში ბებრის ციხემდე ექვსი ათასი კუბური მეტრი შეშა უნდა დაეცურებინა. სამუშაო საკმაოდ შრომატევადი იყო. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როდესაც გადინაცვლეს მალაროს კართან, იქ სამუშაოს მწარმოებელმა,



ვინმე ბეზმენოვმა მუშების კუთვნილი ფულის მითვისება გადაწყვიტა. ბალამას შეეძლო მისგან არაკანონიერი გზით ამოეღო მიტაცებული თანხა, მაგრამ იცოდა, როგორც რეპრესირებულს, ბოლოს მას დაადანაშაულებდნენ და ამიტომ მუშებმა კანონიერი გზით გადაწყვიტეს კუთვნილი თანხის დაბრუნება. ბეზმენოვმა საქმის მოსაგებად ვექილიც დაიქირავა, მაგრამ ბალამამ მას სასამართლოში დოკუმენტურად დაუსაბუთა სიმართლე და კუთვნილი თანხა კანონიერი გზით დაიბრუნეს მუშებმა. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთი მუშის ძმამ, რომელიც ესწრებოდა სასამართლო პროცესს, ჰკითხა ბალამას:

- იოსებ, ეს გლეხი კაცი სად დაიბადე ან სად ისწავლე ამდენი, რომ ცნობილ ვექილს მოუგე საქმე? რვა ათასი მანეთის მოგება პატარა საქმე არ არის, ძმაო!

- დაბადებით პატარძელში დავიბადე და წესიერმა ხალხმა გამზარდა, - მიუგო ბალამამ, - ხოლო, ჩემო ძმაო, სიმართლეს კიდევ სწავლა და ცოდნა არ სჭირდება. უსამართლობაა, რომ ანგრევს და ანადგურებს ყველაფერს. მართალი კაცი კი ქვაზე მაგარია.

ამის შემდეგ ბალამას სახელი ცნობილი გახდა ხე-ტყეზე მომუშავე ხალხისთვის. ამიტომაც კოლა რუხაძემ თავისთან წაიყვანა სამუშაოდ. მისი ორგანიზაცია იმ პერიოდში ხეების დაცურებაზე მდინარე იორზე მუშაობდა. თიანეთის ყვარადან უნდა დაეცურებინათ ხეები. ბალამამ დაგეგმა მდინარის სხვადასხვა კალაპოტების ერთ დიდ კალაპოტში შეკრება, შესაბამისი დოკუმენტაციაც შეადგინა და საქმეც



წარმატებით დაასრულა. კოლა რუხაძეს ძალიან მოეწონა ბალამას საქმიანობა და შესთავაზა დარჩენილიყო მასთან. ასე გახდა ბალამა მდინარე იორზე ხეების დაცურების სამსახურის უფროსი.

დადგა ავისმომასწავებელი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წელი. დაიწყო მასიური რეპრესიები. ბალამას ორგანიზაციაში ას კაცზე მეტი მუშაობდა. არ გავიდოდა დღე, რომ რამდენიმე კაცი არ წაეყვანათ ჩეკაში დასაკითხად. ყველა მათგანს ცალ-ცალკე ეკითხებოდნენ ბალამას შესახებ, ხომ არ საუბრობდა მათთან ანტისაბჭოურ თემებზე. მაგრამ თანამშრომლებმა, რომლებიც დიდ პატივს სცემდნენ თავიანთ უფროსს, ილაპარაკეს მხოლოდ სიმართლე და აუგი არ დასცდენიათ ბალამაზე, თუმცა ამის საფუძველიც არ ჰქონდათ.

სამშობლოს ერთგული ვაჟკაცების უმრავლესობა, რომლებიც გადაურჩნენ ათას ცხრაას ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი წლების რეპრესიებს, მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა. ომის შემდეგ ბალამა სამუშაოდ მშობლიურ რაიონში გადავიდა და იქ ხელმძღვანელობდა ხე-ტყის დამზადების საქმეს.

...ივრისპირელი, ამდენი სიარულის შემდეგ, ისევ ივრისპირეთს დაუბრუნდა... იორი კი მიისწრაფვოდა ქვევით, რათა სადღაც აზერბაიჯანში შეერთებოდა თავის ძმას - ალაზანს, რომელთან ერთადაც დაიბადა ბორბალოს მთაზე და მერე დედა ბუნებამ სხვა გზით წაიყვანა... ასე გაყო და დაქსაქსა ოჯახები საბჭოთა რეპრესიულმა მანქანამ... ელირსებოდათ მათ ოდესმე ისევ შეერთებოდნენ ერთმანეთს, როგორც იორი და ალაზანი?...

ბალამა - იოსებ ალექსის ძე მაისურაძე დაიბადა 1898 წლის პირველ იანვარს სოფელ პატარძელში. მისი განსაცდელებით აღსავსე ცხოვრებიდან გამომდინარე, რომელიც ასახულია წინამდებარე რომანში, ბატონი იოსები გვიან დაოჯახდა. 1943 წელს, ქალბატონ ოლა ონაშვილთან შეუღლების შემდეგ, მათ შეეძინათ ორი ვაჟი და ერთი გოგონა. ჰყავს ხუთი შვილიშვილი.

ბატონმა იოსებ მაისურაძემ სიცოცხლის ბოლომდე სამშობლოს სიყვარულით და მართალი კაცის სულისკვეთებით იცხოვრა, ხოლო 1999 წლის 17 დეკემბერს შეჰვედრა სული უფალს.

ნიგნში გამოყენებული იქნა დოკუმენტური და
საარქივო მასალები



www.mtsignobari.ge

დაბეჭდა შპს „მნივნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71